საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geoworld.ge
№33 (362)
14 – 20 სექტემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru




სახელმწიფო გადატრიალებას თურქეთში ამერიკელი «სპეცები» ამზადებდნენ 12

«ბევრს მეგრელი ისეთი მიამიტი ჰგონია, რადგან სანდრა რულოვსმა მეგრულად ორი სიტყვა თქვა, ხმას მას მისცემს» 3



## სანდრალგია 5

«ბიძინა ივანიშვილის მაგივრად დავსვამ კითხვას: რატომ არ არის ბოლომდე გამოძიებული ლაფანყურის საქმე, რომლითაც ვლინდება მერაბიშვილის, ახალაიასა და მათი ლიდერის – მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი კავშირები და დანაშაული ტერორიზმის სპონსორობაში?» 6



«თავად სად იყავი და რას აკეთებდი 2011 წლამდე, პატივცემულო მოქალაქევ?!» 7

## მონსტრების კორპორაციის საარჩევნო აღლუმი 4




## SHTERO კრატია 10



„ლგბტ პირების ქორწინების დაკანონება ადამიანის უფლებების სფეროში წინგადადგმული ნაბიჯია და ამ პროცესმა პროდასავლურ განწყობილებაზე არ უნდა იმოქმედოს“



## რესპუბლიკური პარტია – სახადი, რომელიც აუცილებლად უნდა მოიხადოს საქართველომ 8

13 «ცოდვილთა ჰგუემდეთ ცეცხლი», ანუ 11 სექტემბრის «ბაპტისტური ვერსია»

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 300 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა



**ადამიანის უფლებების სადამკვირებლო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 300 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.** დაღუპულთა შორის 86 000-ზე მეტი სამოქალაქო პირია, მათგან 15 000-ზე მეტი — ბავშვი და 10 000 — ქალი. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაიღუპა 52 000-ზე მეტი მეამბოხე, სირიის არმიის 59 000 სამხედრო მოსამსახურე, სირიის რეჟიმის მხარეზე მებრძოლი 48 000 „ბოევიკი“, დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ჯებჰათ ალ-ნუსრას“ 52 000 წევრი.




## «ოცნების» სიის 28-ე ნომერი კეზერაშვილისა და მერაბიშვილის მარჯვენა ხელი იყო

**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანი მიროტაძემ საინფორმაციო სააგენტო „აიპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სამართლიანობის ვერაღდგენის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სახელისუფლო გუნდის წევრები „ნაცმოძრაობის“ დროინდელ მაღალჩინოსნებს ლობირებდნენ.**

მიროტაძემ განაცხადა, რომ პირები, რომლებიც „ქართუს“ გაკოტრების საქმეს ხელმძღვანელობდნენ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თანამდებობაზე დაინიშნენ. მიროტაძე ასეთ პირებად ძმებ **ჩხენკელებს** ასახელებს.

უფრო მეტიც, დეპუტატის ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ პროპორციული სიის 28-ე ნომერი **ვანო ზარდიაშვილი** კეზერაშვილისა და მერაბიშვილის მარჯვენა ხელი იყო. მიროტაძის თქმით, „ოცნების“ სიაში ასეთი კიდევ რამდენიმე პირია.

„ძალოვან სტრუქტურებში ჩვენ კადრები გვყავს ძველი ხელისუფლების ზონდერები.

კონკრეტული გვარების დასახელება გამიჭირდება, მაგრამ გეტყვით ერთ კონკრეტულ მაგალითს, რატომ უნდა ყოფილიყვნენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებში ძმები ჩხენკელები? მაშინ როდესაც კარგად ასრულებდნენ სააკაშვილის მმართველობის დროს „დავალებებს“. გაგახსენებთ, „ქართუს“ გაკოტრების საქმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ერთ-ერთი ძმა ჩხენკელი იყო. ასეთი ბევრი კოლექტიური ჩხენკელია ხელისუფლებაში.

უფრო მეტსაც გეტყვით: „ქართული ოცნების“ პარტიული სიაში რამდენიმე ასეთი ადამიანი ამოვიკითხე, მაგალითად, 28-ე ნომერი ვანო ზარდიაშვილი, რომელიც კეზერაშვილისა და მერაბიშვილის, მარჯვენა ხელი თუ არა, მათი დავალებების აქტიური შემსრულებელი იყო.

ყველას ვერ გაუშვებ ვერც პროკურატურიდან, ვერც შსს-დან და ა.შ., მაგრამ გადაწყვეტილების მიმღები პირები ხომ მაინც უნდა შეცვალო, რათა იმ ადამიანებმა დანაშაულს ხელი არ დააფარონ“, — განაცხადა მიროტაძემ.



## განაჩენი პოროშენკოსთვის: სოციალურ ქსელში უკრაინელ ოპოზიციონერებთან ამერიკელთა შეხვედრის ამსახველი ვიდეო გამოქვეყნდა

**უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს აღელვებისა და ნერვიულობის საფუძველი აქვს. ამერიკელებმა, რომლებმაც ის ე.წ. ევრომაიდნით მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში, საიდუმლო მოლაპარაკებები გამართეს უკრაინელ ოპოზიციონერებთან.**

მაგრამ, რადგან „არა არს დაფარული, რომელიც, ადრე თუ გვიან ,არ გამჟღავნდეს“, სოციალური ქსელის მომხმარებლებს საშუალება მიეცათ, ნახონ და მოუსმინონ მოლაპარაკებებს უკრაინაში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელ **გლეიზერსა** და პარტია „წარმატებული ქვეყნის“ ლიდერ **მარინა დედუშევას** შორის.



## არჩევნების პერიოდში და მის შემდგომაც პროვოკაციებს გეგმავენ

**შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, არის ინფორმაცია, რომ რიგი პარტიებისა არჩევნების პერიოდში და მის შემდგომაც გარკვეულ პროვოკაციებს გეგმავენ.**

მინისტრმა დამატებითი დეტალების გამჟღავნებისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ უწყება ამ მიმართულებით მობილიზებულია.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნია ყველა ძალა და რესურსი, რათა ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ მოხდეს“, — განაცხადა მღებრიშვილმა.

## ბიძინა ივანიშვილი: როდესაც ბურჭულაძეს გვერდით დგომა ვთხოვე, უამრავი ფული მოითხოვა, ნაწყენი ვარ!

**„ვიყავი ნაწყენი იმიტომ, რომ თავის დროზე, როდესაც ვთხოვე, გვერდით დაგვიდექით-მეთქი, უამრავი ფული მოითხოვა და შეურაცხყოფილი ვიყავი, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი“, — განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა GDS-ის ეთერში.**

„ყველაფერი კარგად გაირკვა ბურჭულაძეზე. გაიხსენეთ მისი პირველივე განცხადებები. ვნახეთ სააკაშვილთან უკრაინაში რამდენჯერ ჩასულა და ძირითადად იქ დადის ეს კაცი. ფოტოები გამოქვეყნდა, ჩახუტებული სააკაშვილთან. სამი წელიწადია, არ მინახავს და ვიყავი ნაწყენი იმიტომ, რომ თავის დროზე, როდესაც ვთხოვე, გვერდით დაგვიდექით-მეთქი, უამრავი ფული მოითხოვა და შეურაცხყოფილი ვიყავი, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი“, — განაცხადა ივანიშვილმა.







## ნაზარბაევმა პედოფილთა კასტრაციის შესახებ კანონი დაამტკიცა

**ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ხელი მოაწერა კანონს პედოფილების კასტრაციის შესახებ.**

„ყაზახეთის პრეზიდენტმა ბავშვთა უფლებების განმტკიცებისთვის სისტემაში ცვლილება შეიტანა და დაამტკიცა კანონი, რომელის მიხედვითაც პედოფილთა კასტრაცია ნებადართულია“, — განაცხადეს ყაზახეთის პრეზიდენტის პრესსამსახურში.

## ნოდარ ჯავახიშვილი რომან გოცირიძეზე: «გოცირიკების» გამომშვები კუპონჩიკა





**„ვისაც წითელი ხიდიდან სარფამდე უმგზავრია, ყველა ხედავს, რომ მუშაობა ყველგან მიდის, ამას ვერ ხედავს მხოლოდ რომან გოცირიძე და მისი პატრონები ოდესაში“,** — ასე გამოეხმაურა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ რომან გოცირიძის მიერ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამის კრიტიკას.

როგორც ნოდარ ჯავახიშვილმა აღნიშნა, ის გაოცებულია, რომ კომენტარის გაკეთება „ამ არაადეკვატური კაცის ნაბჟუტურებზე უწევს“.

**„გოცირიკების“ გამომშვები კუპონჩიკა, როცა წარმოიდგენს, რომ ლარი მაგის გაკეთებულია და კუპონები ჯავახიშვილის გამოშვებულია და ამას საზოგადოებას მიაწვდის, ამ ადამიანთან საერთოდ შეიძლება რამე სერიოზულად საუბარი?!**

**ამას წინათ ვთქვი, რომ ქართველმა ხალხმა კუპონს „გოცირიკები“ შეარქვა, გოცირიძეს კი — „კუპონჩიკა“ და ეს კაცი ამბობს, რომ ლარი მე გავაკეთე და ჯავახიშვილმა კუპონები გამოუშვაო.**

**ვისაც წითელი ხიდიდან სარფამდე უმგზავრია, ყველა ხედავს, რომ ყველგან მუშაობა მიდის, ამას ვერ ხედავს მარტო გოცირიძე და მისი პატრონები ოდესაში“,** — განაცხადა ჯავახიშვილმა.

„ქართულ ოცნებას“ არ უნდოდა დაპირისპირება, სისხლისღვრა და დაძაბულობა. სწორედ ამიტომ მიიღო კოაბიტაციის გადაწყვეტილება. ჩვენ მივეცით საშუალება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, ჩაბმულიყვნენ ქვეყნის შენების ფერხულში და ჩვეულებრივად ემუშავათ, მივეცით პერიოდი გამოსასწორებლად და დასაფიქრებლად, მაგრამ ვერაფერი შეიგნეს. ხალხი მათ პასუხს არჩევნების საშუალებით გასცემს.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლაშა გვასალია:

# ბევრს მეგრელი ისეთი მიამიტი ჰგონია, რადგან სანდრა რულოვსმა მეგრულად ორი სიტყვა თქვა, ხმას მას მისცემს

**არჩევნები მოახლოვდა და ქართველი საზოგადოების ყურადღება ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაზეა გადატანილი. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ცხელი წერტილი სამეგრელოა. როგორც ამბობენ , სამეგრელოში „ნაციონალურ მოძრაობას“ დიდი მხარდაჭერა აქვს, თუმცა, ჩვენი რესპონდენტის თქმით, მეგრელები ადვილად მოსატყუებელი ხალხი არ არიან და სამეგრელოს მოსახლეობას არ დავიწყებია „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი პერიოდი.**

**გვესაუბრება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსი, ზუგდიდში „ქართული ოცნების“ ცენტრალური საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ლაშა გვასალია.**



ლაშა გვასალია

**— ბატონო ლაშა, როგორია წინასაარჩევნო განწყობაა სამეგრელოში? ელოდებით მოსახლეობის მაღალ აქტივობას?**

— რა თქმა უნდა, ველოდებით. ხალხი დარწმუნდა, რომ მათი მონაწილეობა არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვანია. ადრეც ვიყავი შტაბის ხელმძღვანელი და წინასაარჩევნო პერიოდში შტაბის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ ყოფილა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ არჩევნებში მაღალი აქტივობა იქნება.

**— ამბობენ, სამეგრელოში „ნაციონალურ მოძრაობას“ დიდი მხარდაჭერა აქვსო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და, თუ ეს მართლაც ასეა, რით ხსნით „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერას რეგიონში?**

— ბევრი არა, მაგრამ ჰყავთ გარკვეული პროცენტი მხარდამჭერებისა. სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ახალაიებმა და „მამალმა ნაცებმა“ საკმაოდ ბევრი ზუგდიდელი და ხობელი ახალგაზრდა დაასაქმეს პენიტენციურ სისტემაში, ჯარში, პოლიციაში. ეს ადამიანები თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებებით, თავიანთი არასწორი პოლიტიკური მიმართულებით მიბმულები იყვნენ „ნაციონალურ მოძრაობას“. **„სამეგრელო თავიდანვე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დასაყრდენი“.**

**— ბატონო ლაშა, 2012 წელს სამეგრელოში „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არჩევნები წააგო, ირაკლი ალასანია როლანდ ახალაიასთან დამარცხდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ იმისთვის, რომ 2016 წლის არჩევნებში ზუგდიდში სანდრა რულოვსმა არ გაიმარჯვოს? ერთი „ნანინა“ წაიმღერა სანდრა რულოვსმა მეგრულად და გამოდის, ხვალ ვინმე რომ ჩამოვიდეს ბურკინა ფასოდან და საჯაროდ ელარჯი მოამზადოს, ხმა მას უნდა მივცეთ?**

— 2012 წელს ჩემ თვალწინ ვითარდებოდა ზუგდიდში სარჩევნო პროცესები, ყველაფერი კარგად ვიცი, რა როგორ მოხდა. იმხანად „ნაციონალურ მოძრაობას“ შეეძლო, გაეყალბებინა არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გავაკეთეთ ხალხის ხმების დასაცავად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაინც იმარჯვა. **ხალხს არ სჯეროდა, რომ მონსტრი „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდებოდა.** 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ზუგდიდში ადამიანებს აშინებდნენ და ამან გამოიწვია ის შედეგი, რაც მივიღეთ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კი „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხი თავისუფალი ყოფილიყო, დამთავრდა სამეგრელოში და სრულიად საქართველოში ძალადობა. არავის მიუკითხავს პედაგოგებისთვის იმის სათქმელად, თუ ჩვენ არ მოგვცემთ ხმას, დაისჯებითო, რაც წინა ხელისუფლების პერიოდში ხშირად ხდებოდა. „ქართული ოცნების“ მთავარი მინუსი არის ის, რომ არ ეწევა გაკეთებული საქმეების პიარს. ჩვენ გვინდა, საზოგადოებამ თვითონ დაინახოს ყველაფერი, რაც კეთდება. **„ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში დემოკრატია დამოკიდებული იყო ხელისუფლების კეთილ ნებაზე. ბევრს მეგრელი ისეთი მიამიტი ჰგონია, რადგან სანდრა რულოვსმა მეგრულად ორი სიტყვა თქვა, ხმას მას მისცემს. ეს არ მოხდება, არავინ იფიქროს, რომ „ფოჩიანი კანფეტებით“ მოთაფლავს მეგრელ კაცს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. სამეგრელომ იცის, ვის უნდა მისცეს ხმა; იცის, საჭირო დროს რა ნაბიჯი გადადგას. ერთობლივი შეტევით უნდა დავამარცხოთ „ნაციონალური მოძრაობა“.**

**«არავინ იფიქროს, რომ «ფოჩიანი კანფეტებით» მოთაფლავს მეგრელ კაცს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. სამეგრელომ იცის, ვის უნდა მისცეს ხმა; იცის, საჭირო დროს რა ნაბიჯი გადადგას — ერთობლივი შეტევით უნდა დავამარცხოთ «ნაციონალური მოძრაობა»**



**— პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნოდ ბევრ რამეს ჰპირდებოდნენ ხალხს, მაგრამ დაპირებების უმრავლესობა შეუსრულებელია. ახლაც ახალი დაპირებებით გსურთ ხელისუფლებაში მოსვლა. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს დაპირებებიც შეუსრულებელი დარჩება, მზად ხართ, დაიკისროთ პასუხისმგებლობა?**

— ყველაფერს დრო სჭირდება, 4 წელიწადში ყველა დაპირება ვერ შესრულდებოდა. ასე უცებ ვერ აშენდება ქვეყანა. ცრუ დაპირებას ვერავინ გაცემს, ყველა დაპირებას საქმე მოჰყვება. რა თქმა უნდა, თუ რამე არ შესრულდება, „ქართული ოცნება“ მზადაა, დაიკისროს პასუხისმგებლობა.

**— ქართველ ხალხს, მათ შორის სამეგრელოს მოსახლეობას, ახსოვს კასრებში ნაპოვნი ფარული ჩანაწერები, რომლებზეც უამრავი ადამიანის გაუბედურება იყო აღბეჭდილი. სად არიან ეს ადამიანები, რატომ არ ისმის მათი პროტესტის ხმა?**

— ჩემთვის ეს კითხვა ძალიან მნიშვნელოვანი და მტკვნეულია. ამ ხნის განმავლობაში, რაც საარჩევნო შტაბს ვხელმძღვანელობ, ძალიან ბევრი დოკუმენტური მასალა და ჩანაწერი ამოვიღე. ვესაუბრები ადამიანებს და შეძრწუნებული ვარ. როგორც კი არჩევნები დასრულდება, აუცილებლად დავწერ წიგნს, რომელშიც აღწერილი იქნება სამეგრელოს მოსახლეობის ყოფა „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში. უნდა ვაჩვენოთ საზოგადოებას, რა არ უნდა განმეორდეს. კოაბიტაციამ და „ქართული ოცნების“ მიდგომამ, რა თქმა უნდა, იმოქმედა იმ ადამიანებზე, რომლებიც დაზარალდნენ. გამომდინარე აქედან, არ ისმის პროტესტი, მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ დანაშაულზე ვინმე თვალს დახუჭავს. პატარა ერი ვართ და უნდა ვეცადოთ, პროცესები სისხლისღვრაში არ გადავიდეს.

**— ბატონო ლაშა, მისაღებად მიგაჩნიათ „ნაციონალური მოძრაობასთან“ კოაბიტაცია „ქართული ოცნების“ მხრიდან?**

**— ჩემთვის კოაბიტაცია მიუღებელია,** მაგრამ „ქართულ ოცნებას“ არ უნდოდა დაპირისპირება, სისხლისღვრა და დაძაბულობა. სწორედ ამიტომ მიიღო კოაბიტაციის გადაწყვეტილება. ჩვენ მივეცით საშუალება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, ჩაბმულიყვნენ ქვეყნის შენების ფერხულში და ჩვეულებრივად ემუშავათ; მივეცით პერიოდი გამოსასწორებლად და დასაფიქრებლად, მაგრამ ვერაფერი შეიგნეს. ხალხი მათ პასუხს არჩევნების საშუალებით გასცემს.

ესაუბრა
**ნანა ფოფხაძე**



გოგი თოფაძე:

## ცესკო პოლიტიკურ დავალებებს ასრულებს

**საარჩევნო ბლოკ „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლოს“ ლიდერმა გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ ცესკო პოლიტიკურ დავალებებს ასრულებს. მისი თქმით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ ჰქონდა საფუძველი, პარტია რეგისტრაციიდან მოეხსნა.**

„ცენტრალური საარჩევნო კომისია ასრულებს პოლიტიკურ დავალებებს. მე არ ვიცი, კონკრეტულად ვისი დავალებაა, მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ სამართლებრივ დავას და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ფაქტია, რომ ჩვენ სია წარვადგინეთ, რომელიც იყო ხელმოწერილი და დამოწმებული და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ეს ყველაფერი არ გაითვალისწინა. საბედნიეროდ, სასამართლო ცენტრალური კომისიისგან განსხვავებულად მუშაობს და მათ მიიღეს ობიექტური გადაწყვეტილება ჩვენი პარტიის სასარგებლოდ“, — განაცხადა გოგი თოფაძემ.

**ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო ბლოკი „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლოს“ საარჩევნო რეგისტრაციის აღდგენა დაევალა.** შესაბამისი გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლომ მიიღო. მოსამართლე ეკატერინე ჯინჭველაშვილის გადაწყვეტილებით, ბათილად არის ცნობილი ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება, რომლის თანახმადაც საარჩევნო ბლოკი „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლო“ რეგისტრაციიდან მოიხსნა. შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაევალა, გამოსცეს ახალი განკარგულება, რომლის თანახმადაც „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლო“ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება და ასევე გატარდება მისი პროპორციული სია.

მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ორი დღის ვადაში აქვს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ასევე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრა 100 ლარი საარჩევნო ბლოკ „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლოს“ სასარგებლოდ, რაც საარჩევნო ბლოკმა სასამართლოში სარჩელის შეტანის მიზნით დახარჯა.

## «უსუფაშვილი 2-ჯერ მოვიდა ჩემთან, — კუბლაშვილს «ნაცმოძრაობიდან» გამოსვლა უნდაო»

**უსუფაშვილი, რომელიც ძალიან ახლო მეგობარია კუბლაშვილის, 2-ჯერ თუ 3-ჯერ მოვიდა ჩემთან, — კუბლაშვილს უნდა „ნაციონალური მოძრაობიდან“ გამოსვლაო. ვუპასუხე, რომ ძალიან კარგია და რაც შეიძლება მხარს დავუჭერ-მეთქი და დავუჭირე კიდეც“, — განაცხადა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრისას.**

„ნათელმხილველობას თუ არ დაიწყებენ რესპუბლიკელები და ახალ უბედურებას არ გადაეყრებიან, კარგი იქნება და, მგონი, ცდილობენ, რომ ოპონენტად გამოიყენონ. ძალიან ემოციურები არიან და ნათელმხილველობას ნუ გაჰყვებიან, არავითარი საფუძველი და არავითარი დოკუმენტები იმისა, რომ „გირჩს“ ვაფინანსებ, არ არსებობს. იქნებ ის აქვს მხედველობაში, რომ უსუფაშვილმა რომელიღაც გამოსვლაში თქვა, გაჩერდეს, თორემ მეც ავლაპარაკდებიო. უსუფაშვილი, რომელიც ძალიან ახლო მეგობარია კუბლაშვილის, 2-ჯერ თუ 3-ჯერ მოვიდა ჩემთან, — კუბლაშვილს უნდა „ნაციონალური მოძრაობიდან“ გამოსვლაო. ვუპასუხე, ძალიან კარგია და რაც შეიძლება მხარს დავუჭერ-მეთქი და დავუჭირე კიდეც. მე განცხადება გავაკეთე და ლამის ვაჟკაცობად ჩავუთვალე, რომ გვიან, მაგრამ მაინც, დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და მართლაც ეგრე მეგონა მაშინ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მმართველმა პარტიამ არა მხოლოდ არ ამოშანთა ქვეყნის პოლიტიკიდან „ნაცმოძრაობა“, როგორც მისი ამომრჩევლების დიდი უმრავლესობა მოითხოვდა, არამედ, ირაკლი კობახიძის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებლობას აძლევს, დაგეგმოს და, შესაძლოა, განახორციელოს პროვოკაციები, რომლებსაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ფაქტობრივად, აანონსებს.**

# მონსტრების კორპორაციის საარჩევნო ალღუმი

**არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა, პარტიები ყველა მეთოდს მიმართავენ ამომრჩევლის ყურადღების მისაპყრობად და, ალბათ, საინტერესო იქნება იმის დადგენა, რომელ მათგანს გამოსდის ეს კარგად და რომელს — ნაკლებად.**



რესპუბლიკური პარტია რთულ მდგომარეობაშია. ის ბოლო მომენტამდე ებღაუჭებოდა მინისტრების სავარძლებს და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად აღარ დარჩა დრო იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ სატელიტის როლიდან გამოვიდეს და ამომრჩეველთა წინაშე წარდგეს, როგორც სრულფასოვანი ოპოზიციური პარტია. პოსტები გაზაფხულზე რომ დაეტოვებინათ, პრობლემა, ალბათ, არ იარსებებდა. მის დაძლევას რესპულიკელები ხმაურიანი და ხშირად დემაგოგიური განცხადებების ხარჯზე ცდილობენ.

მაგალითად, **დავით უსუფაშვილის** წინადადებამ საქართველოში ამერიკული ბაზების განთავსების თაობაზე შეიძლება მოხიბლოს რადიკალური „პროდასავლელები“, მაგრამ მისი რეალიზება ხელშესახებ პერსპექტივაში შეუძლებელი ჩანს. ციტატა აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მოხსენებიდან (ავტორები არიელ კოენი და პოლკოვნიკი რობერტ ჰამილტონი): **„რუსეთის კონტროლი სამხრეთ კავკასიის საჰაერო სივრცეზე გამორიცხავს საქართველოსა და აზერბაიჯანში ბაზების, აეროდრომების, ელექტრონული საშუალებებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებას“.**

რესპუბლიკელების მცდელობა, მინიმალურ ვადაში მაქსიმალური დისტანცირება მოახდინონ „ქართული ოცნებისგან“, ზოგ შემთხვევაში, აშკარად კარიკატურულ ხასიათს იძენს. **„უარი ვუთხრათ „ფულის ტომრებს“ პოლიტიკაში“, — განაცხადა გასულ კვირას თინა ხიდაშელმა და ამას სოციალურ ქსელებში ჰომერული ხარხარი მოჰყვა, რადგან „ფულის ტომრების“ ძიებისა და აქტიური გამოყენების პროცესი რესპუბლიკური პარტიის ისტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, განსაკუთრებით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.** მთლიანობაში, **რესპუბლიკელების ძალისხმევა საკმაოდ ქაოსურ შთაბეჭდილებას ტოვებს; იმის ალბათობა, რომ ისინი ბარიერს ვერ გადალახავენ, საკმაოდ დიდია და, შესაბამისად, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ოქტომბერში ნაციონალებთან უნისონში არჩევნების გაყალბებაზე იყვირებენ.**

იგივე შეიძლება დაემართოს **ირაკლი ალასანიას.** მისი პარტია მმართველი კოალიციიდან გაცილებით ადრე გამოვიდა, მაგრამ სათანადოდ ვერ გამოიყენა დრო, რომელიც, რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, ნამდვილად ჰქონდა. „თავისუფალ დემოკრატებს“ ცოტა სხვა ტიპის პრობლემა აქვთ — **ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი პარტიის სრულფასოვან პოზიციონირებას და ამომრჩევლებისთვის იმის ახსნას, თუ რით განსხვავდებიან თუნდაც იმავე რესპუბლიკელებისგან, ნაციონალებისგან, ბურჭულაძის პარტიისგან და ა.შ.** თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ სხვაობა ნამდვილად არსებობს, მაგრამ ის არ არის გამოხატული და გაშლილი მარტივ და გასაგებ ლოზუნგებში, რომლებიც მასებს მოხიბლავს. **„თავისუფალი დემოკრატების“ საარჩევნო კამპანია ამ მომენტამდე ფრიად ფერმკრთალია.**

**„პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის“** სტარტზე საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურებოდა, მაგრამ მოგვიანებით სერიოზული სირთულეები შეექმნა. ჯერ ერთი, ბურჭულაძეს საკმაოდ ბევრი ხალხი გაექცა, ეს კი ნებისმიერი პარტიის იმიჯისთვის საზიანოა. რაც მთავარია, მან ვერ გააქარწყლა ფართოდ გავრცელებული ეჭვი იმის თაობაზე, რომ „ნაცმოძრაობის“ მარიონეტია; მეტიც, გაამყარა ის **„გირჩისა“** და **გიორგი ვაშაძის** ჯგუფის შემოერთებით. ვაშაძე, სხვათა შორის, დაუფარავად ამბობს: **„დიახ, მზად ვართ, ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ ახალი „ნაციონალური მოძრაობა“.** ყოველივე ამან შეიძლება დააბნიოს და დააფრთხოს ელექტორატი.

სამივე ჩამოთვლილ პოლიტიკურ გაერთიანებას კომენტატორების მნიშვნელოვანი ნაწილი „მაღალი რისკის ჯგუფს“ მიაკუთვნებს და ამა თუ იმ ფორმით მიუთითებს იმაზე, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში მათ შეიძლება ხელი შეუწყონ „ნაცმოძრაობის“ მიერ „მაიდნის“ აგორების მცდელობას. საგულისხმოა, რომ მმართველი პარტია პოსტსაარჩევნო არეულობის თემაზე უკვე სრული სერიოზულობით საუბრობს. **„ნაციონალურ მოძრაობას“ მასთან ასოცირებული ორგანიზაციების გარკვეული ქსელი აქვს, რომელსაც გამოიყენებს პროვოკაციებისთვის, ეს მოგვიანებით გახდება ცნობილი, როდესაც პროვოკაციები მათ მიერ იქნება განხორციელებული“,** — განაცხადა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა **ირაკლი კობახიძემ** (ინტერპრესნიუსი). ეს, ალბათ, სრული კატასტროფაა — **მმართველმა პარტიამ არა მხოლოდ არ ამოშანთა ქვეყნის პოლიტიკიდან „ნაცმოძრაობა“, როგორც მისი ამომრჩევლების დიდი უმრავლესობა მოითხოვდა, არამედ, ირაკლი კობახიძის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლებლობას აძლევს, დაგეგმოს და, შესაძლოა, განახორციელოს პროვოკაციები, რომლებსაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ფაქტობრივად, აანონსებს.**

ყველაზე მეტი ამომრჩეველი მმართველმა პარტიამ, სავარაუდოდ, იმიტომ დაკარგა, რომ სააკაშვილის რეჟიმს ნიურნბერგის პროცესი არ მოუწყო და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის ისეთი მიზეზები, როგორიცაა ნეპოტიზმი, უეფექტო მენეჯმენტი და უთავბოლობა. **ერთადერთი პოლიტიკური ილეთი, რომელიც „ოცნების“ ხელმძღვანელობამ ამ წლების განმავლობაში აითვისა, შემდეგია: ის ნებისმიერ დაპირისპირებაში ახერხებს „ნაკლები ბოროტების“ როლი მოირგოს და ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს დაუმტკიცოს, რომ ის, შესაძლოა, ცუდია, მაგრამ ოპონენტი („ნაცმოძრაობა“ თუ სხვა) გაცილებით უარესია. ალბათ, სწორედ ეს არის „ქართული ოცნების“ კამპანიის ცენტრალური იდეა. ამასთანავე, ის ცდილობს, დააშინოს ამომრჩეველი სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხით, ხოლო პოზიტიური გზავნილების ნაწილში მისი კამპანია ერთობ ჰგავს „მოქკავშირის“ 2003 წლის კამპანიას, როდესაც „აღმშენებლობა“ დანარჩენი პროცესებისგან ცალკე, განყენებულად განიხილებოდა, რომელიც ამძაფრებდა სიყალბის განცდას.**

რაც შეეხება **„პატრიოტთა ალიანსს“,** მან 10 თვის წინათ, შესაძლოა, სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც შუალედური არჩევნების შედეგების გაპროტესტებისას ამორჩეველთა ემოციების მობილიზება და რადიკალური ლოზუნგების გამოყენება დაიწყო. „პატრიოტთა ალიანსმა“ ვერ მიაღწია საგარეჯოს არჩევნების შედეგების გადახედვას და, ამასთანავე, გაღიზიანებული ელექტორატის ენერგია არ მიმართა სხვა მიმართულებით იმ პირობებში, როდესაც ამ მუხტის შენარჩუნება საპარლამენტო არჩევნებამდე შეუძლებელი იყო. სავარაუდოდ, სწორედ ეს არის იმედგაცრუებისა და რეიტინგის კლების მიზეზი და ეს გასაკვირი არაა იმ პირობებში, როდესაც სტრატეგიული მიზანი (წარმატება საპარლამენტო არჩევნებში) მსხვერპლად შეწირეს ემოციებსა და ტაქტიკურ აუცილებლობას („სახის შენარჩუნება“ საგარეჯოს არჩევნების შემდეგ). „პატრიოტთა ალიანსი“ არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში, სავარაუდოდ, შეეცდება, ექსტრაორდინარული ზომების გამოყენებით მუხტი ისევ ააგდოს.

**ნინო ბურჯანაძე** კარგად მოქმედებს კრიტიკულ ვითარებაში რამდენიმედღიან მონაკვეთზე, მაგრამ მას ტრადიციულად უჭირს ძალების განაწილება და ხანგრძლივი კამპანიის წარმოება, რომელიც მთლიანობაში საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურება. მაგრამ ბურჯანაძემ მიიღო შესაძლებლობა, რომელიც ადრე არ ჰქონდა — მისთვის, ფაქტობრივად, „ოვერტონის ფანჯარა“ გაიხსნა. საქმე ის არის, რომ **„ცენტრისტებმა“** და **ვალერი კვარაცხელიას „სოციალისტებმა“,** სანამ ცესკომ მათ არჩევნებიდან მოხსნიდა, წამოაყენეს რუსეთთან სწრაფ დაახლოებაზე ორიენტირებული არაერთი ლოზუნგი, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღიქვა, როგორც რადიკალური, და ამ ფონზე ნინო ბურჯანაძის იდეები საქართველოს უბლოკო სტატუსზე, პირდაპირ მოლაპარაკებებზე პუტინთან და ა.შ., წარმოჩნდა, როგორც ზომიერი, რომლის თაობაზე შეიძლება დისკუსიის გამართვა. ადრე ასე არ იყო, რადგან პროდასავლური ძალები ახერხებდნენ, პირველივე სტადიაზე დაებლოკათ ბურჯანაძის ინიციატივების ფართო განხილვა. ამჯერად მისი მდგომარეობა განსხვავებულია, თუმცა ჯერჯერობით შეუძლებელია იმის თქმა, რამდენად გონივრულად გამოიყენებს ის ამ ახალ შესაძლებლობებს.

**„მრეწველებსა“** და **„ეროვნულ ფორუმს“** კოალიციის დატოვების შემდეგ დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებიათ, დრო და დრო იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ პარტიების ლიდერები სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდნენ და ყოველგვარი გეგმის გარეშე, სიტუაციური რეაგირების რეჟიმში მოქმედებდნენ. აქაც, ისევე, როგორც რესპუბლიკელების შემთხვევაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დროის ფაქტორი — არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა მოითხოვდა, რომ ამ პარტიებს მმართველი კოალიცია გაცილებით ადრე დაეტოვებინათ და მთავრობისთვის ოპონირება გაეწიათ. რაც შეეხება **თამაზ მეჭია-** ▶

**ბოლო ხანს სოციალურ ქსელებში ხშირად ჩნდება ჯორჯ ორუელის ფოტო და მის გვერდით მოყვანილია ციტატა, რომელიც, ალბათ, ყველაზე კარგად გადმოსცემს წლევანდელი არჩევნების არსს: «ადამიანები, რომლებიც ხმას აძლევენ ლუზერებს, ქურდებს, მოღალატეებსა და თაღლითებს, მსხვერპლნი არ არიან. ისინი თანამონაწილეები არიან»**

**გრიგოლია ქვარიას მშიერ ხალხზე ესაუბრებოდა, ქვარია კი პასუხობდა, — დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, ადამიანთა თავისუფლებას განმტკიცება სჭირდება, ხოლო უფლებებს — ყოველდღიური დაცვაო. ალბათ, როცა შინ ვინმეს მოშივდება და ეკითხება, — მერაბ, საჭმელი თუ გვაქვს რამეო, პასუხობს — კი, რა თქმა უნდა, გვაქვს; აი იქ არის ტუალეტი და ცხელი წყალიცო.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ურს**, ის სტარტზე საკმაოდ აქტიური იყო, მაგრამ შემდეგ ტემპი დააგდო. ამასთანავე, კიდევ ერთხელ თვალნათლივ დადასტურდა, რომ ერთი კაცი ან რამდენიმე თანამოაზრე არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სრულყოფილი პარტია, რომელიც არჩევნებში წარმატების მიღწევას შეძლებს; საჭიროა სხვა, გაცილებით საფუძვლიანი სტრუქტურა და საარჩევნო სტრატეგია.

იმ პოლიტიკური გაერთიანებებიდან, რომლებიც „უმაღლეს ლიგაში“ მოსახვედრად (ან დასაბრუნებლად) იბრძვიან, დაკვირვებისთვის საინტერესოა „საქართველოს მშვიდობისათვის“, რომელიც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **დავით თევზაძემ** შექმნა. ის არ ფლობს დახვეწილ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, მაგრამ არ ცდილობს ზოგადეროვნული მასშტაბით იმუშაოს, რაც საქართველოში ძალიან დიდი იშვიათობაა, არამედ ცდილობს, უწინარესად, აითვისოს კონკრეტული კლასტერი — ბოლოდროინდელი ომების ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები. თუ ამ ნიშის დაკავებას მოახერხებს, მომავალში სხვა პარტიებისთვის სასურველი კოალიციური პარტნიორი გახდება.

რაც შეეხება **„ნაციონალურ მოძრაობას“**, მსჯელობა მის წინასაარჩევნო ძალისხმევაზე საკმაოდ რთულია ორი მიზეზის გამო: პირველი — მოქალაქეების დიდი ნაწილი არ განიხილავს „ნაცმოძრობას“, როგორც ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალას, და ძალიან ღიზიანდება, როდესაც მას ასე უდგებიან და სხვა პარტიებს ადარებენ. ამასთანავე, **საკმაოდ ძნელი დასადგენია, რა აინტერესებს ყოფილ მმართველ პარტიას — არჩევნებში წარმატების მიღწევა თუ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. არის ფაქტები, რომლებიც როგორც ერთ, ისე მეორე ვერსიას ამყარებს.** აქედან გამომდინარე, ალბათ, სჯობს, „ნაციონალურ მოძრაობას“ სხვა დროს დავუბრუნდეთ, როდესაც საუბარი არა არჩევნებზე, არამეს ეროვნულ უსაფრთხოებაზე გვექნება, რადგან სააკაშვილის მიმდევრებმა ოქტომბერში პრობლემები შეიძლება სწორედ უსაფრთხოებას შეუქმნან.

ბოლო ხანს სოციალურ ქსელებში ხშირად ჩნდება **ჯორჯ ორუელის** ფოტო და მის გვერდით მოყვანილია ციტატა, რომელიც, ალბათ, ყველაზე კარგად გადმოსცემს წლევანდელი არჩევნების არსს: **„ადამიანები, რომლებიც ხმას აძლევენ ლუზერებს, ქურდებს, მოღალატეებსა და თაღლითებს, მსხვერპლნი არ არიან. ისინი თანამონაწილეები არიან“.** საგულისხმოა, რომ იქ არაფერი წერია მკვლელებზე, ჯალათებზე, მწამებლებზე — მათზე, ვინც კანონის სახელით ადამიანებს აუპატიურებდა; სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ჯორჯ ორუელიც კი, რომელმაც „1984“-ის კოშმარული სამყარო შექმნა, ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთმა ადამიანებმა შეიძლება კენჭი იყარონ და, არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში ყველაზე ცინიკური ლოზუნგი ააფრიალონ — „ძალადობა აღარ იქნება!“.

# სანდრალგია

**ჭიჭიკია ეუბნება ბიჭიკიას:**
**— „პრიბორი!“**
**ბიჭიკიამ, — 26-ო.**
**— რაის 26? —ეკითხება ჭიჭიკია.**
**— აბა, რაის „პრიბორიო?“**
**სწორედ ამ ანეკდოტის მსგავსად ისაუბრეს „ტვ პირველის“ ეთერში ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ და ზუგდიდში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მერაბ ქვარაიამ.**




მერაბ ქვარაია

ინგა გრიგოლია ეკითხებოდა ბატონ მერაბს:

— რა გაძლევთ იმედს, რომ ზუგდიდს მოიგებს „ქართული ოცნება“?

მერაბი კი პასუხობდა:

— ზუგდიდში კარგი ამინდია... ყველა პარტია თავისუფლად ატარებს საარჩევნო კამპანიას... დღეს არის ნამდვილი არჩევნები, რაც 2012 წელს არ იყო... ზუგდიდი საარჩევნო რიტმში ცხოვრობს...

ის თითქოს წინასაშობაო სამზადისს აღწერს, ოღონდ შობის ნაცვლად არჩევნებია დღესასწაული, შემდეგ კი თემას ცოტა უახლოვდება და აღნიშნავს, რომ სამეგრელო წლების განმავლობაში იყო „ნაცმოძრაობის“ დასაყრდენი, მაგრამ ამ კუთხეში არჩევნებს მაინც „ოცნება“ მოიგებს.

როცა პასუხის მიუღებლობის გამო გრიგოლიამ კითხვა გაუმეორა, ბატონი მერაბის პასუხი იყო:

**— 2012 წლის არჩევნებს არ განვიხილავთ, სინამდვილეში კი, მაშინაც და დღესაც სამეგრელო მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“.**

**დაახლოებით ორი წუთის წინათ კი თქვა, სწორედ სამეგრელოაო „ნაცმოძრაობის“ საყრდენი ძალა.**

**მერაბ ქვარაიას** ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გამო ჩემსავით ბევრია, ალბათ, გაურკვევლობაში.

ინგა გრიგოლიას შემდეგი კითხვა ასეთი იყო:

— „ნაცმოძრაობამ“ სამეგრელოში მაჟორიტარად წარადგინა სანდრა რულოვსი, რომელიც პოპულარულია ხალხში და საარჩევნო კამპანიას წარმატებით წარმართავს. რას ფიქრობთ, რამდენ პროცენტს აიღებს დაახლოებით „ნაცმოძრაობა“?

მერაბ ქვარაიამ კი უპასუხა:

— **რამდენად პოპულარულია სანდრა რულოვსი, არჩევნები დაგვანახვებს, ხოლო ზუგდიდი ცხოვრობს აქტიური საარჩევნო ცხოვრებით. აქ ყველა პარტიამ წარმოადგინა თავისი კანდიდატი, ყველაზე დიდი შანსი „ქართულ ოცნებას“ აქვს... ავაშენეთ სტადიონი და „რუხი — მოლი“...**

თუ ქვარაიას მიერ კითხვაზე გაცემულ პასუხს მათემატიკურად ავხსნით, ასეთი ფორმულირება გამოგვივა: გასავლელი მანძილი — 30 კილომეტრი, გადაადგილება — 0.

— აისახა თუ არა ხალხზე თქვენი ოთხწლიანი მოღვაწეობა?

მერაბმა უპასუხა:

— მთავარი ის არის, რომ ახლა ხალხთან ლაპარაკი შეიძლება, ყველა და ყველაფერი თავისუფალია, ჩვენი მიზანია (სლოგანი...) სწრაფი განვითარება და სახალხო კეთილდღეობა.

გრიგოლია ქვარაიას მშიერ ხალხზე ესაუბრებოდა, ქვარია კი პასუხობდა, — დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, ადამიანთა თავისუფლებას განმტკიცება სჭირდება, ხოლო უფლებებს — ყოველდღიური დაცვაო.

ალბათ, როცა შინ ვინმეს მოშივდება და ეკითხება, — მერაბ, საჭმელი თუ გვაქვს რამეო, პასუხობს — კი, რა თქმა უნდა, გვაქვს; აი იქ არის ტუალეტი და ცხელი წყალიცო.

**თხუთმეტწუთიანი საუბრისას დასმული შვიდი შეკითხვიდან მერაბ ქვარაიამ მხოლოდ ერთს უპასუხა, ისე, რომ პასუხი კითხვიდან გამომდინარეობდა, თუმცა იმ ერთხელაც იცრუა.**

**თხუთმეტწუთიანი საუბრისას დასმული შვიდი შეკითხვიდან მერაბ ქვარაიამ მხოლოდ ერთს უპასუხა ისე, რომ პასუხი კითხვიდან გამომდინარეობდა, თუმცა იმ ერთხელაც იცრუა**



მერაბს არც მთავარი მოწინააღმდეგე ჩამოუვარდება. **დავით ბაქრაძემ** საზოგადოებასთან შეხვედრისას თქვა, რომ მოძალადე ხელისუფლება ყოველთვის დამარცხდება ხალხის ნებასთან, ამასობაში კი **სანდრა რულოვსმა** განაცხადა: „ჩვენ ძალადობის გამეორებას არ ვაპირებთ“, ანუ „ნაცმოძრაობა“ ხალხის ნებასთან კი დამარცხდა, მაგრამ ხელახლა უნდა ხელისუფლებაში მოსვლა.

ეს იგივეა, კაცმა, რომელმაც ქალი გააუპატიურა, მას კიდევ ერთი შეხვედრა სთხოვოს იმ პირობით, რომ აღარ გააუპატიურებს.

„...მოდი, ხალხს ვკითხოთ, მოდი, რეფერენდუმი ჩავატაროთ, მოდი, თარიღი დავნიშნოთ, მერე ჩატარდება ეს რეფერენდუმი და, ადრე თუ გვიან, ვეღარ შეხვალ შენს სახლში პასპორტის გამოცვლის გარეშე“.

აბა, გამოიცანით ამ სიტყვების ავტორი.

არა, ის არ არის დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლი დიქტატორი. ამ ფრაზის შემოქმედი საქართველოს ყოფილი პირველი ლედი **სანდრა რულოვსია.**

სამტრედიაში შეხვედრისას სანდრამ ხალხს უთხრა, თუ რაოდენ საშინელი და დამღუპველი რამ არის ხალხის აზრის თავისუფლად გამოხატვა. ეტყობა, დემოკრატიული ღირებულებების დამცველი რომ არის.

ზუგდიდში მოყოლილმა ამბავმა კი პირდაპირ შემძრა.

**„როცა ამერიკაში ვიყავი, ტაქსისტმა მკითხა: როგორ არის საქართველო მიშას შემდეგ? მე კი ძალიან სერიოზულად ვუპასუხე: ცუდად“.**

გია ჯაჯანიძე რომ ვიყო, აუცილებლად მოვიწვევდი სანდრა რულოვსს ჩემს შოუში თავისი ტაქსისტიანად...

ძალიან მაინტერესებს, რომელ ამერიკელ ტაქსისტს შესტკივა გული სააკაშვილის მიერ საქართველოს დატოვებაზე?!

ქალბატონო სანდრა, მინდა, გაგაფრთხილოთ: „ოცნება“ თქვენს პოპულარობას საფრთხეს უქმნის. მათ ინდიელი მუსიკოსები დაიქირავეს და მეგრულ სიმღერებს ასწავლიან, ამიტომ სასწრაფოდ ელარჯი გააკეთეთ, თორემ თქვენი რეიტინგი თქვენი ამომრჩევლის ზნეობასავით დაეცემა.

**«რამდენად პოპულარულია სანდრა რულოვსი, არჩევნები დაგვანახვებს, ხოლო ზუგდიდი ცხოვრობს აქტიური საარჩევნო ცხოვრებით. აქ ყველა პარტიამ წარმოადგინა თავისი კანდიდატი, ყველაზე დიდი შანსი «ქართულ ოცნებას» აქვს... ავაშენეთ სტადიონი და «რუხი — მოლი»... თუ ქვარიას მიერ კითხვაზე გაცემულ პასუხს მათემატიკურად ავხსნით, ასეთი ფორმულირება გამოგვივა: გასავლელი მანძილი — 30 კილომეტრი, გადაადგილება — 0**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალაიას ხელმძღვანელობისას არაერთი პატიმარია ნაწამები, ახალაია პირადად მონაწილეობდა ადამიანების წამებაში. რაც შეეხება მერაბიშვილს, ყველას ახსოვს, როგორ ართმევდა ადამიანებს ქონებას, რა თქმა უნდა, ადეიშვილთან ერთად, ყველას ახსოვს შეკვეთით დაჭერილი ადამიანები.**

# «ბიძინა ივანიშვილის მაგივრად დავსვამ კითხვას: რატომ არ არის ბოლომდე გამოძიებული ლაფანყურის საქმე, რომლითაც ვლინდება მერაბიშვილის, ახალაიასა და მათი ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი კავშირები და დანაშაული ტერორიზმის სპონსორობაში?»

**ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „ჯი-დი-ესის" პროექტში „შეხვედრები რეგიონულ მედიასთან" განაცხადა: „ვერ ვნახე „ნაციონალური მოძრაობის" გულწრფელი მონანიება. მონანიება იქნება მაშინ, როცა ისინი აღიარებენ კონკრეტულ დანაშაულებს. მე მათგან ამგვარი აღიარებები არ მომისმენია. სანდრა რულოვსმაც ზოგადად განაცხადა, რომ ისინი შეცდომებს აღარ გაიმეორებენ. რომელ გადაცდომებსა და შეცდომებზეა საუბარი, ახალგაზრდა ბიჭები რომ ჩახოცეს? პატიმრებს რომ იჭერდნენ და უდანაშაულო ხალხს აწამებდნენ? ჯერ უნდა აღიარონ დანაშაული, ბოდიში მოიხადონ და მერე უნდა თქვან, აღარ გავაკეთებთ მეტსო. ახალაიასა და მერაბიშვილს ისევ პოლიტპატიმრებად რომ მოიხსენიებს, ეს ხალხი აღიარებს დანაშაულს? გამოვიდეს ქალბატონი სანდრა და თქვას, პოლიტპატიმრები არიან ისინი თუ დანაშაული ჩაიდინეს ქვეყნის წინაშე. აღიარონ, რომ ახალაია სამართლიანად არის დაპატიმრებული, მერაბიშვილი სწორად ზის ციხეში, რომ 26 მაისს ასეთი დარღვევები არ უნდა ყოფილიყო, 7 ნოემბერი ასეთი არ უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: არც ერთი აღიარება მათი მხრიდან დღეს არ გაგვიგია, ისევ ძალადობენ და ისევ სიცრუეზე არის მათი იდეოლოგია დაფუძნებული".**

**მართლაც საინტერესოა, ის ადამიანები, რომლებიც ახალაიასა და მერაბიშვილს პოლიტპატიმრებად მოიხსენებენ, არიან კი მომნანიებელი ან, რომც მოინანიონ, კვლავ შეძლებენ ამომრჩევლის ნდობის დაბრუნებას? რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ" იმისთვის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ამდენი აღარ გაებედა?**

**ამ საკითხებზე გვესაუბრებიან ადვოკატი ირმა ჭკადუა, პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია და უფლებადამცველი ლალი აფციაური.**



## «სანდრა არის ქალი, რომელიც ბათუმში გაჰკიოდა, თქვენ ცოცხები ნამდვილად გინდათო»

**ირმა ჭკადუა:**

— პარტიის მხრიდან მონანიება, რასაკვირველია, არაფერს ნიშნავს. **„ნაციონალური მოძრაობა", როგორც პარტია, აღარ არსებობს.** მას არ აქვს მომავალი, სწორედ ამიტომ ხდება მათი რებრედინგი სხვადასხვა პარტიაში გადასვლით, მაგრამ ის ადამიანები, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმ უკანონობაში, რომელიც 9 წლის განმავლობაში ხდებოდა — ციხეებში წამება, არაადამიანური მოპყრობა, გაკულაკება, ქონების წართმევა, ჩვენი საზოგადოების ნაწილი არიან. მათ ჰყავთ მეგობრები, ნათესავები, ამ ქალაქში ცხოვრობენ, მათივე რეაბილიტაციისთვის ეს კარგი იქნებოდა. ამომრჩეველს აქვს გააზრების შესაძლებლობა, მას არავინ აიძულებს, კონკრეტულად ერთ რომელიმე პარტიას დაუჭიროს მხარი, წინასაარჩევნო გარემო უჩვეულოდ მშვიდია, ასეთი გარემო ბოლო ათი წლის განმავლობაში არ გვახსოვს. არ ვხედავთ ქალაქში გადაჭედილ ავტობუსებს, რომლებითაც ხალხს მოერეკებოდნენ ხოლმე რეგიონებიდან. რაც უნდა ეცადოს ხელისუფლება, ხალხი ისეა შეცვლილი, ვერავინ აიძულებს ხმის მიცემას არასასურველი პოლიტიკური ძალისთვის.

**— სააკაშვილის ცოლი, სანდრა რულოვსი, სამეგრელოში აქტიურად ატარებს წინასაარჩევნო კამპანიას...**

— ვხედავთ, რომ, სადაც კი გამოჩნდებიან წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, ადამიანების რისხვას იმსახურებენ. ქალბატონი სანდრას მთავარი მესიჯი, რაც ზუგდიდში თქვა, იყო ის, რომ ისინი აღარ გაიმეორებენ ძალადობას; ასევე ამბობს, რომ გააგრძელებს მიშას გზას. **სანდრა არის ქალი, რომელიც ბათუმში გაჰკიოდა, თქვენ ცოცხები ნამდვილად გინდათო. დღეს თუ არჩევანის გაკეთება გაუჭირდება საზოგადოებას, მაშინ პრობლემა უკვე ამომრჩეველშია. არ მეგულება ოჯახი, რომელსაც არ შეხებია წინა ხელისუფლების ავტორიტარული რეჟიმი; არ მეგულება ოჯახი, რომელშიც არ იყო ერთი პატიმარი ან პრობაციონერი მაინც.** ხალხს, შესაძლოა, არჩევანის გაკეთება მოუწიოს ცუდსა და უარესს შორის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობა".

**— ივანიშვილმა თქვა, ჯერ ბოდიში მოიხადონ და შემდეგ დააკონკრეტონ, რას გააკეთებენ და რას აღარ გააკეთებენო...**

— ვერ დავეთანხმები ბატონ ივანიშვილის. რაც უნდა აღიარონ, ფაქტი ფაქტად რჩება, იმას, რაც „ნაცმოძრაობამ" ჩაიდინა, ისტორია თავის სახელს დაარქმევს. როგორი რებრედინგიც უნდა განიცადოს „ნაციონალურმა მოძრაობამ", აღარასდროს ვენდობი. აქედან გამომდინარე, ჩემთვის უინტერესოა, რას მპირდება ადამიანი, რომელიც გუშინ მკლავდა, მაუპატიურებდა, ღირსებას მყრიდა, დღეს კი ამბობს, ხვალ ამას აღარ გავიმეორებო.



## «თუ ხალხს სურს, მხარი დაუჭიროს ნაციონალ-სოციალიზმს, მაშინ ნურავინ დაიწუწუნებს, თუ მათი ოჯახის წევრებს ღამე დააპატიმრებენ ან პოლიტიზებული პოლიცია მათ შვილებს ქუჩაში დახვრეტს»

**ვახტანგ მაისაია:**

**— ბატონო ვახტანგ, ივანიშვილმა განაცხადა, ის ხალხი, ახალაიასა და მერაბიშვილს პოლიტპატიმრად რომ მოიხსენიებენ, არის რამის მომნანიებელიო? როგორ ფიქრობთ, სწორი შენიშვნაა ყოფილი პრემიერმინისტრის მხრიდან?**

— აბსოლუტურად სწორი შენიშვნაა. ძალოვანი სტრუქტურის ეს წარმომადგენლები, ყოფილი სახელმწიფო მოხელეები, არა მხოლოდ საქართველომ, არამედ ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ცნო დამნაშავედ. მათ დაადასტურეს, რომ ეს სუბიექტები მონაწილეობდნენ სისტემურ დანაშაულებში, 7 ნოემბერი და 26 მაისი — სწორედ ეს არის სისტემური დანაშაული, რომ არაფერი ვთქვათ **სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძისა** და სხვა ახალგაზრდების საშინელი გზით დახოცვაზე. არის კიდევ ლაფანყურის საქმე, რომელიც მიუთითებს ტერორიზმის საერთაშორისო მფარველობაზე. **ბიძინა ივანიშვილის მაგივრად დავსვამ კითხვას: რატომ არ არის ბოლომდე გამოძიებული ლაფანყურის საქმე, რომლითაც ვლინდება მერაბიშვილის, ახალაიასა და მათი ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი კავშირები და დანაშაული ტერორიზმის სპონსორობაში.** ეს არის უმძიმესი ქმედება დღეს, როდესაც მიმდინარეობს საერთაშორისო ბრძოლა ტერორთან. აი, ამ კუთხით შევეპასუხებოდი ივანიშვილის მაგივრად იმ ოპონენტებს, რომლებიც ამ სუბიექტებს (მათ არ შეიძლება ადამიანები ვუწოდო) პოლიტპატიმრებად აცხადებენ.

**— რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ" „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსააშკარავებლად?**

— არაფერი გაუკეთებია და ესეც სახელმწიფო დანაშაულია. დამნაშავეა ისიც, ვინც დამნაშავეს ხელს აფარებს. პოლიტპატიმრები ბიძინა ივანიშვილის პირადი ინიციატივით გაათავისუფლეს, თორემ, ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა, პოლიტპატიმრებიც არ გამოეშვათ. **ცუდია, რომ ივანიშვილს ისეთი გარემოცვა ჰყავს, რომელიც ინფორმაციას უმალავს და არ აძლევს საშუალებას, ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებოდეს ხელი.** საქართველო გარდამავალ პერიოდშია. ხშირად ამბობენ ხოლმე, არაფორმალური მმართველიო. მოდი, ჯერ მივაღწიოთ იმ დონემდე, რომ არაფორმალური მმართველი არ გვჭირდებოდეს და შემდეგ ვილაპარაკოთ. საქართველოს დღეს სჭირდება არაფორმალური მმართველი. **საქართველოში ორი არაფორმალური ლიდერია. ერთი — ბოროტი, მეორე — კეთილგონიერი.** ბოროტი, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილია, რომელიც ძალიან ცუდ გავლენას ახდენს თავისი პოლიტიკური ძალის მეშვეობით, მეორე არის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ცდილობს (რამდენად გამოსდის სხვა საკითხია) დადებითი საქმეების კეთებას. ჩვენ ჯერ არ მოგვიშორებია ავტორიტარული სისტემის ელემენტები. ავიღოთ **დემურ სტურუას ფაქტი: ახალგაზრდა მიიყვანეს თვითმკვლელობამდე, მხეცურად გაუსწორდნენ მის დედას. აი ეს არის ზუსტად გადმონაშთი და მხეცური სულის გამოვლენა. „ბეტმენიზაციის" პროცესში ვიმყოფებით. ბეტმენი რომ არ ყოფილიყო, ბოროტი ხუმარა ხომ გაიმარჯვებდა და, ასე ვთქვათ, გამგებელი ხომ გახდებოდა?!**

**— „ნაციონალური მოძრაობა" ითხოვს ამომრჩევლის ნდობას. იმსახურებენ კი ისინი, რომ დღეს ქართველმა ხალხმა კვლავ დაუჭიროს მხარი?**

— „ჰეროკრატიის" ნახვის შემდეგ **„ნაციონალურ მოძრაობას" საქართველოს ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიას ვუწოდებ. თუ ხალხს სურს, მხარი დაუჭიროს ნაციონალ-სოციალიზმს, მაშინ ნურავინ დაიწუწუნებს, თუ მათი ოჯახის წევრებს ღამე დააპატიმრებენ ან პოლიტიზებული პოლიცია მათ შვილებს ქუჩაში დახვრეტს.**



## «ახალაია პირადად მონაწილეობდა ადამიანების წამებაში»

**ლალი აფციაური:**

— როგორ შეიძლება, პოლიტპატიმრები იყვნენ ახალაია და მერაბიშვილი?! ზუსტად ვიცი, თითოეული მათგანის ნამოქმედარი. უამრავი ადამიანი უდანაშაულოდ ჩასვეს ციხეში, ახალაიას ხელმძღვანელობისას არაერთი პატიმარია ნაწამები, **ახალაია** პირადად **მონაწილეობდა ადამიანების წამებაში.** რაც შეეხება მერაბიშვილს, ყველას ახსოვს, როგორ ართმევდა ადამიანებს ქონებას, რა თქმა უნდა, ადეიშვილთან ერთად, ყველას ახსოვს შეკვეთით დაჭერილი ადამიანები.

**— არც ერთი აღიარება „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან არ გაგვიგია, ისევ სიცრუეზეა მათი იდეოლოგია დამყარებულიო, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა**

— და ვისი აღიარება გვჭირდება? აღიარებული არ არის? განა ხელისგულზე არ გვიდევს ყველაფერი? **„დედას გეფიცები, მამას გეფიცები, აღარ ჩავიდენ" — ასე არ ხდება.** რაც ჩაიდინეს, იმაზე აგონ პასუხი, საბავშვო ბაღში ხომ არ ვართ? თითოეულის დანაშაული ხელის გულზე დევს, გამოიძიონ კვალიფიციურმა გამომძიებლებმა, მისცენ შესაბამისი შეფასება და სასამართლო რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს, იმის მიხედვით აგონ პასუხი.

ისე, **ნაციონალების მხარდამჭერი ადამიანი მათნაირი მენტალიტეტისაა.**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

## «ივანიშვილს ისეთი გარემოცვა ჰყავს, რომელიც ინფორმაციას უმალავს და არ აძლევს საშუალებას, ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებოდეს ხელი»

**ივანიშვილის მიერ მოყოლილი ზღაპრები ზღაპრებად დარჩება და ასე გაილევა თითოეული ჩვენგანისა და ქვეყნის ცხოვრება. ივანიშვილმა რაც იცის, ეს არის საკუთარი ბიზნესის მართვა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის თუნდაც ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ივანიშვილის მმართველობა ფეოდალური პერიოდის გამეორებაა — მოჯამაგირედ ქცეული ხელისუფლებითა და ხალხით. ასეთი საქართველო ვერც ევროკავშირში შევა და ვერც — ნატოში. და რაც მთავარია: ასეთი საქართველო პროგრესს ვერ ელირსება.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავად სად იყავი და რას აკეთებდი 2011 წლამდე, პატივცემულო მოქალაქევ?!

**ტელევიზია „იბერიის" ეთერში გადაცემის ერთ-ერთი მონაწილის კითხვაზე — „ხეები ნაციონალების დროსაც იჭრებოდა, ხმას ვერ იღებდით, 2012 წლამდე გეძინათ?", „პარტიზანი მებაღის" ლიდერის — ნატა ფერაძის პასუხმა „ვტყნ...ი" დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგმა დაგმო ესოდენ თავხედური პასუხი. ზოგმა ჩათვალა, რომ პასუხი ადეკვატური იყო. ზოგმა პოლემიკა გამართა და იმის მტკიცება დაიწყო, უზნეობაა კითხვების დასმა — სად იყავი? ვისთან იდექი? — ვინაიდან ადამიანისთვის, განსაკუთრებით, პოლიტიკოსისთვის უჩვეულო არ არის პოზიციის შეცვლა — ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლა, მეორედან — მესამეში, გუშინდელ მოწინააღმდეგესთან ჩახუტებაო და ა.შ.**

ნიშანდობლივი იყო ერთი ექსპერტისა და ერთი პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული აზრებიც. ორივენი მიიჩნევენ, რომ ასეთი შეკითხვის დასმაც კი უმსგავსობაა. ორივეს მძიმე ტვირთად უნდა აწვეს წარსული, რადგან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული „ნაცმოძრაობასა" და მის ლიდერთან. მათი ნათქვამი „ნაცებთან" თანამშრომლობის გამო შეფარული თავის მართლებაა. ერთ-ერთი მათგანის მიერ მოყვანილი უცხოელი პოლიტიკოსების პარტიიდან პარტიაში გადასვლის მაგალითებიც უადგილოა, რადგან პარტიის ცვლა გამოწვეული იყო არა მერკანტილური, არამედ იდეოლოგიური მოსაზრებით, რომელიც საქართველოს პარტიულ ცხოვრებაში არასდროს მომხდარა.

ხოლო რაც საქართველოში მოხდა, ხდება და მომავალშიც მოხდება, საკუთარი კეთილდღეობისთვის ბრძოლაა და არა პარტიული იდეალებისთვის. პარტიული მიგრაცია, განსაკუთრებით თვალშისაცემია პარლამენტის არჩევნების წინა პერიოდში. მას ისეთი აჟიოტაჟი ახლავს, როგორიც ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებას (სატრანსფერო პერიოდს) ევროპაში. იქ კლუბები ყიდულობენ ფეხბურთელებს. აქ კი თვით ე.წ. პოლიტიკოსები სთავაზობენ თავიანთ თავს პარლამენტში გამსვლელ პარტიას. ორივე შემთხვევაში ფული ტრიალებს: პირველში — ბევრი, მეორეში — ნაკლები, მომავალი პარლამენტარის „პოლიტიკური წონიდან" გამომდინარე.

**ბატონობის 9-წლიან პერიოდში ნაციონალებმა უდიდესი ტკივილი მიაყენეს ქვეყანას და დაიმსახურეს ყველაზე ნეგატიური სიტყვები, რომლებიც კი, საერთოდ, მოიპოვება ქართულ ლექსიკაში. თავიანთი აღვირახსნილობით, სისასტიკით, ჯალათური პოლიტიკით ეს პარტია იმსახურებს კანონგარეშედ გამოცხადებას და, აქედან გამომდინარე, რიგი ღონისძიებების გატარებას მის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ მოხდა „ფრენია პოლიტიკოსების", გაუმართლებლად შემნდობი ხელისუფლებისა და ხალხის გამო. დაუსჯელობა კი დასასჯელში იწვევს განცდას, რომელსაც ჰქვია „მართალი ვიყავი და ვარ"!**

როდესაც მავანი ამბობს, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ სად იყოო, ის „ყოფნა" კრიმინალს არ უნდა უკავშირდებოდეს. ასეთ „ყოფნას" გამართლება არ აქვს, მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ პარტიულ და ექსპერტულ წვრილფეხობას, როდესაც მსხვილფეხა მამა-მარჩენალიც იმავეს ამბობს.

„ორწელიწად-ნახევარი ხელისუფლებას ვაფინანსებდი, რასაც ვმალავდით და კარგად ვფუთავდით. პირდაპირი მნიშვნელობით მე სააკაშვილს არ დავხმარებივარ არაფერში", — განაცხადა ივანიშვილმა. ორწელიწად-ნახევარი საკმაო დროა ისეთი ადამიანის გამოსააშკარავებლად, როგორიც სააკაშვილი იყო.

„არ დავხმარებივარ", — თქვა ივანიშვილმა, მაგრამ ცნობილია, რომ მან სააკაშვილის დედასა და მეუღლეს ხელი გაუმართა, ცხადია, მილიონებით. „წინასწარმეტყველმა" ბიძინამ ვერ დაინახა ის საშინელებები, რომლებსაც სააკაშვილი სჩადიოდა პირველი სამი წლის განმავლობაში. ხალხი, რომელსაც პიროვნების ამოცნობის პრეტენზია არ აქვს, მით უმეტეს, წინასწარმეტყველების, რასაც ივანიშვილი იჩემებს, უმალ მიხვდა, სააკაშვილისა და „ნაცების" სახით, ვისთან ჰქონდა საქმე.

მიხვდა, მაგრამ გვიანი იყო, საპროტესტო გამოსვლებიც მოაწყო, მწვავე მიტინგებიც, კარვებიც დასცა, მაგრამ ისეთი გამყიდველების გამო, როგორებიც იყვნენ **ძმები გაჩეჩილაძეები** და სხვები, ვერაფერს მიაღწია.

**2007 წლის ბობოქარ შემოდგომაზე ბიძინა ივანიშვილი მხარში ედგა სააკაშვილს და არ იშურებდა ძალას, არც ფულს ნაცისტური რეჟიმის გასამყარებლად. რომ არა ივანიშვილი და მისი ფული, სააკაშვილის რეჟიმი მალე დალევდა სულს.**

შეგნებულ საზოგადოებას ივანიშვილის იმჟამინდელი ქმედება, ერთი ანდაზის მსგავსად: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ" — სხვაგვარად, ანუ ნეგატიურად აქვს აღქმული. ივანიშვილი ისეთივე გაკიცხვას იმსახურებს, როგორც „ნაცი" სააკაშვილი.

**გაიხსენეთ ნიურნბერგის პროცესი: დამნაშავე „ნაცებთან" ერთად, განსასჯელის სკამზე მსხდომი გერმანელი მეწარმეები. მათ „ნაცების" მიერ ჩადენილ დანაშაულში ედებოდათ ბრალი, ანუ „ნაცებისთვის" ფინანსურ დახმარებაში. ივანიშვილს თავის ქება ვერ გაამართლებს, ვინაიდან უდიდესი წვლილი მიუძღვის სააკაშვილისა და „ნაცების" დახმარებაში. რაც მთავარია, ხელისუფლების დათმობის შემდეგ კოჰაბიტაციის მოტრფიალე სწორედ ივანიშვილი იყო, რომელმაც ძალა არ**



**დაიშურა „ნაცების" გადასარჩენად.**

საზოგადოებას კარგად ახსოვს ივანიშვილის მიერ „ნაცების" სასარგებლოდ გაკეთებული განცხადებები. მან აიძულა „ოცნების" მარიონეტი ხელისუფლება, ისე ემოქმედა, თმის ღერი არ ჩამოვარდნოდა „ნაცებს" თავიდან.

ცხადია, **დღეს ხელს არავის აძლევს, „გუშინ ვინ სად იყოს" გახსენება, ვინაიდან ყველა იქ იყო, სადაც თვლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ. თავის გასამართლებლად იმასაც ამბობენ, სააკაშვილის პირველი წლები წარმატებული იყოო, პრეზიდენტის, რომელმაც მმართველობის პირველივე დღიდანვე სასტიკი რეპრესიები დაიწყო.**

ივანიშვილი ებრძვის სააკაშვილს პირადი შეურაცხყოფის გამო, მაგრამ ნაკლებად — „ნაცებს". მან გადაარჩინა „ნაცები" და ისეთი ვითარება შექმნა, უარესს მტერიც რომ ვერ ინატრებდა. **ივანიშვილმა ამომრჩეველი მძიმე არჩევანის წინაშე დააყენა — ან „ოცნება", ან „ნაცები". დანარჩენი, მისივე თქმით, „გაიკრიფა". ხალხს არ უნდა უსაქმური „ოცნების" არჩევა, მაგრამ რა ქნას? არ აირჩევს „ოცნებას" და ნაციონალები დაბრუნდებიან. ძალაუნებურად „ოცნებას" უნდა მისცეს ხმა. ეზიზღება, მაგრამ მაინც ის ურჩევნია ბოროტ „ნაცებს".**

ივანიშვილმა შექმნა სისტემა, რომელიც მძიმე უღელივით აწვება ხალხს. ამასთანავე, ეს სისტემა გააპიარა კიდეც — გამუდმებული ლაპარაკით, რა კარგი და საამურია მის მიერ შექმნილი სისტემა, რაოდენ დიდ წარმატებებს მიაღწია „ოცნებურმა" მმართველობამ. რა კარგად ცხოვრობს ხალხი დღეს, ვიდრე 4 წლის წინათ ცხოვრობდა.

**„2012 წლამდე 137-ე პოზიცია ეჭირა საქართველოს და ბოლოდან მე-6 ადგილზე ვიყავით მაკროეკონომიკური გარემოს მიხედვით. დღეს საოცარი გარდატეხა მოხდა. საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორიცაა ბელგია, ირლანდია, აშშ, საფრანგეთი, ბრიტანეთი, იაპონია",** — ამბობს ივანიშვილი.

აი, რას ნიშნავს ეკონომიკურად „უზომოდ" განვითარებული ადამიანი. **ჩვენ, ეკონომიკურად განუვითარებლებმა, ჩვენსავე ზურგზე გამოვცადეთ სააკაშვილის 9-წლიანი „წინსვლა" და „ოცნების" 4-წლიანი „მიღწევები".**

**ივანიშვილის ნათქვამი მხოლოდ ხელისუფლების კეთილდღეობას ეხება და არა ქვეყნის. სწორედ ამაში გაუსწრო საქართველომ ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს. საღად მოაზროვნე ნებისმიერი ადამიანისთვის უდავოდ შემაშფოთებელია იმ პირისგან ესოდენ დაუჯერებლის მოსმენა, რომელსაც 4 წლის წინათ მხსნელად მიიჩნევდა.**

პატივცემულო მკითხველო, ობიექტურად შეაფასეთ ივანიშვილის ნათქვამი და, თუ ასე მოიქცევით, მიხვდებით, რაში „გაუსწრო" საქართველომ ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს. იქნებ საქართველოს პრეზიდენტი, როგორც მოწინავე ქვეყნის წარმომადგენელი, ესწრებოდა ჩინეთში გამართულ „დიდი ოცეულის" შეხვედრას და ჩვენ ვერ დავინახეთ?

**ივანიშვილის ნათქვამი ტყუილსაც აღარ ჰგავს. ეს ავადმყოფური აზრის ნაყოფია და ავადმყოფს მკურნალობა სჭირდება.**

„გადით ქუჩაში, ამერიკაში ჩაგიყვანთ და გაჭირვებულებს ყველგან გაჩვენებთ. გვაქვს რეალური შანსი იმისა, რომ 2030 წელს ასეთი ქვეყნების მსგავსი ეკონომიკა გვქონდეს", — აცხადებს ივანიშვილი.

სად არის ლოგიკა? თუ დღეს ზემოაღნიშნულ ქვეყნებს ვუსწრებთ, რა შუაშია 2030 წელი?

აშშ-ი არიან ღარიბ-ღატაკებიც, ისეთებიც, რომლებიც ნაგავში იქექებიან, უსახლკაროებიც, ნარკომანებიც და ა.შ., მაგრამ იქაური ღარიბ-ღატაკების ცხოვრების პირობები და სოციალური მდგომარეობა იმ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ფენებთან არის შეფარდებული და არა სხვა ქვეყნების ღარიბ-ღატაკებთან.

თუ ამ პარამეტრებით შევადარებთ აშშ-ისა და სხვა ქვეყნების (არა საქართველოს) მოქალაქეებს, დავინახავთ აშშ-ის უპირატესობას. სახელმწიფოს მიერ უმუშევართა დახმარება მრავალსაფეხურიანია და თვეში 1500 დოლარს აჭარბებს, ეს გაცილებით ნაკლებია იქაური სხვა სოციალური ფენების თვიურ შემოსავალზე, მაგრამ მეტია, ვიდრე სხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, სადაც დღიური შემოსავალი 1.5 დოლარს არ აღემატება.

კანადაში არის ქალაქი ვანკუვერი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში პირველობას არვის უთმობს საამური ცხოვრების თვალსაზრისით. ვანკუვერი პირველია მსოფლიოში ცხოვრების პირობებით, სოციალური მდგომარეობით, კომფორტულობით, მოქალაქეთა მაღალი შემოსავლებით და ა.შ.

მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდი ამ ქალაქს. ღამით სეირნობისას თავი ამოვყავი ცენტრიდან არცთუ მოშორებულ უბანში — ჭუჭყიანში, უსახლკაროებითა და მათხოვრებით, ნარკომანებით სავსეში. შემზარავი იყო იქაურობა, რომელმაც უმალ დამავიწყა დანარჩენი გაქათქათებული ვანკუვერი.

ამ უბნის მნახველს უმალ გაუჩნდება გაოცება და სიბრაზე ქალაქის მესვეურთა მიმართ. და როდესაც ჩემი ნეგატიური შთაბეჭდილების შესახებ ვუთხარი მასპინძლებს, ამიხსნეს: იმ უბანში მცხოვრებ „ლუმპენებს" სახელმწიფომ უფასო ბინებიც მისცა, თვიური დახმარებაც — ფულის სახით, სხვა სოციალური პირობებიც აქვთ შექმნილი, მაგრამ მათ ისეთი ცხოვრება სურთ, როგორიც აქვთ, ხელისუფლებამ მისცა გამოსწორების საშუალება, მაგრამ ისინი ძველებურად განაგრძობენ ცხოვრებასო.

**ვანკუვერის ზერელე დამთვალიერებელს, ისევე, როგორც ივანიშვილს ამერიკაზე, უდავოდ შეექმნება შთაბეჭდილება, რომ კანადაში ღარიბ-ღატაკი ბევრია, თუმცა იქაური ღარიბ-ღატაკის თვიურ შემოსავალს საქართველოს საშუალო ფენა (რომელიც შესაქმნელია), 2030 წლისთვისაც ვერ ელირსება.**

„ეკონომიკური ზრდის ტემპი, რომელიც საქართველოს ახალი ხელისუფლების პირობებში აქვს, არასდროს ჰქონია, — განაცხადა ივანიშვილმა გურიაში ჟურნალისტებთან შეხვედრისას და დასძინა, — ჩვენ ვართ ლიდერები ეკონომიკური ზრდის ტემპით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, როგორც რეგიონში, ისე ევროპაში".

ადამიანთან, რომელსაც თავში აქვს ჩადებული მცდარი მოსაზრება, მით უმეტეს ისეთ ადამიანთან, როგორიც ივანიშვილია, შეპასუხებაც არ ღირს, რადგან ვერაფერს შეაგნებინებ და გუნება-განწყობილებასაც გაიფუჭებ.

ივანიშვილი ნარცისია, საკუთარ თავზე შეყვარებული, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული. ასეთთან კამათს აზრი არ აქვს და ეს საზოგადოებამ უნდა შეიგნოს. მან სხვა თვალით — საღით უნდა შეხედოს იმ გაუსაძლის პირობებს, რომლებიც „ნაცებისა" და „ოცნების" „ძალისხმევამ" გვარგუნა, შეაფასოს ვითარება და დასვას უმარტივესი კითხვა — **რა უფლება აქვს ივანიშვილს, ხელი აფათუროს ქვეყნის პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ცხოვრებაში ისე, თითქოს ქვეყნის პრეზიდენტი იყოს?**

ივანიშვილი არ არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი. მას არავითარი თანამდებობა არ უკავია, არც პარტიის ლიდერია. მაშ, ვინ არის, ასე თავდაჯერებით რომ ილაპარაკოს ქვეყანაზე?

საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ პოლიტიკური ცხოვრება, მით უმეტეს, ქვეყნის ყოფნა-არყოფნა ვიღაც კერძო პირზე არ უნდა იყოს ჩამოკიდებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ აშენდება.

ივანიშვილის მიერ მოყოლილი ზღაპრები ზღაპრებად დარჩება და ასე გაილევა თითოეული ჩვენგანისა და ქვეყნის ცხოვრება. ივანიშვილმა რაც იცის, ეს არის საკუთარი ბიზნესის მართვა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის თუნდაც ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

ივანიშვილის მმართველობა ფეოდალური პერიოდის გამეორებაა — მოჯამაგირედ ქცეული ხელისუფლებითა და ხალხით. ასეთი საქართველო ვერც ევროკავშირში შევა და ვერც — ნატოში. და რაც მთავარია, ასეთი საქართველო პროგრესს ვერ ელირსება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

ღეზტრასია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოზრდილი დავით ზურაბიშვილის აზრით, მართლმადიდებელი ეკლესია — საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საფუძველი — „ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახადი“ ყოფილა; საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შესარყევად, ქართველი კაცის გადასაგვარებლად გულუხვად დაფინანსებული რელიგიური სექტები და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები კი — სააკაშვილთან ერთად დემოკრატიის შუქურები...**

# რესპუბლიკური პარტია — სახადი, რომელიც აუცილებლად უნდა მოიხადოს საქართველომ

**1991 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ ამა წლის 8 ოქტომბერს საქართველოში უკვე რიგით მე-9 საპარლამენტო არჩევნები (1990 წ; 1992 წ; 1995 წ; 1999 წ; 2003 (გაუქმდა); 2004 წ; 2008 წ; 2012 წ.) უნდა ჩატარდეს, მაგრამ დეპუტატობის, ანუ ხელისუფლებაში ყოფნის მსურველები, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 230 პარტიაა რეგისტრირებული, ძირითადად, ერთი და იგივე პირები არიან.**



ამ პარტიებში გაერთიანებული პოლიტიკოსების უმრავლესობას ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ყოფნა პირადი კეთილდღეობისათვის უნდა და არა ქვეყანასა და ხალხზე ზრუნვისთვის. ეს მათ მიერ გაკეთებული საქმეებიდან ჩანს: ბოლო 26 წელიწადია, პოლიტიკოსების მიერ გაცემული დაპირებების მიუხედავად, საქართველო წელში ვერ გაიმართა — ქვეყანაში უამრავი ადამიანი სიდუხჭირეში ცხოვრობს, დაკარგულია ტერიტორიების თითქმის 20%; განადგურებულია განათლების სისტემა, კულტურის სფერო, მრეწველობა, სულს ღაფავს სოფლის მეურნეობა, დასავლური ე.წ. ფასეულობების მომძლავრების ფონზე დეგრადირებულია სულიერების სფერო, საერთოდ, ადამიანი. სწორედ ამ ე.წ. დასავლურ ფასეულობებს უჭერს მხარს რესპუბლიკური პარტია, რომელიც 1978 წელს დააარსეს **ვახტანგ ძაბირაძემ, ვახტანგ შონიამ** და ძმებმა — **ლევან** და **დავით ბერძენიშვილებმა**, და რომელიც თითქმის ნულოვანი რეიტინგის გამო, საკანონმდებლო ორგანოში შესვლას მხოლოდ სხვა პოლიტიკურ ძალებთან გაერთიანებით ახერხებდა.

რეპუბლიკური პარტია, რომლის წევრების უმრავლესობამ პოლიტიკური ნათლობა ამერიკელების მიერ გულუხვად დაფინანსებულ არასამთავრობოებში მიიღო, ყოველთვის ახერხებდა ამა თუ იმ ძალასთან მიკედლებას და სახელისუფლო სტრუქტურებში ადგილის დამკვიდრებას. ასე მოხდა 2003 წელს, როდესაც ქართველი ხალხის ჯალათ „ნაცმოძრაობასთან“ ერთად „ვარდების რევოლუციის“ მოწყობის შემდეგ შევიდა პარლამენტში. ასე მოხდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, როცა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანდა. მიუხედავად ამისა, აშშ-ის ინტერესების გამტარებელმა ამ პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც მიღებელია ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, მოახერხა (რა თქმა უნდა, ამერიკელების დახმარებით) და საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში რამდენიმე საკვანძო ადგილი იგდო ხელთ: პარლამენტის თავმჯდომარის — **დავით უსუფაშვილმა**; მისმა მეუღლემ, **თინა ხიდაშელმა**, — თავდაცვის მინისტრის; **გიგლა აგულაშვილმა**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ დატოვა რესპუბლიკური პარტია და „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდა, — გარემოს დაცვის მინისტრის; **პაატა ზაქარეიშვილმა** — შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის.

**დავით უსუფაშვილსა და მის მეუღლეს — ყოფილ თავდაცვის მინისტრს, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ სამშობლოს დაცვა, მისთვის თავგანწირვა, ქვეყნის შენება მხოლოდ საქართველოს სხვა მოქალაქის ვალია და არა მათი და მათი შთამომავლობის. ბატონმა დავითმა და ქალბატონმა თინამ თავიანთი შვილები „საქაჯეთს“ უნდა მოაშორონ და ამერიკაში გაგზავნონ, მათ საკეთილდღეოდ კი ავღანეთში, ერაყსა თუ სხვა ქვეყნებში სხვა ქართველების შვილებმა უნდა გაწირონ სიცოცხლე**

ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებით აღიზიანებს არა ამ პარტიის ფლიუგერობა, როცა ძალაუფლების მოსაპოვებლად ხან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან იყო გაერთიანებული, ხან — „ნაცმოძრაობასთან“ და ხან — „ქართულ ოცნებასთან“, არამედ ამ პარტიის წარმომადგენელთა მსოფლმხედველობა და მათი მცდელობა, უარყონ ყოველივე ქართული და დაამკვიდრონ ე.წ. ლიბერალური ღირებულებები.

ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია **ლევან ბერძენიშვილის** შეფასებებმა **ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა** და **ვაჟა-ფშაველას** მიმართ, როდესაც განაცხადა, ილია ჭავჭავაძეს — ასეთ ქართველ პოეტს — არ ვიცნობ, დიდი ვერაფერი პოეტი იყოო, შემდეგ კი აკაკი წერეთელზეც იგივე თქვა. ლევან ბერძენიშვილი, ამასთანავე, მონდომებით ცდილობს ისტორიის გაყალბებას — ცილს სწამებს და შეურაცხყოფს გენიალურ ვაჟა-ფშაველასა და **სტალინს**, რომლის წვლილიც ფაშისტური ჭირისგან მსოფლიოს გათავისუფლებაში განუზომელია.

აი როგორ შეაფასეს ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ლევან ბერძენიშვილის მიერ ნათქვამი მკრეხელური ფრაზები (ციტატები აღებულია ვებგვერდ droni.ge-დან):

**გიგა ლორთქიფანიძე:** — ლევან ბერძენიშვილი ანტიეროვნული პოლიტიკოსია, შეურაცხოფილი ვარ იმ სიტყვებით, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს აკადრა, მის შემოქმედებას აკადრა. რა უნდა ამ კაცს პარლამენტში, რა სიკეთე უნდა მოუტანოს ქართულ ხელოვნებას, მეცნიერებასა და მწერლობას?! არც არაფერი. თუ დაუშავებს და ავნებს, თორემ სიკეთეს მისგან არავინ ელის.

**ელიზბარ ჯაველიძე:** — ლევან ბერძენიშვილი არის ჯორჯ სოროსის შვილობილი. ლევან ბერძენიშვილს დავალებული აქვს ქართული კულტურის, მეცნიერების დანგრევა და განადგურება და ამას, როგორც ვხედავთ, გარკვეული ძალების დახმარებით წარმატებით ახორციელებს.

**ნოდარ ნათაძე:** — ლევან ბერძენიშვილი არის იმ დროიდან თანამშრომლობს „კა-გებესთან“, როცა დისიდენტობისთვის დაიჭირეს. ბერძენიშვილმა „ჩაუშვა“ თავისი ძმა, თანამშრომლები და თავისი შეყვარებულიც არ დაინდო, ისიც „ჩაუშვა“. „კა-გე-ბეს“ მიერ ბერძენიშვილის დაკითხვის ოქმი გამოქვეყნდა და ყველამ იცის, ვინაა ეს კაცი.

**რეზო ამაშუკელი:** — ლევან ბერძენიშვილი არის ქართველი ერისა და საქართველოს ერთ-ერთი მტერი. მისი მიზანია ქართული კულტურის, მწერლობის განადგურება და იმ, ბოდიში მომითხოვია, პედერასტების ლობირება და პატრონობა, რომლებიც ენით გამოუთქმელ სიბინძურეს წერენ და აქვეყნებენ, საკუთარ დედასთან სექსი რომ აქვთ და საკუთარ და-ძმებთან.

ერთ-ერთი ასეთი ავტორის, ზაზა ბურჭულაძის, შესახებ თქვა ამ ბერძენიშვილმა, ნიჭიერი მწერალია, ამის ფასი არ იციან საქართველოშიო. ილია ჭავჭავაძე მიწასთან გაასწორა და იმ კაცზე, დედამისთან ლიტერატურული სექსით რომ გაითქვა სახელი, მზე და მთვარე ამოსდის.

**შალვა ნათელაშვილი:** — ლევან ბერძენიშვილმა ჯერ სოროსის ფულები ქაფა, ახლა პარლამენტშია, არც იქ მოიკლებს. ეგ კაცი არის მოგზავნილი, რათა ქართული განათლების სისტემა, რომელიც ისედაც დანგრეულია, საბოლოოდ დააქციოს და სხვა სფეროებსაც გადასწვდეს.

**ვალტერ შურღაია:** — ლევან ბერძენიშვილი უნიკალური მოვლენაა. მან ჯერ „კა-გე-ბეს“ დავალებით აქტიურად იბრძოლა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ და ახლა პროდასავლურ-პროამერიკულ მანტიაში გახვეული ლიბერალიზმს ქადაგებს.

ლევან ბერძენიშვილის კოლეგამ, ყოფილმა პარლამენტარმა და განათლების მინისტრის ექსმოადგილემ (იმხანად განათლების მინისტრი იყო ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი), ლევან რამიშვილის, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძისა და თეა თუთბერიძის სულიერმა ძმამ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ პირმშომ **დავით ზურაბიშვილმა** კი სახელი **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლებისა და მართლმადიდებლობის „სახადად“ მოხსენიებით გაითქვა. მან სამი წლის წინათ, მაისში, რუსთაველის პროსპექტზე ლგბტ თემის მხარდამჭერ აქციამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა წერილი სახელწოდებით **„სახადი №5“.**

აი რამდენიმე ამონარიდი ამ წერილიდან (სტილი დაცულია):

„სახადი № 1. ეთნოცენტრული. პირველად იყო ზვიადი, უფრო ზუსტად, ეთნოცენტრული ნაციონალიზმი, რომელმაც ეროვნული მოძრაობის პერიოდში ვულკანივით ამოხეთქა და კინაღამ სრულ ნიჰილიზმში გადაისროლა მთელი მოაზროვნე საზოგადოება... რაოდენ უარყოფითადაც უნდა შევაფასოთ 1991-92 წლების საშობაო გადატრიალება (და ცხადია, უარყოფითად უნდა შევაფასოთ), შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ეს კოშმარი, ფაქტობრივად, დამთავრდა. არანაირი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დივიდენდების მომტანი ეთნოცენტრული ნაციონალიზმი მას შემდეგ აღარ არის. ერთხანს პირადობის მოწმობაში ეროვნების აღნიშვნისა და მიწაზე კერძო საკუთრების არაქართველებისთვის დაკანონება რჩებოდა უკანასკნელ ბასტიონებად, მაგრამ ეს ორი ბასტიონიც ისე დაეცა, სერიოზული რყევები არ გამოუწვევია. დღეს მარგინალური ჯგუფები თუ ოპერირებენ იმ სქემებით, ოდესღაც ეროვნულობისა და ქართველობის აუცილებელ ატრიბუტად რომ ითვლებოდა... მოკლედ, ეთნოცენტრული ნაციონალიზმი მძიმე დანაკარგებით, მაგრამ მაინც მოვიხადეთ, თუმცა საბჭოთა პერიოდში შეყრილი ინფექციური დაავადებების ნუსხა ამით არ ამოწურულა“.

აი ასე — **ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას „სახადსა“ და „კოშმარს“ უწოდებს კაცი, რომელიც „ვარდების რევოლუციაში“ (სახელმწიფო გადატრიალებაში) მონაწილეობდა და ქართველ ხალხს თავზე დაასვა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი, რომელმაც 9 წელიწადი კოშმარში გაგვატარებინა და, როგორც იქნა, მართლა სახადივით მოვიხადეთ.**

კიდევ ერთი „მარგალიტი“ იმხანად განათლების მინისტრის მოადგილის წერილიდან:

**„უკიდურესად გაძლიერდა ეკლესია, ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც სააკაშვილის გუნდმა ვერაფერი დააკლო და დღეს ეკლესიის მორალური ავტორიტეტი ისე მაღლაა, როგორც არასდროს. ბუნებრივია, მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ ძალიან შეუწყო ხელი რელიგიური ნაციონალიზმის აღმავლობას, და ეს იქნება კიდევ ერთი ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახადი, თუმცა ავადმყოფობის სიმძიმეც და გამოჯანმრთელების სტადიაც დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები საქართველოში“.**

ანუ: **„თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოზრდილი დავით ზურაბიშვილის აზრით, მართლმადიდებელი ეკლესია —საქართველოს სახელმწიფობრიობისა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საფუძველი — „ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახადი“ ყოფილა; საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შესარყევად, ქართველი კაცის გადასაგვარებლად გულუხვად დაფინანსებული რელიგიური სექტები და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები კი — სააკაშვილთან ერთად დემოკრატიის შუქურები...**

რას არ იკადრებს ზოგიერთი, ოღონდ მწვანე კუპიურები ჩაიჯიბოს!

ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით პოზიციების შეცვლას არ ერიდება რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო სიის მე-6 ნომერი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყოფილი წევრი **თამარ კორძაია**, რომელიც 2013 წელს, როცა კოალიცია „ქართული ოცნების“ სახელით მაჟორიტარ დეპუტატად ნაძალადევის რაიონში იყრიდა კენჭს, ამბობდა, რომ ერთი და იმავე სქესის პირების ქორწინების დაკანონებისთვის „არასოდეს უბრძოლია“, ხოლო მას შემდეგ, რაც დეპუტატის მანდატი მოიპოვა, განაცხადა, რომ ►

## ლევან ბერძენიშვილის კოლეგამ, ყოფილმა პარლამენტარმა და განათლების მინისტრის ექსმოადგილემ (იმხანად განათლების მინისტრი იყო ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი), ლევან რამიშვილის, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძისა და თეა თუთბერიძის სულიერმა ძმამ, „თავისუფლების ინსტიტუტის“ პირმშო დავით ზურაბიშვილმა სახელი ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებისა და მართლმადიდებლობის „სახადად“ მოხსენიებით გაითქვა.

ჯეოსტრატეგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **„აშშ-ში ლგბტ პირების ქორწინების დაკანონება ადამიანის უფლებების სფეროში წინგადადგმული ნაბიჯია და ამ პროცესმა პროდასავლურ განწყობილებაზე არ უნდა იმოქმედოს“.**

ანუ, რადგან ამერიკელებმა პედერასტია დააკანონეს, ჩვენც უნდა მივბაძოთო...

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე **ხათუნა სამნიძესა** და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შორის კი, როგორც ჩანს, სახიფათო ბუზი ცეცე დაფრინავს. აი რა განაცხადა მან, როცა „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ **დავით თარხან-მოურავმა** თურქეთი ოკუპანტად მოიხსენია:

„დავით თარხან-მოურავის გუშინდელი განცხადებები არის საბჭოთა აზროვნების პოლიტიკოსების ფრაზები. არაკვალიფიციური, სახიფათო და ძალიან საშიში. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ასეთი პოლიტიკოსებისა და ასეთი რიტორიკისგან. **თურქეთს, რომელიც არის ნატოს წევრი, ექახის ოკუპანტს, ოკუპანტი თურქეთი კი არა, არამედ რუსეთია“.**

ეტყობა, **ბუზი ცეცეს შიშმა ისე დაუბინდა ქალბატონ ხათუნა სამნიძეს გონება, რომ არათუ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო არ აუღია ხელში, პრესაში გამოქვეყნებული მასალებიც არ წაუკითხავს საქართველოს ამაოხრებელ ოსმალთა (თურქთა) იმპერიის მიერ ქართული მიწა-წყლის — ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის — მიტაცების შესახებ და არც ის, სტალინი რომ არა, ბათუმი, ქალაქი, რომელშიც თვითონ დაიბადა, ახლა თურქეთის შემადგენლობაში იქნებოდა.**

**მაგრამ ეს ბუზი ცეცე ხომ რესპუბლიკური პარტიის სიუზერენი ამერიკის შეერთებული შტატებია და სხვაგვარად როგორ იტყოდა?!** კარგი, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო ხელში არ აუღია ქალბატონ ხათუნას, მაგრამ, რომ ამბობს, თურქეთი ნატოს წევრია და ოკუპანტი როგორ იქნებაო, არც იმის შესახებ სმენია, რომ 1999 წელს სწორედ ნატომ (ამერიკელთა ინიციატივით) დაბომბა ყოფილი იუგოსლავია, წაართვა კოსოვო **სერბეთს** და მიწასთან გაასწორა ამ ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიები? ან ვინ გააპარტახა **ავღანეთი** (დაიღუპა 35 ათასი ადამიანი), **ერაყი** (დაიღუპა 1 მლნ მშვიდობიანი მოქალაქე) და ერთ დროს აყვავებული **ლიბია** (დაიღუპა 20 ათასი ადამიანი).

ბუზი ცეცეს შიშით, ქალბატონ ხათუნას, ალბათ, არც ის სმენია, რომ ამ ქვეყნებში ნატომ საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული იარაღი — თეთრი ფოსფორი — გამოიყენა.

ანალოგიური აზროვნებითა და ისტორიული ჭეშმარიტებისადმი „პატივისცემით“ გამოირჩევა კიდევ ერთი რესპუბლიკელი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. აი რა განაცხადა მან 2015 წლის ნოემბრის მიწურულს:

**„აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა.** ჩვენს თაობას არ გვახსოვს. ყოველ შემთხვევაში, ანუ დღევანდელ ევროპულ რეალობაში ეს არ ყოფილა. ამიტომ გვინდა, ერთია, და როგორ ვაპირებთ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას, — მეორე“.

— ეს არის „ქართული ოცნების“ თავკაცის მიერ ამერიკელთა მითითებით ხელდასმული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აზრი საქართველოს ძირძველ მიწაზე, რომელზეც, ვინ მოთვლის, რამდენი ქართველის სისხლია დაღვრილი.

ისე, საკითხავია, რატომ უნდა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პოსტზე კაცი, რომელიც ამტკიცებს, რომ „აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა“? მისი უპირატესი ფუნქცია და ამოცანა ხომ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, ლტოლვილთა და მათი შთამომავლების უსაფრთხო, უპირობო და ღირსეული დაბრუნების, უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობაა“.

რამდენიმე თვის წინათ კი პაატა ზაქარეიშვილმა ურცხვად იცრუა და კიდევ ერთხელ სცადა ქართველი ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა, როდესაც ნატოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის — **ალექსანდრე გრუშკოს** განცხადებას, ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრება ევროპას მასშტაბური კრიზისის ზღვრამდე მიიყვანს და სიტუაციას ააფეთქებსო, ასე უპასუხა:

**„არც ნატო და არც ევროკავშირი არ დაუშვებს ისეთ მოვლენებს, რომ აფეთქდეს და გაუარესდეს ვითარება. პირიქით — თუ ჩვენ ვუყურებთ, როგორ მოქმედებენ ნატო და ევროკავშირი, ვხედავთ, რომ, სადაც ისინი არიან, იქ არის მშვიდობა, სტაბილურობა, განვითარება და დემოკრატია“.**

**იმ ტერაქტების გათვალისწინებით, რომლებიც ექსტრემისტებმა მოაწყვეს საფრანგეთში, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, სადაც ნატოს შტაბბინა მდებარეობს, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, პაატა ზაქარეიშვილის ზემოთ მოყვანილ ფრაზაზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: ნეტარ არიან მორწმუნენი!**





**ბუზი ცეცეს შიშმა ისე დაუბინდა ქალბატონ ხათუნა სამნიძეს გონება, რომ, არათუ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო არ აუღია ხელში, პრესაში გამოქვეყნებული მასალებიც არ წაუკითხავს საქართველოს ამაოხრებელ ოსმალთა (თურქთა) იმპერიის მიერ ქართული მიწა-წყლის — ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის — მიტაცების შესახებ და არც ის, სტალინი რომ არა, ბათუმი, ქალაქი, რომელშიც თვითონ დაიბადა, ახლა თურქეთის შემადგენლობაში იქნებოდა. მაგრამ ეს ბუზი ცეცე ხომ რესპუბლიკური პარტიის სიუზერენი ამერიკის შეერთებული შტატებია და სხვაგვარად როგორ იტყოდა?!**



ანალოგიური პოზიცია აქვს რესპუბლიკელთა გამორჩეულ ქალბატონს — **თინა ხიდაშელს**, რომელიც საქართველოს „დირექტორის“, ანუ იმხანად საქართველოში აშშ-ის ელჩის — **რიჩარდ ნორლანდის** ბიძინა ივანიშვილთან „ყავის დასალევად“ მოსვლის შემდეგ თავდაცვის მინისტრის სავარძელში ჩასკუპდა.

ქალბატონი თინა ჯერ კიდევ წლების წინათ ამბობდა, რომ **აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არ არის.** ეს მან 2001 წელს სოჭში ქართულ-აფხაზურ კონფერენციაზე („სტაბილურობის პაქტი კავკასიაში და სამშვიდობო პროცესის სტრატეგია“) აფხაზეთის წარმომადგენელ **ბათალ კობახიასთან** დიალოგისას თქვა: „მინდა, ვიბრძოლო იმისათვის, რომ ჩემმა შვილებმა იცხოვრონ ისეთ საქართველოში, როგორშიც მე მინდა, იცხოვრონ. ეს არის ჩემთვის ყველაზე მთავარი. **ვიმეორებ, აფხაზეთით თუ აფხაზეთის გარეშე — ეს ჩემთვის ყველაზე მცირე პრობლემაა.** და მჯერა, მაშინ კონფლიქტი გადაწყდება. არ ვიცი, როგორ გადაწყდება, ვიცხოვრებთ სხვადასხვა ქვეყანაში თუ არა, მაგრამ აფხაზები, ალბათ, თავად გადაწყვეტენ, როგორ და ვისთან ურჩევნიათ ყოფნა, რუსული ორიენტაციით, ქართული თუ რამე სხვა ორიენტაციით“, დასძინა: „ბათალ, **არ ვგულისხმობ, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია“.**

თინა ხიდაშელმა თავდაცვის მინისტრის პოსტზე ყოფნისას თვითნებურად გამოსცა ბრძანება ჯარში სავალდებულო გაწვევის გაუქმების შესახებ.

მიზეზი, ქალბატონი თინას განმარტებით, არის ის, რომ **„შეიარაღებულ ძალებს არ სჭირდება ადამიანები, რომლებსაც აძალებენ სამშობლოს სამსახურს“.**

სიტყვა „სამშობლო“ კი თინა ხიდაშელისთვის „საქაჯეთის“ სინონიმია. აი რა ტექსტი გამოაქვეყნა მან სოციალურ ქსელში რამდენიმე თვის წინათ: **„ერთი სული მაქვს, როდის მოვაშორებ ამ საქაჯეთს შვილებს და ამერიკაში გავგზავნი“, ანუ ნამინისტრალი ქალბატონის (იმხანად, როცა ეს ტექსტი გამოაქვეყნა, თავდაცვის მინისტრი იყო) „საქაჯეთი“ საქართველოა, რომელსაც შვილები უნდა გაარიდოს, მაგრამ, თუ ქალბატონ თინას ასე მიაჩნია, მაშინ რატომ ეზღაუჭებოდა ასე გაავთრებით „საქაჯეთის“ თავდაცვის მინისტრის პოსტს, იმიტომ ხომ არა, რომ ამერიკელმა ბოსებმა დაავალეს?**

ქალბატონი თინას მეუღლე, პარლამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**, რომელმაც პოლიტიკური ნათლობა **ედუარდ შევარდნაძისა** და **ჯაბა იოსელიანის** სახელმწიფო საბჭოში მიიღო (1992-1994 წლებში იყო სახელმწიფო საბჭოს იურიდიული განყოფილების მრჩეველი), თავის ცხოვრების მეგზურს მხარს უბამს და ამბობს: **„ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ დაიბადე იმისთვის, რომ სამშობლოს გმირულად შეეწირო, მე შვილებს ვეუბნები, რომ დაიბადე იმისათვის, რომ იყოთ თავისუფალი და ბედნიერი, რომ ყველა საკითხზე გააკეთონ თავისუფალი არჩევანი და, თუ თქვენი არჩევანი იქნება, გინდ სამშობლოს შეეწირებით, გინდ თქვენს პროფესიას და გინდ სხვა რამეს“.**

დავით უსუფაშვილსა და მის მეუღლეს — ყოფილ თავდაცვის მინისტრს, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ სამშობლოს დაცვა, მისთვის თავგანწირვა, ქვეყნის შენება მხოლოდ საქართველოს სხვა მოქალაქის ვალია და არა მათი და მათი შთამომავლობის. ბატონმა დავითმა და ქალბატონმა თინამ თავიანთი შვილები „საქაჯეთს“ უნდა მოაშორონ და ამერიკაში გაგზავნონ, მათ საკეთილდღეოდ კი ავღანეთში, ერაყსა თუ სხვა ქვეყნებში სხვა ქართველების შვილებმა უნდა გაწირონ სიცოცხლე.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ბატონი უსუფაშვილის რამდენიმე დღისწინანდელი განცხადება, როცა მან თავისი პატრონების ინტერესების დაცვა სცადა: **„მანამ, სანამ საქართველოს ნატოს წევრობა გახდება რეალური, საქართველომ უნდა იზრუნოს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზის განთავსებაზე. ეს არის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და დაცვისთვის აუცილებელი ამოცანა“.**

უსუფაშვილის ამ განცხადებაში ნათლად გამოსჭვივის ამერიკელი პატრონებისადმი კუდის ქიცინი, მაგრამ უსუფაშვილი არაფერს ეუბნება საქართველოს მოსახლეობას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზის განლაგებას — ეს ხომ იმას ნიშნავს, ატომური იარაღის მქონე რუსეთის სამიზნეში აღმოჩნდეს საქართველო და ჩვენი ქვეყნის ტერიტორია პოლიგონად იქცეს. მაგრამ რა ენაღვლებათ ცოლ-ქმარ უსუფაშვილ-ხიდაშელს, მათ ხომ თავიანთი შვილები „საქაჯეთს“ მოაშორეს?!

**ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური მოწოდების გამო, ოღონდ რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარტია „ცენტრისტებს“ საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმა, უსუფაშვილის ამ განცხადებიდან კი უკვე ერთი კვირა გავიდა, მაგრამ ცესკოს რეაქცია არ ჩანს...**

აი ასე — რესპუბლიკური პარტია უტევს ქართველ ხალხს, ქართველ მოსახლეობას, ქართულ ტრადიციებს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და, ნაციონალების მსგავსად (ისინი ხომ, ფაქტობრივად, ერთი ძალის მიერ იმართებიან), ცდილობენ ახალი ქართველის გამოყვანას, რომელიც ე.წ. დასავლურ ფასეულობებსა და ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული.

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველო ახალ პარლამენტს აირჩევს, იმ გამოწვევების ფონზე, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას, ამ არჩევნებზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოშანთოს პოლიტიკური სივრციდან ეს აშკარად ანტიქართული პოლიტიკური ძალა — რესპუბლიკური პარტია, ამით მოიხადოს სახადი და მხარი დაუჭიროს ჭეშმარიტად ეროვნულ ძალებს, რომლებიც იზრუნებენ ეროვნული ღირებულებების, ქართული ენის, კულტურის, ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის დაცვაზე.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმ ნაცებს, რომლებიც ბიძინას ჯერაც არ ეთაყვანებიან, ექღვნება ეს „სკანდალური“, „სულისშემძვრელი“, „გულისამაჩუყებელი“, თუ როგორიც გნებავთ, კინო „ჰეროკრატია“.**

**თავიდანვე ვიტყვი, რომ ამ სათაურში არ ვგულისხმობ იმ მხატვრულ ფილმს, რომელიც მისი წაკითხვისთანავე, უდავოდ, მოაგონა ყველა მკითხველს. არა, ბატონო! შტეროკრატია, თავისი არსით, გაცილებით ღრმა და ყოვლისმომცველი მოვლენაა, ვიდრე ერთი რომელიმე კონკრეტული კინო შეიძლება იყოს, მიუხედავად იმისა, რაგინდ ხელოვნური სიმძაფრით, ფსიქოლოგიური სიმძიმითა თუ ბანალურად მკვეთრი რეჟისორული ხერხებით იყოს იგი გადაღებული.**

# SHTEROკრატია




**ბატონო ჭკუის დამრიგებლებო! ნუთუ არ იცით, რომ ინკვიზიტორების, ფაშისტების თუ კიდევ სხვა საშინელებათა წინააღმდეგ ბრძოლაში კაცობრიობა მხოლოდ ფილმების გადაღებით არ შემოფარგლულა? ნუთუ არ იცით, რომ „ნიურნბერგის პროცესმა“ ყველა ფაშისტი, რომელსაც კი მისწვდა, ან ჩამოკიდა, ან დახვრიტა, ან დააპატიმრა, ან კიდევ სამუდამოდ აუკრძალა სახელმწიფო თანამდებობის დაკავება, მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულობების სიმძიმიდან გამომდინარე? ან იქნებ გგონიათ, ფაშისტებზე ნაკლები ჩაიდინეს მიშისტებმა**

მოკლედ, „ჰეროკრატიას“ არავითარი შანსი არ აქვს, რაიმე შთაბეჭდილება ან გავლენა მოახდინოს იმ საზოგადოებაზე, რომელიც, აგერ უკვე 3 ათეული წელია, მძიმე შტეროკრატიაში ცხოვრობს და ეს შტეროკრატია ყოველწლიურად კიდევ უფრო მძიმდება.

**ფილმ „ჰეროკრატიის“ ეკრანებზე გამოსვლა კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იყო იმისა, რა დონის შტეროკრატიაში ვცხოვრობთ სინამდვილეში. კამათს აპირებთ? გინდათ, დამიწყოთ მტკიცება, რომ ნაცების მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულების შესახებ ფილმი აუცილებლად უნდა არსებობდეს და ის უნდა შემოვუნახოთ მომავალ თაობებს?**

კი, ბატონო! მაგრამ მანამდე მიპასუხეთ: ვინ და ვისი დაფინანსებით გადაიღო ეს ფილმი? ვისი ეგიდით მიეწოდება დღეს იგი მაყურებელს? ანუ ვინ გვეუბნება და გვიკიჟინებს ჩვენ — რიგით ადამიანებს, რომ თურმე 2003 წლიდან 2012 წლამდე ჩვენს ქვეყანას მანიაკები, შეურაცხადები, არაადამიანები, ბოროტები და სისხლისმსმელები მართავდნენ?

**ვინ მეუბნება ამას?**

ის ხომ არა, **ვინც ამ საარჩევნოდ მაჟორიტარ კანდიდატებად არაერთი ის „ბიზნესმენი“ თუ „საზოგადო მოღვაწე“ შემომთავაზა საქართველოს პარლამენტში ასარჩევად, რომლებიც თავის დროზე მთელ ამ მანიაკიზმს აფინანსებდნენ და მხარს უჭერდნენ? სწორედ ის ხელისუფლება ხომ არ ცდილობს, „შეგვახსენოს“, რაც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში იმ ყბადაღებული 9 წლის განმავლობაში, რომელი ხელისუფლებაც მაღალ თანამდებობებზე აწინაურებს სწორედ ფილმში წარმოდგენილ მანიაკებსა თუ მათ დამქაშ დამცველებს?**

ალბათ, ძალიან მარტივი მისახვედრია, რის თქმაც მინდა... უფრო სწორად, რის თქმაც არ მინდოდა.. ან კიდევ უფრო ზუსტად — რის თქმაც არ უნდა გამხდარიყო, წესით, საჭირო და რის თქმაც ასე აუცილებელია დღეს, სამწუხაროდ!

ვინც არ მეთანხმება, მაშინ გამეცით პასუხი — აბა, **რას ემსახურება ეს ფილმი? რა უნდა დაგვანახვოს მან? ერთადერთი, რაც ამ ფილმმა დამანახვა, არის ის, როგორ ადამიანებს უწოდებს ხოლმე ბიძინა ივანიშვილი „რეჟიმის მძევლებსა“ თუ „სისტემის მსხვერპლს“.**

რაო, ბატონო ბიძინა, ნუთუ ეს გულქვა, მანიაკი, სადისტი, მწვალებელი არაადამიანები „სისტემის მსხვერპლნი“ და „რეჟიმის მძევლები“ იყვნენ? ნუთუ მათზე ბრძანეთ ორიოდე წლის წინათ — **„ჩვენ უნდა შევძლოთ მიტევება და ამ ადამიანებთან ერთად, ერთ საზოგადოებად ცხოვრება“-ო?**

აჰ, არა? მათზე არ გითქვამთ? ანუ **გოგა ხაინდრავას** რეჟისორობით გადაღებულ თქვენს ფილმში „სხვა ნაციონალებზეა“ საუბარი და თქვენ კი „სულ სხვა ნაციონალებზე“ საუბრობდით, ხო?

კი მაგრამ, **ვინ მოგანიჭათ ასეთი ექსკლუზიური უფლება, პირადად თქვენ, ერთპიროვნულად დაახარისხოთ „ასეთი“ და „ისეთი“ ნაციონალები?**

ან, ჯანდაბას, თუკი მიგაჩნიათ, რომ ეს უფლება თვითონ დიადმა **ნიცშემ** თუ ზარათუშტრამ გიბოძათ, მაშინ იქნებ გაგვანდოთ, რა კრიტერიუმით აკეთებთ ამას, ანუ **თქვენდამი დაქვემდებარებულ „პოლიტიკურ განსაწმენდელში“ რა მეთოდებით ხდება გარჩევა „ცოდვილი“ და „უცოდველი“ ნაცებისა?**

მეხსიერების უკიდურესი დაძაბვის შედეგადაც კი, სანუგეშოდ და საჩვენებლად ერთ შემთხვევასაც ვერ ვიხსენებ, რომელიმე ყოფილ ნაცს საჯაროდ ეთხოვოს პატიება ხალხისთვის ან პირადად თქვენთვის მაინც — მომიტევეთ, ცუდი ბიჭი (გოგო) ვიყავი, სისტემის მძევალი და რეჟიმის მსხვერპლი ვარ და მაპატიეთ, ვგრძნობ ჩემი დანაშაულის სრულ სიმძიმეს და გთხოვთ, საზოგადოების სრულფასოვან წევრად მიმიღეთ, არასოდეს მსგავს დანაშაულს აღარ ჩავიდენ ან არასოდეს გავამართლებ და არასოდეს მხარს არ დავუჭერ სხვების მიერ ჩადენილ ასეთ საქციელსო.

ისე, რომ იცოდეთ, „პოლიტიკური განსაწმენდელის მეუფევ“, ასეთ შემთხვევაშიც კი, მიტევება და პატიება იმას ნიშნავს, რომ მიტევებულმა და ნაპატიებმა მცირე ხანი მაინც უნდა დაჰყოს, მონასტერში თუ არა, საკუთარ კეთილმოწყობილ ოთახში, გულით ჩაუფიქრდეს თავის საქციელს — უშუალოდ ახორციელებდა „ჰეროკრატიულ“ მანიაკობებს თუ სხვა ფორმით თანაუგრძნობდა, აფინანსებდა ან მედიამხარდაჭერას უკეთებდა მას — ეს სულერთია! ასეთმა ადამიანებმა, მაშინაც კი, თუკი შეიგნეს რამე და პატიებას ითხოვენ, საზოგადოებისგან იზოლირებულად გარკვეული დრო მაინც უნდა გაატარონ და მხოლოდ ამის შემდეგ ნელ-ნელა უნდა შეეცადონ, კვლავ დაუბრუნდნენ სრუყოფილად საზოგადოებას.

აი, **ჩვენს, ანუ საქართველოს რეალობის შემთხვევაში კი, „მონანიე ნაცის“ ერთი მაგალითიც კი არავის მოეძევება წამლად, საშველად სამაგალითოდ! სამაგიეროდ ოხრად გვყავს „ბიძინას ნაცები“, ანუ ივანიშვილის მიერ რაღაც ზესაიდუმლო კრიტერიუმებით „მიტევებული ნაცები“, რომლებიც, „ჰეროკრატიის“ დროს რომ ეკავათ, იმაზე მაღალ თანამდებობებს იკავებენ დღეს სახელმწიფო უწყებებში.**

როგორც ჩანს, „ნაცის განწმენდის“ ერთადერთი მეთოდი და საშუალება „ბიძინას კულტის“ აღიარებაა და სხვა არაფერი, ანუ **ნაცი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს კვლავაც ოლიგარქს, რუსეთუმეს, კრიმინალების მფარველს ეძახის, არის ბოროტი ნაცი(!); ხოლო ნაცი, რომელიც „დიადი ბიძინას“ ქველმოქმედებას, სიკეთეს, სიქველეს, ინტელექტსა და ნიჭიერებას აღიარებს, არის „გამოსწორებული ნაცი“, ანუ, როგორც თავად დიადი ბიძინა იტყოდა, „რეჟიმის მსხვერპლი“ და „სისტემის მძევალი“.**

აი, სულ ესაა.

არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რას ეტყვის ხალხს ეს „ყოფილი ნაცი“, როგორ იმოქმედებს იგი საზოგადოების წინაშე, მთავარია, მისი უდიდებულესობა ბიძინას წინაშე მოიხაროს ქედი და „პოლიტიკური განწმენდა“ გარანტირებული აქვს.

აი მათ კი, **იმ ნაცებს, რომლებიც ბიძინას ჯერაც არ ეთაყვანებიან, ექღვნება ეს „სკანდალური“, „სულისშემძვრელი“, „გულისამაჩუყებელი“, თუ როგორიც გნებავთ, კინო „ჰეროკრატია“.**

დიახ, იგი მხოლოდ „ცუდ ნაცებს“, ანუ „ოცნებაში“ ჯერაც არ გადმოპორტირებულ და ბიძინას უკანალზე ჯერაც არმთხვეულ ნაცებს ეძღვნება მხოლოდ! და არამც და არამც არ ეხება ეს ფილმი იმ პატიოსან, წყნარ, ცხვარ, სისტემის მხვერპლ, რეჟიმის მძევალ, უცოდველ, უკეთილშობილეს, უწყინარ და გულუბრყვილო საყვარელ ნაცებს, რომლებმაც უკვე იგემეს დიადი ბიძინას უკანალის ანდაც, გნებავთ, ბიძინას დიადი უკანალის გემო საკუთარ „მიტევებულ“ ტუჩებზე.

ზედმეტია ირონია? — არა! **ეს მართლაც უკიდეგანო იდიოტიზმი, რაც დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სინამდვილეში ამ ფილმის გადაღებით ყველაზე მკვეთრად გამოიხატა, კიდევ უფრო მეტ ირონიასა და დაცინვას იმსახურებს.**

ყველაზე ღიმილისმომგვრელი კი საზოგადოების ე.წ. ოცნებისტი წევრების უსუსური მცდელობებია — რამენაირად გაამართლონ ამ კინოს გამოსვლა და არსებობა ქართულ ტელესივრცეში.

— რატომ არ მოგწონთ „ჰეროკრატია“? მერე რა, რომ იქ სასტიკი სცენებია და საზოგადოების დასტრესვას იწვევს? ნუთუ არ იცით, რომ ფაშისტური გერმანიის დანაშაულთა შესახებ არაერთი ფილმი არსებობს და ამ ფილმებს მსოფლიოში დღესაც უჩვენებენ დიდსა და პატარას?

ეს საჭიროა იმისთვის, რომ ისტორიას, მომავალ თაობებს შემორჩეთ სიმართლე და მომავალში ვეღარავინ გაბედოს მსგავსი საქციელის ჩადენა! — ისე გვიხსნიან „ჰეროკრატიის“ მომხრეები, გეგონება, მართლაც მათ აღმოაჩინეს ფაშისტების, თუნდაც ინკვიზიტორებისა და მსოფლიო მასშტაბის სხვა სადისტების შესახებ გადაღებული ფილმები...

მაგრამ, **ბატონო ჭკუის დამრიგებლებო! ნუთუ არ იცით, რომ ინკვიზიტორების, ფაშისტების თუ კიდევ სხვა საშინელებათა წინააღმდეგ ბრძოლაში კაცობრიობა მხოლოდ ფილმების გადაღებით არ შემოფარგლულა? ნუთუ არ იცით, რომ „ნიურნბერგის პროცესმა“ ყველა ფაშისტი, რომელსაც კი მისწვდა, ან ჩამოკიდა, ან დახვრიტა, ან დააპატიმრა, ან კიდევ სამუდამოდ აუკრძალა სახელმწიფო თანამდებობის დაკავება, მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულობების სიმძიმიდან გამომდინარე?**

▶

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთ მშვენიერ დღეს პაატამ პოლიტიკაში ჩართვა გადაწყვიტა, მოულოდნელად დაანება თავი სიმღერას და თქვა, — ჩემს ქვეყანას უჭირს, უნდა დავეხმაროო და სასწრაფოდ შექმნა პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“, გააერთიანა საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და ასე დაიწყო პოლიტიკური საქმიანობა.**

**ან იქნებ გგონიათ, ფაშისტებზე ნაკლები ჩაიდინეს მიშისტებმა?** კარგით, თუ ასე გგონიათ, მაშინ ამ სასტიკ კინოებს რატომღა იღებთ? გვეკაიფებით? და თუ თქვენც ფაშისტთა დანაშაულის გვერდით აყენებთ მიშისტების დანაშაულს, მაშინ სად არის ქართული „ნიურნბერგის პროცესი“?

რა გამოდის, **„ნიურნბერგის პროცესის“ გასამართი ერთ ადგილი არ გაქვთ და მხოლოდ კინოს გადაღება შეგიძლიათ? იცით, რას გეტყვით? თუ გატეხვა არ ძალგიძს, მაშინ არც უნდა გაბზარო!**

თუ არ გაქვთ იმის უკანალი, რომ მაგ კინოს მთავარი მოქმედი პირების, მათი მხარდამჭერების, მათი „გამპრავებელი“ ჟურნალისტების სამაგალითოდ შერცხვენის რეალური პროცესი ანახვოთ ხალხს, მაშინ იმას მაინც ნუ გვანახვებთ — აი, ნახეთ, როგორი უსაჯდომოები ვართ, აი, ასეთ საშინელებები ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში მთელი 9 წელიწადი და ჩვენ კიდევ ამის გამკეთებლებს ფეხებიც ვერ მოვჭამეთ და ახლა აგერ მაჟორიტარებად „ჩამოგირიგებთო“!

სირცხვილია! უზნეობაა! უთავმოყვარეობაა! საკუთარ თავზე დაკუკებაა! არაკაცურია! არასწორია! არასამართლიანია! ტეხავს!...

არ ვიცი, კიდევ როგორ გითხრათ!

ასეთი მონდომებით რომ იხსენებთ და ცდილობთ, ანალოგია გააკეთოთ ფაშისტური დანაშაულების შესახებ გადაღებულ ფილმებთან, იქნებ სცადოთ და ისიც გაიხსენოთ, **უინსტონ ჩერჩილს** სადმე ეთქვას, — **გებელსი** ცუდი ფაშისტი იყო, ხოლო **რიბენტროპი** — კეთილი კაცი, მაგრამ სისტემის მსხვერპლიო.

ან წაგიკითხავთ სადმე, მარშალ **სტალინისგან** თქმული, რომ **კეიტელი** იყო ბოროტი, ხოლო გუდერიანი, უბრალოდ, შეცდა და უნდა ვაპატიოთო?

როგორ გგონიათ, რა თვალით შეხედავდა მსოფლიო გინდ ჩერჩილს და გინდ სტალინს, ასეთი ტუტუცობები რომ დაეწყოთ და გუდერიანის, რიბენტროპის ან რომელიმე ფაშისტის „გაპრავების“ შემდეგ შეეთავაზებინათ მსოფლიოსთვის კინოები ფაშისტთა არაადამიანური და მანიაკური ქმედებების შესახებ? **როგორ მიიღებდა ასეთ კინოს ხალხი, მას შემდეგ, რაც სტალინი გუდერიანს ან ჩერჩილი რიბენტროპს რომელიმე მაღალ თანამდებობაზე დანიშნავდა ანდა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მოიწვევდა?**

წარმოდიგინეთ, როგორ ტუტუცებად აღიქვამდა მათ მსოფლიოს საზოგადოებრიობა! ჰოდა, აი, ზუსტად ეგეთი თვალით უყურებს დღეს ბიძინას ქართული საზოგადოებრიობა და ეს სრულიად სწორი და სამართლიანია!

რაო? ცოტა არ იყოს, ზედმეტი მომივიდა?.. ეს ხომ თქვენ დაიწყეთ ბატონებო?!

ასე რომ, ვიდრე ბელადის დასაცავად რაიმე ისტორიული შედარებების მოყვანას დააპირებთ, ჯერ კარგად დაფიქრდით.

**ასევე კარგად დაფიქრდით მანამდეც, ვიდრე ფილმების გადაღებას დაიწყებდეთ და ვიდრე საერთოდ ხმას ამოიღებდეთ, საზოგადოდ, „9 წელზე“!**

თქვენ აღარ გაქვთ ამის არავითარი მორალური უფლება და თქვენ მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული ნებისმიერი აქტივობა ამ თემაზე (იქნება ეს ფილმი, საჯარო გამოსვლა, ფეისბუქპოსტი თუ კიდევ სხვა რამ) მხოლოდ და მხოლოდ ირონიას თუ გამოიწვევს და შეგახსენებთ, თუ ვისთან გააჩაღეთ გულმხურვალე კოჰაბიტაცია.

არც იმის განწირული კივილი გიშველით — რა ვქნათ, აბა, ისინიც ხომ ქართველები არიან, თანაც, ახლა ოცდამეერთე საუკუნეა და ხალხს ხომ არ დავხვრეტთო?!

ეს „ოპერაც“ დიდი ხნის ნამღერია და, უკვე 4 წელიწადია, პასუხებიც მიღებული გაქვთ ასეთ დემაგოგიურ კითხვებზე.

თუმცა დაუზარებლად გაგიმეორებთ:

არავინ არავის დახვრეტას არ გთხოვთ, მაგრამ, თუკი რეჟიმის შემქნელებს და მათ ხელშემწყობებს იმითაც კი არ სჯი, რითაც საზოგადოებამ ფაშისტების თანამოაზრე გენიალური რეჟისორი ქალი — **ლენი რიფენშტალი** და ასევე გენიალური ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი — **კნუტ ჰამსუნი** დასაჯა, მაშინ მათზე სულისშემძვრელი კინოების გადაღება და მსგავსი „ცირკებიც“ არ უნდა დაიწყო!

**და, თუ იღებ ასეთ კინოებს, მაშინ გამოიყვანე საჯაროდ შენი ახლანდელი ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის ყოფილი უფროსი, ჟურნალისტი ნინო შუბლაძე და მომასმენინე მისი ოფიციალური აზრი ამ კინოს შესახებ.**

**დაე, მან უთხრას საზოგადოებას, სად იყო და რას აკეთებდა მაშინ, როდესაც კინო რეალობაში მიმდინარეობდა. ქვეყნის „ნომერ პირველი“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი ყურმოკვრით მაინც არ ფლობდა ინფორმაციას ციხეებში, ქუჩებში, ოჯახებში შევარდნილი მანიაკების შესახებ? ვინმეს გახსოვთ მისი თუნდაც ერთი სიტყვა, ოდნავი პროტესტი?**

თუკი ის დუმდა, მაშ, რატომ იკავებს დღეს მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობას? ამ დანაშაულებრივი დუმილის გამო? მით უფრო, რომ ის კი არ დუმდა, არამედ სწორედ მისი, როგორც „სიცრუის მანქანის“ ერთ-ერთი მთვარი მმართველის, უშუალო მითითებებით მზადდებოდა და ეთერში გადიოდა წამებების, მკვლელობების, საშინელებების „გამპრავებელი“ სიუჟეტები.

და, თუკი თქვენ გამართლებულად მიგაჩნიათ ასეთი ადამიანების ყოფნა თანამდებობებზე დღესაც, მაშინ რისთვის, ვილასთვის იღებთ ამ ფილმებს და ამ ტრაგიკომიკურ ცირკებს ვისთვის აწყობთ, ბატონებო?

და, როდესაც ვისმენ „არგუმენტეტებს“ ხსენებული ტელევიზიის მუშაკთა ვითომდა „პროფესიონალობის“ შესახებ, ისევ მახსენდება მართლაც გენიალური რეჟისორი ქალი ლენი რიფენშტალი, რომელსაც ადოლფ ჰიტლერთან თანამშრომლობის გამო, 1945 წლის შემდეგ არსად ამუშავებდნენ და ერთდერთი ფილმი დიდი წვალების შემდეგ მხოლოდ 1954 წელს გადაიღო. ამ ფილმსაც ბევრმა ადამიანმა სწორედ იმიტომ არ უყურა, რომ იგი ფაშისტური რეჟიმის მომხრე რეჟისორის გადაღებული იყო.

მახსენდება **გენიალური მწერალი კნუტ ჰამსუნი, როლიც მშობლიურ ნორვეგიაში დააპატიმრეს კიდეც ფაშისტური რეჟიმის გულშემატკივრობისთვის...**

**და არ მახსენდება არც ერთი ქართველი ნაცრეჟიმის თაყვანისმცემელი, რომელიც არათუ დასაჯეს რაიმენაირად, არამედ ოდნავ მაინც შეაფერხეს არათუ კერძო, არამედ სახელმწიფო თანამდებობაზე...**

მგონი, ყველაფერი ვთქვი, მაგრამ პრობლემა სწორედ ის არის, რომ თქმას აზრი არ აქვს!

და სწორედ ამიტომ არაფერს ვამბობ უშუალოდ ფილმზე, კინოზე, მის შემოქმედებით ჯგუფზე...

შტეროკრატია — ეს სიტყვა, სამწუხაროდ, კინოს კი არა, სწორედ იმ საშინელ მდგომარეობას ასახავს, რომელშიც დღეს ჩემი ქვეყანა რეალურად იმყოფება.

„ვინც წარმატებულია საქმეში, ხოლო ჩამორჩენილია ზნეობაში, ის უფრო უფრო ჩამორჩენილად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე წარმატებულად!“ — ეს ისე, უბრალოდ. ძველი ლათინური გამოთქმაა ასეთი...



# პაატას თავგადასავალი

**წინასაარჩევნოდ პიარმენეჯერები ათასგვარ ლეგენდასა და ზღაპარს თხზავენ, რათა მათ დამქირავებელ პოლიტიკოს ამომრჩეველს მოაწონონ. ეს ზღაპრები, ძირითადად, დამქირავებლის, ანუ კანდიდატის წარსულს, მის ბავშვობას, მოღვაწეობას, განვლილ გზას შეეხება ხოლმე.**

ამჯერად ჩვენს ძალიან გაფაციცებულ კორესპონდენტს ხელში ჩაუვარდა პაატა ბურჭულაძის პიარმენეჯერის ჩანაწერები, ანუ ის ხელნაწერი, რომელშიც პაატა ბურჭულაძის მიერ დაქირავებული პიარის სპეციალისტი ჩანაწერებს აკეთებდა, რათა შემდეგ პაატასთვის ამომრჩევლთა თვალში ქულების მომტანი ზღაპარი ჩამოეყალიბებინა და გამოექვეყნებინა. ჩვენ მას დავასწრებთ და უცვლელად შემოგთავაზებთ ამ ჩანაწერებს:

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი უბრალო ბიჭი, სახელად პაატა.

ბავშვობიდან მეტად ნიჭიერი იყო — უკრავდა, ცეკვავდა, მღეროდა. მთელი უბანი მისი ნიჭით იყო აღფრთოვანებული. ცოტა რომ წამოიზარდა, ნიჭს გზა ფართო მისცა და გადაწყვიტა, ცხოვრების გზა უფრო მეტად გაეკაფა. აიღო გუდა, ჩააწყო საგზალი და ქალაქის გზას გაუდგა. დიდხანს ეხვეწნენ მეზობლები, — დარჩი ჩვენთანო, მაგრამ პაატამ თავისი გაიტანა და შორს მიმავალ ბილიკებს გაუყვა. ჩამოვიდა თბილისში და უცხო ქალაქში ღიღინ-ღიღინით დადიოდა ჩიხებსა თუ აღმართდაღმართებში.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა მზე ცას შესციცინებდა და ღრუბელი სადღაც იყო მიმალული, პაატა ფილარმონიის კიბესთან, „მუზის“ ქვეშ იჯდა და „აბესალომ და ეთერის“ არიას ღიღინებდა. მოულოდნელად მასთან თეთრ წვერში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი მივიდა და ჰკითხა:

— რა გქვია, ქართველი ხარ, ბიჭო?

— კი, შენი ჭირიმე, ქართველი ვარ, პაატა მქვია, ბურჭულაძე ვარ გვარად, სოფლიდან წამოვედი და ქალაქში არ მაქვს ღამის გასათევი.

წვერებიანი მამაკაცი მეტად შეწუხდა, მოჰკიდა პატარა პაატას ხელი და თავისთან წაიყვანა. მოაწესრიგა, თმა გაკრიჭა და უთხრა, ხვალ დიდი დღეა, ახლა დაისვენე და ხვალიდან შენი ახალი ცხოვრების გზაზე სასიარულოდ მოემზადეო.

**პატარა პაატა სიხარულისგან ცას ეწია, მთელი ღამე ვერ მოისვენა, ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა.**

**და აი, გათენდა. პატარა პაატა კონსერვატორიაში მიიყვანა უცნობმა კაცმა, კონსერვატორიის მასწავლებელი გადაირია მისი ნიჭიერებით, უმალ ჩარიცხა გუნდში და მისი ახალი ცხოვრების გზაც აქ დაიწყო.**

დღე და ღამეს ასწორებდა პატარა პაატა, რათა სასურველი მიზნისთვის მიეღწია. თავს არ ზოგავდა, ჭამისთვისაც კი არ იტოვებდა დროს, რათა კარიერა მოეწყო. დადგა ნანატრი დღეც. წვერებიანმა ბიძიამ ჯადოსნური სიტყვები უთხრა: პაატა, ხვალ ლა სკალაში მიდიხარ, აბა, მოემზადეო.

პაატა წავიდა ლა სკალაში, ამასობაში დროც გავიდა, ის მსოფლიომ გაიცნო და მის არიებს ოპერის ყველა მოყვარული გულში თუ ხმამაღლა ღიღინებდა. ასე გავიდა დღეები, თვეები, წლები. პაატა უკვე ყველამ გაიცნო და გადაწყვიტა, თავისი ბავშვობის კვალობაზე, გაჭირვებულ ადამიანებს დახმარებოდა. ფული ბევრი ჰქონდა, თუმცა საქველმოქმედო ორგანიზაცია შექმნა, და ადამიანების მეშვეობით გაჭირვებულებისთვის სახლებს ყიდულობდა, მართავდა საქველმოქმედო კონცერტებს.

**იმ პერიოდში საქართველოში არცთუ კარგი ჟამი იდგა, ადგილობრივი მედია გადმოსცემდა, რომ ადამიანის უფლებები ილახებოდა, ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ, ქუჩაში ხალხს კლავდნენ... პაატა კი მღეროდა, მართავდა კონცერტებს და გაჭირვებულ ხალხს ეხმარებოდა.**

ერთ მშვენიერ დღეს პაატამ პოლიტიკაში ჩართვა გადაწყვიტა, მოულოდნელად დაანება თავი სიმღერას და თქვა, — ჩემს ქვეყანას უჭირს, უნდა დავეხმაროო და სასწრაფოდ შექმნა პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“. გააერთიანა საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და ასე დაიწყო მისი პოლიტიკური საქმიანობა.

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ხმა გავარდა, პაატას ფული შემოელია და მისი პარტიიდან ხალხი გარბისო. პაატა გამოსავალს ეძებდა. კვირას, როდესაც ის აგარაკზე ტყეში ისვენებდა, ხის ქვეშ მჯდომ პაატას მოულოდნელად გირჩი დაეცა თავზე და...

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

**გრიგოლ ინგაძე**

**ვინ გვეუბნება და გვიკიჟინებს ჩვენ — რიგით ადამიანებს, რომ თურმე 2003 წლიდან 2012 წლამდე ჩვენს ქვეყანას მანიაკები, შეურაცხადები, არაადამიანები, ბოროტები და სისხლისმსმელები მართავდნენ? ვინ გვეუბნება ამას? ის ხომ არა, ვინც ამ საარჩევნოდ მაჟორიტარ კანდიდატებად არაერთი ის «ბიზნესმენი» თუ «საზოგადო მოღვაწე» შემოგვთავაზა საქართველოს პარლამენტში ასარჩევად, რომლებიც თავის დროზე მთელ ამ მანიაკიზმს აფინანსებდნენ და მხარს უჭერდნენ?**

**იმ პერიოდში საქართველოში არცთუ კარგი ჟამი იდგა, ადგილობრივი მედია გადმოსცემდა, რომ ადამიანის უფლებები ილახებოდა, ციხეებში პატიმრებს აწამებდნენ, ქუჩაში ხალხს კლავდნენ... პაატა კი მღეროდა, მართავდა კონცერტებს და გაჭირვებულ ხალხს ეხმარებოდა**

არა არს დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე დღის წინათ თურქულ გაზეთებში გამოქვეყნდა ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომელთა სია, რომლებიც ჩართულნი იყვნენ თურქეთში გადატრიალების ორგანიზებაში. მაგალითად, გაზეთ „აქსამის“ ცნობით, სახელმწიფო გადატრიალებების მოწყობის სპეციალისტები თურქეთში მოვლენის წინა დღეს ჩავიდნენ — 13-დან 15 ივლისის მონაკვეთში, და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მეამბოხეთა მოქმედებას. დასავლეთისა და გადატრიალების მომხრე ადგილობრივ მედიაში მასალების გამოქვეყნებით მათვე ჰქონდათ დავალებული პუტჩის საინფორმაციო მხარდაჭერა. ინტერნეტგამოცემა „ცარგრადის“ მიხედვით, „დამტკიცებულია, რომ მათ შორის იყვნენ აშშ-ის დიპლომატიური სამმართველოს თანამშრომლები“.**

# სახელმწიფო გადატრიალებას თურქეთში ამერიკელი «სპეცები» ამზადებდნენ


ამერიკელი აგენტების დესანტი თურქეთში

**2016 წლის 16 ივლისს თურქეთში პუტჩის მცდელობა ჩაიფუშა. ქვეყნის საზოგადოებრიობა იწონებს ერდოღანის ხელისუფლების მიერ გადატრიალების ორგანიზატორებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებებს, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და არმიაში მიმდინარე წმენდას. ამ მხარდაჭერის საფანელია ანტიამერიკული განწყობილება, რომელიც ქვეყანაში წლების განმავლობაში გროვდებოდა. როგორც მიმომხილველები ამტკიცებენ, ვაშინგტონი თურქეთის ხელისუფლებისა და ხალხისთვის ნამდვილ დემონად ჩამოყალიბდა. შეერთებული შტატების ამ მორიგმა ავანტიურამ თურქეთის არაერთი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა.**


გრეჰემ ფულერი

## საიდუმლო გამჟღავნებულია

16 ივლისის გადატრიალების მცდელობის შემდეგ პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ამერიკელებს ამბოხის ხელშეწყობაში დასდო ბრალი — მოურიდებლად და პირდაპირ თქვა ყველაფერი, რასაც მათთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე ფიქრობდა. ერდოღანის განცხადებები დადასტურებული იყო ოფიციალური მონაცემებით. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ამ „საქმეში“ დახარჯულ ფულზე წერდა თურქული პრესა, სხვა ვარაუდსაც გამოთქვამდნენ პროფესიონალი ჟურნალისტები. და ეს ვარაუდები დღეს, შეიძლება ითქვას, ფაქტებითაა განმტკიცებული. **თურქეთის კონტრდაზვერვისთვის ცნობილი შეიქნა გაცილებით მეტი, ვიდრე პუტჩის შემდგომ პირველ დღეებში იცოდა: გამოქვეყნდა ამერიკელი სპეციალისტების სახელები, რომელთა დაწერილი და განხორციელებული იყო თურქეთის ლიდერის დამხობის სცენარი.**

აშშ-ის მოქმედებას თურქები მოკავშირე, ნატოს წევრი ქვეყნისთვის ზურგში მახვილის ჩაცემად მიიჩნევენ. ამასთანავე, იმასაც იხსენებენ, რომ ამერიკას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა თურქეთის ხელმძღვანელობაზე, რომელიც მის ფარვატერს უსიტყვოდ მიჰყვებოდა. და ასეთი მოკავშირე გაწირეს. ამითო, — წერენ მიმომხილველები, **ამერიკამ დაგვანახვა, რომ ახლო აღმოსავლეთში განახორციელებს „საკუთარ თამაშს, რომელშიც თურქეთს მოკავშირის როლი კი არ აქვს მინიჭებული, არამედ გამოყენებულია, როგორც საომარი ტერიტორია. იგივე ითქმის რეგიონის სხვა ქვეყნებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად არის ჩათრეული ამერიკელების ჩახლართული გეგმის განხორციელებაში და (მიაქციეთ ყურადღება) რომლებსაც (პრეზიდენტებსა და ხალხს) ისევე დაუფიქრებლად გაწირავენ, როგორც გაწირეს თურქეთი და ერდოღანი.**

რამდენიმე დღის წინათ თურქულ გაზეთებში გამოქვეყნდა ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომელთა სია, რომლებიც ჩართულნი იყვნენ თურქეთში გადატრიალების ორგანიზებაში. მაგალითად, გაზეთ **„აქსამის“** ცნობით, სახელმწიფო გადატრიალებების მოწყობის სპეციალისტები თურქეთში მოვლენის წინა დღეს ჩავიდნენ — 13-დან 15 ივლისის მონაკვეთში, და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მეამბოხეთა მოქმედებას. დასავლეთისა და გადატრიალების მომხრე ადგილობრივ მედიაში მასალების გამოქვეყნებით მათვე ჰქონდათ დავალებული პუტჩის საინფორმაციო მხარდაჭერა. ინტერნეტგამოცემა **„ცარგრადის“** მიხედვით, „დამტკიცებულია, რომ მათ შორის იყვნენ აშშ-ის დიპლომატიური სამმართველოს თანამშრომლები“.

ოფიციალურად ჯერჯერობით ისინი არიან გაშიფრულიო.

გამოქვეყნებულ სიაში საკმაოდ ცნობილი სახელები წერია. ეს ადამიანები თურქეთში იმყოფებოდნენ 16 ივნისის „X“ საათზე და წინა დღესაც. მათი ბაზირებისა და მოქმედების საკოორდინაციო ცენტრი განთავსებული იყო, თურქული წყაროების ცნობით, კუნძულ ბიუიუქადზე, სტამბოლის მახლობლად. როგორც კი დაზუსტდა, რომ ჩაიფუშა გადატრიალება და დაიწყო ამბოხებულთა დაპატიმრება, „სპეცებმა“ სასწრაფოდ დატოვეს ქვეყნის ტერიტორია.

**ახლა კი იმ სიას გაგაცნობთ, რომელიც თურქეთის მასმედიაში გამოქვეყნდა.**

**გრეჰემ ფულერი** — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი, რომელიც 20 წლის განმავლობაში მუშაობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. სწორედ იგი კურირებდა ფედჰულაჰ გიულენის მხარდამჭერ ღონისძიებებს. რამდენიმე წლის წინათ თურქეთიდან გაქცეულმა გიულენმა სწორედ მისი დახმარებით მიიღო აშშ-ში მუდმივად ცხოვრების უფლება.

ამ პერსონაჟზე დაწვრილებით მოგვითხრობს **უილიამ ენგდალი** წიგნში „დასავლეთ სამყაროს საღმრთო ომი“. მისი სიტყვით, გრეჰემ ფულერი არ იყო დაზვერვის რიგითი თანამშრომელი, იგი აქტიურად მონაწილეობდა მოჯაჰედებისა და პოლიტიკური ისლამის სხვა ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციაში. სწორედ მან დაუჭირა მხარი „ძმები მუსლიმების“ და მსგავსი ისლამისტური ორგანიზაციების გამოყენებას აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში. 1982 წელს გრეჰემ ფულერი დაინიშნა ეროვნული დაზვერვის ოფიცრად, რომელიც კურირებდა ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხაზით. სწორედ მაშინ მის საპასუხისმგებლო ზონაში მოხვდა თურქეთიც. 1986 წელს ფულერი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან არსებული ეროვნული საბჭოს ვიცეთავმჯდომარე გახდა. 1988 წელს, როცა მოჯაჰედების ომი ავღანეთში მილევის პირას იყო, ფულერი ფორმალურად წავიდა დაზვერვიდან და გადავიდა ვაშინგტონის ნეოკონსერვატორების RAND-ში, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული პენტაგონთან და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. რიგი ცნობების თანახმად, ფულერმა ამ ორგანიზაციაში ყოფნისას შეიმუშავა გიულენის მოძრაობის გამოყენებით ყოფილი საბჭოთა ცენტრალური აზიის ქვეყნებში შეჭრის სტრატეგია. RAND-ში თანამშრომლობის წლები ფულერმა მიუძღვნა ისლამური ფუნდამენტალიზმის შესწავლას თურქეთში, სუდანში, ავღანეთში, პაკისტანსა და ალჟირში. თავის ნაშრომებში იგი განიხილავდა ერაყის დაკნინების საკითხებს, წერდა პოსტსაბჭოთა „ახალი გეოპოლიტიკის შესახებ ცენტრალურ აზიაში“, სადაც გიულენი გზავნიდა თავის ხელქვეითებს „გიულენის სკოლებისა“ და მედრესეების დასაარსებლად“, — წერს უილიამ ენგდალი თავის წიგნში.

(იმავე მიზნით შეიქმნა „გიულენის სკოლები“ საქართველოშიც და ამ „საქმეში“ არასახარბიელო როლი შეასრულა მიხეილ სააკაშვილის დედამ გიული ალასანიამ, თურქოლოგიის დოქტორმა).

**განვაგრძოთ „ფულერის სია“:**

**ჰენრი ბარკი** — აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში თურქეთის მიმართულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მანამდე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ჯგუფის წევრი, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური დაგეგმვის საკითხებზე მუშაობდა. სახელი გაითქვა პუბლიკაციებით, რომლებიც თურქეთის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ იყო მიმართული;

**ელენ ლაიფსონი** — აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის თანაშემწე, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან არსებული დაზვერვის ეროვნული საბჭოს ყოფილი ვიცეთავმჯდომარე;

**სილვანა თარიაქი** — პოლიტიკური ანალიტიკოსი, კურირებდა ისრაელს, პალესტინასა და სომხეთს;

**ახმედ მორსი** — კარნეგის ფონდის ექსპერტი, ეგვიპტისა და ირანის საკითხების კურატორი;

**ელი გარანმაიერი** — ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური კავშირების დეპარტამენტის თანამშრომელი, კურირებს ირანსა და საუდის არაბეთს;

**მესუდ კაროკჰაილი** — ახლო აღმოსავლეთის საკითხების ანალიტიკოსი, რიგი საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციების ექსპერტი;

**მარვა დაუდი** — არაბეთის კვლევების ცენტრისა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის დოცენტი. ავტორი წიგნის „სირიის, თურქეთისა და ერაყის წყალგამყოფი“, სირიის ხელმძღვანელობის „მხეცური“ ქმედებების შესახებ მრავალი პუბლიკაციის ავტორი;

**სამირ სუმაიდაიე** — აშშ-ის ყოფილი ელჩი ერაყში, თავის დროზე სადამ ჰუსეინის ოპოზიციის აქტიური წევრი;

**ალი ვაეზი** — ვუდრო ვილსონის ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

დღეს დეტალურადაა დადგენილი, რომ ჯერ კიდევ 2013 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შუამავლობით აშშ-მა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ისლამის უცნობილეს მქადაგებელს — ფედჰულაჰ გიულენს. თავის დროზე მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერდოღანთან, ისინი ერთადაც კი მუშაობდნენ; გიულენმა თავისი მოძრაობა „ჰიზმეთი“ პრაქტიკულად ერდოღანის მხარდასაჭერად და დასახმარებლად შექმნა, მაგრამ 2013 წლის ზაფხულიდან მათი გზები გაიყარა. გიულენი იძულებული გახდა, აშშ-ში დამალულიყო, მაგრამ თურქეთში მისი მრავალი მომხრე და მიმდევარი დარჩა. გიულენის კონტროლი ვრცელდება თურქეთის მასმედიის უდიდეს ნაწილზე, იგივე ითქმის, უწინარეს ყოვლისა, თურქეთის სამხედრო საჰაერო ძალებისა და სპეცსამსახურების უმაღლეს ჩინოსნებზე. სწორედ მათზე ზემოქმედებას ითვალისწინებდნენ ამერიკელები საჭირო მომენტში, რომლებიც (ამერიკელებს) თავიანთ ანკესზე ჰყავთ წამოგებული. ამასთან, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სულაც არ ინტერესდება გიულენის რწმენისა და შეხედულებების საკითხებით. ეს სპეცსამსახური თავხედურად იყენებს მას და მის პოლიტოპონენტ ერდოღანს თავის დიდ თამაშში.

**ერდოღანის დამხობის უშედეგო ოპერაციის შემდეგ, ანალიტიკოსების გათვლით, ამერიკელები არ დაცხრებიან, აუცილებლად მოიგონებენ რაღაც სხვას — ასე არ გამოუვიდათ, სხვაგვარად სცდიან. ეგებ, სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ თურქეთის საზღვრისპირა რაიონებში, რომელთა საწინააღმდეგო მხარეს ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მოთარეშეები არიან გამაგრებულნი, ტერაქტების სიხშირემ თვალსაჩინოდ იმატა. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ სისხლიანი ტერორი უფრო და უფრო გავრცელდება.**

ამერიკელების წინაშე დგება ახალი ამოცანა — თურქეთში დაძაბულობის შექმნა. გამორიცხული არ არის, რომ ქვეყანაში კვლავ გამოჩნდეს გადატრიალების გამოცდილი პროფესიონალები გრეჰემ ფულერის მეთაურობით.

მანამდე კი ისინი შეიძლება ვიხილოთ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. თურქეთის სპეცსამსახურებმა გამოიკვლიეს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს იგივე თანამშრომლები მონაწილეობდნენ „არაბული გაზაფხულის“ ორგანიზებაში ტუნისში, ეგვიპტეში, იემენსა და ლიბიაში.

**თურქული პრესის მიხედვით**

„გასართობმა ინდუსტრიამ თქვა: „მოდი, ჩავწეროთ სატელევიზიო შოუები და ფილმები, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობის, ბილწსიტყვაობისა და სექსის პროპაგანდას; ჩავწეროთ მუსიკა, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარებას, გაუპატიურებას, მკვლელობას, თვითმკვლელობასა და სატანიზმს“. ჩვენ ვთქვით: „ეს მხოლოდ გართობაა და ნეგატიურ გავლენას ვერ იქონიებს, ამიტომ ვთქვით, — განაგრძეთ და დავძინეთ — კარგი!“

რაც მოგვივა დავითოთ...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ცოდვილთა ჰგუემდეთ ცეცხლი», ანუ 11 სექტემბრის «ბაპტისტური ვერსია»

**2011 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ექსტრემისტებმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ტერორისტული აქტი მოაწყვეს. ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ტერაქტი მოაწყო „ალ ქაიდამ“. 19 ტერორისტმა, რომლებიც 4 ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, 4 ავიალაინერი გაიტაცა. ერთი თვითმფრინავი პენტაგონის შენობისკენ იყო მიმართული, მეორე — პენსილვანიის შტატში ჩამოვარდა, 2 კი ნიუ იორკში მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპ შენობას შეეჯახა. ამ ტერორისტულმა აქტმა 2 977 ადამიანი იმსხვერპლა, 24 კი — დღემდე დაკარგულად ითვლება.**




11 სექტემბრის ტერაქტის მიზეზების ოფიციალურ ვერსიას დღემდე აკრიტიკებენ ჟურნალისტებისა და ექსპერტების ნაწილი, აგრეთვე, ტერაქტის თვითმხილველები. ტყუპი ცათამბჯენის ჩამოშლის ვიდეოჩანაწერი მიუთითებს იმაზე, რომ შენობების დანგრევას აკონტროლებდნენ და, აქედან გამომდინარე, ეს ტერორისტული აქტი აშშ-ის მთავრობამ მოაწყო — ამ ვერსიას იზიარებს კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის პროფესორი **ნილს ჰარიტი**, აგრეთვე, ბრიგამ იანგის უნივერსიტეტის თანამშრომლები — **ჯეფრი ფერერი** და **სტივენ ჯონსი**, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მანჰეტენზე ჩამოშლილი შენობების ნანგრევებში ნაპოვნია ასაფეთქებელი ნივთიერებების — „ტერმიტისა“ და „ნანოტერმიტის“ — კვალი. ამ ნივთიერებებს კი ძველი შენობების დასანგრევად იყენებენ.

11 სექტემბრის ტერაქტის მიზეზების დასადგენად ჩატარებულია უამრავი კვლევა, დაწერილი და გამოქვეყნებულია ბევრი მასალა, გადაღებულია არაერთი დოკუმენტური ფილმი. მათ შორის, აღსანიშნავია რეჟისორ **მაიკლ მურის** „ფარენჰეიტი 9/11“, **პიტერ ჯოზეფის** „დროის სულისკვეთება“ და სხვ., რომლებშიც ლაპარაკია აშშ-ის ხელისუფლების მონაწილეობაზე 11 სექტემბრის ტერაქტში.

ეს ტრაგედია შესანიშნავად შეაფასა ამერიკელი რელიგიური მოღვაწის, ბაპტისტური ეკლესიის მღვდელმსახურის, წლების განმავლობაში სულიერების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტების მრჩევლის, **ბილი გრემის** ქალიშვილმა **ანა გრემმა**, რომელმაც აშშ-ში 11 სექტემბერს დატრიალებული ტრაგედიისადმი მიძღვნილ თოქშოუში წამყვანის კითხვაზე — **როგორ დაუშვა უფალმა ეს ტრაგედია** — ღრმა და გამჭრიახი პასუხი გასცა:

„მე მჯერა, რომ ღმერთი ისევე წუხს მომხდარზე, როგორც ჩვენ, მაგრამ ჩვენ დროთა განმავლობაში ვდევნიდით უფალს სკოლებიდან, მთავრობებიდან, ჩვენი ცხოვრებიდან და ვფიქრობ, რომ ღმერთმა, როგორც ჯენტლმენმა, მხოლოდ უკან დაიხია. ველოდებით ღვთის წყალობას და, ამასთანავე, მისგან მოვითხოვთ, რომ დაგვტოვოს?!

მოდი, გავიხსენოთ: ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა **მედლინ მიურეი ო'ჰარამ** (ის მოკლეს და გვამი რამდენიმე ხნის წინათ იპოვეს) თქვა, რომ **სკოლაში ლოცვის ადგილი არ არის**, და ჩვენ ვთქვით: **„კარგი!“**. მერე ვიღაცამ თქვა, რომ სკოლაში არ უნდა იკითხებოდეს ბიბლია (ბიბლია, რომელშიც ნათქვამია: „არ მოკლა. არ მოიპარო, შეიყვარე მოყვასი შენი“) და ჩვენ ისევ დავეთანხმეთ: **„კარგი!“**.

მერე დოქტორმა **ბენჯამინ სპოკმა** განაცხადა, რომ **არ უნდა გამოვიყენოთ ბავშვების ფიზიკური დასჯის მეთოდები**, რადგან ეს მათში პიროვნებას კლავს და ჩვენ შეიძლება ხელი შევუშალოთ თვითშეფასების პროცესს (თვითონ ბენჯამინის ვაჟიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა). მაშინ ჩვენ ვიფიქრეთ: „ის სპეციალისტია და იცის, რასაც ამბობს“. და ისევ ვთქვით: **„კარგი!“**.

მერე ვიღაცამ თქვა, რომ მასწავლებლები და დირექტორი არ უნდა სჯიდნენ ფიზიკურად მოსწავლეებს, მეტიც, არც კი უნდა შეეხონ მათ და პასუხი არ მოსთხოვონ ცუდი საქციელისთვის. და ჩვენ ისევ ვთქვით: **„კარგი!“**.

შემდეგ ვიღაცამ თქვა: **„მოდი, მივცეთ გოგონებს აბორტის გაკეთების უფლება, თუ მათ ეს უნდათ“**. და ჩვენ ისევ გავიმეორეთ: **„კარგი!“**. მერე სკოლაში ვიღაცას ახალი აზრი გაუჩნდა და თქვა: **„ბიჭები ყოველთვის და ყველგან იქნებიან ბიჭები და მუდამ გააკეთებენ ამას, ამიტომ დავურიგოთ პრეზერვატივები სკოლაში და მიიღონ სიამოვნება, მშობლები ვერც გაიგებენ, რომ ისინი სკოლაში დაურიგეს“**. ჩვენ ისევ ვთქვით: **„კარგი!“**.

მერე ჩვენ მიერ არჩეული მთავრობიდან ვიღაცამ თქვა: **„თუ სამუშაო კარგად სრულდება, მნიშვნელობა არ აქვს, რა ხდება პირად ცხოვრებაში“**. დავეთანხმეთ და ვთქვით: არ გვაინტერესებს, ვინ (მათ შორის, პრეზიდენტიც) როგორი პირადი ცხოვრებით ცხოვრობს, თუ სამუშაო გვაქვს და ეკონომიკაც წესრიგშია.

მერე ვიღაცამ თქვა: **„მოდი, დავბეჭდოთ ჟურნალები შიშველი ქალების სურათებით და ამით ვაჩვენოთ ქალის სხეულის სიჯანსაღე და სილამაზე“**. მერე უფრო „წინ წავედით“ და ბავშვების გაშიშვლებული სხეულები გამოვიტანეთ სააშკარაოზე და ინტერნეტშიც გამოვაქვეყნეთ. და ჩვენ ისევ ვთქვით: **„კარგი, მათ აქვთ სიტყვის თავისუფლება!“**.

**«სასაცილოა, რომ ადამიანები ვდევნით უფალს და მერე გვიკვირს, ცხოვრება ჯოჯოხეთად რატომ იქცა. სასაცილოა, ყველას გვინდა ზეცაში მოხვედრა და არაფერს ვაკეთებთ, არაფრის გვჯერა, რაც ბიბლიაშია»**



**«ახლა ჩვენ ვეკითხებით საკუთარ თავს: რატომ არ აქვთ ჩვენს შვილებს სინდისი, რატომ არ შეუძლიათ კარგისა და ცუდის გარჩევა, რატომ კლავენ ერთმანეთს და იკლავენ თავს? თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ, რაც დავთესეთ, ის მოვიმკეთ!»**

მერე გასართობმა ინდუსტრიამ თქვა: **„მოდი, ჩავწეროთ სატელევიზიო შოუები და ფილმები, რომლებიც ხელს უწყობს ძალადობის, ბილწსიტყვაობისა და სექსის პროპაგანდას; ჩავწეროთ მუსიკა, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარებას, გაუპატიურებას, მკვლელობას, თვითმკვლელობას და სატანიზმს“**. ჩვენ ვთქვით: „ეს მხოლოდ გართობაა და ნეგატიურ გავლენას ვერ იქონიებს, ამიტომ ვთქვით, — განაგრძეთ და დავძინეთ — **კარგი!**“.

**და ახლა ჩვენ ვეკითხებით საკუთარ თავს: რატომ არ აქვთ ჩვენს შვილებს სინდისი, რატომ არ შეუძლიათ კარგისა და ცუდის გარჩევა, რატომ კლავენ ერთმანეთს და იკლავენ თავს?** თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ, რაც დავთესეთ, ის მოვიმკეთ!

ერთმა ახალგაზრდა მამაკაცმა დაწერა: **„ღმერთო, რატომ არ გადაარჩინე საკუთარ კლასში მოკლული პატარა გოგონა? ჭეშმარიტად შენი, შეწუხებული სტუდენტი“**.

აი პასუხი: **„ძვირფასო სტუდენტო, მე არ მიშვებენ სკოლებში... ჭეშმარიტად შენი, ღმერთი!“**.

**სასაცილოა,** რომ ადამიანები ვდევნით უფალს და მერე გვიკვირს, ცხოვრება ჯოჯოხეთად რატომ გვექცა.

**სასაცილოა,** როცა გვჯერა გაზეთების და ეჭვი გვეპარება ბიბლიაში.

**სასაცილოა,** ყველას გვინდა ზეცაში მოხვედრა და არაფერს ვაკეთებთ, არაფრის გვჯერა, რაც ბიბლიაშია.

**სასაცილოა,** როცა ვიღაც ამბობს, რომ სჯერა ღმერთის, მაგრამ მიჰყვება სატანას, რომელსაც „სჯერა“ უფლის.

**სასაცილოა,** როცა ჩვენთვის ადვილია, განვსაჯოთ სხვა და ძნელია, თვითონ მოვისმინოთ განსასჯელი სიტყვები.

**სასაცილოა,** როცა უაზრო ხუმრობები ელვასავით ედება სამყაროს და ადამიანები კი დიდხანს ფიქრობენ იმაზე, გააზიარონ თუ არა სტატუსი, რომელშიც ღმერთია ნახსენები.

**სასაცილოა,** როდესაც უხამსი, უწესო, უზნეო და ვულგარული ადვილად ხელმისაწვდომია ინტერნეტში, სკოლებსა და სამსახურებში კი ღია დისკუსია უფალზე შეუძლებელია.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

მოკლედ

## მსოფლიოს 1000-მდე საუკეთესო უნივერსიტეტს შორის საქართველოს ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ მოხვდა

**საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლების ხარისხი, უკვე წლებია, კრიტიკის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში აკრედიტებულ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ღირებულება ევროპის რიგი ქვეყნების უნივერსიტეტებთან შედარებით საკმაოდ ძვირია, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები საერთაშორისო რეიტინგებში ან საერთოდ ვერ ხვდებიან, ან, თუ ხვდებიან, ბოლო ადგილებზე.**

ბრიტანული ორგანიზაცია Quacquarelli Symond (QS)-ის კვლევის მიხედვით, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სიაში 81 ქვეყნის 916 უმაღლესი სასწავლებელი მოხვდა, კერძოდ: ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის, ჩინეთის, კანადის, რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, ლიტვის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ესტონეთისა და ლატვიის. უნივერსიტეტების რეიტინგული მაჩვენებლის მიხედვით, პირველ ადგილზე ამერიკაა, ხოლო ბოლოზე — ლატვია.

QS WORLD UNIVERSITY RANKINGS

საუკეთესო უნივერსიტეტების ჩამონათვალში საქართველო არ არის. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, რეიტინგში მხოლოდ 2 ქვეყანა მოხვდა. ჩამონათვალში, რუსეთი მე-8, ხოლო აზერბაიჯანი მე-12 ადგილს იკავებს. თურქეთშიც კი, რომელსაც იმის ამბიცია აქვს, რომ მათთან უმაღლესი განათლება მაღალ დონეზეა, რეიტინგის ავტორებმა ვერც ერთი ძლიერი უმაღლესი სასწავლებელი ვერ იპოვეს.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსულმა გამანადგურებელმა ამერიკელ მზვერავ თვითმფრინავს გზა „საერთაშორისო სამართლის შესაბამისად“ მოუჭრა, როცა ის რუსული სამხედრო ქვედანაყოფების სწავლებაზე სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას ცდილობდა, „СУ-27“ ჰაერში აიჭრა, რათა გაერკვია, რით იყო დაკავებული ამერიკული თვითმფრინავი „P-8 POSEIDON“-ი, როცა ეს საფრენი აპარატი გამორთული ტრანსპორდერით ორჯერ შეეცადა, რუსეთის საზღვრებს მიახლოებოდა სევასტოპოლთან, სადაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მთავარი საზღვაო ბაზაა განლაგებული“.**

# ახლო კონტაქტები შავი ზღვის თავზე

## რუსული ავიაგამანადგურებელი 3 მ-ის მანძილზე მიუახლოვდა ამერიკულ მზვერავ თვითმფრინავს

**პენტაგონის წარმომადგენლის განცხადებით, 7 სექტემბერს რუსული გამანადგურებელი „Су-27“ შეეცადა, გზა მოეჭრა ამერიკული მზვერავი თვითმფრინავისთვის, როდესაც შავი ზღვის თავზე ფრენდა. ამ მომენტში თვითმფრინავებს შორის მანძილი მხოლოდ 3 მეტრი იყო. ეს ინციდენტი მოხდა აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობის მზარდი დაძაბულობის ფონზე. ეს ქვეყნები სირიის სამოქალაქო ომში სხვადასხვა მხარეს იმყოფებიან.**

„ამერიკული თვითმფრინავისთვის გზის მოჭრისას, რაც დაახლოებით 19 წუთს გრძელდებოდა, რუსეთის თვითმფრინავი „Су-27“ ჯერ 9 მ-ის მანძილზე მიუახლოვდა ამერიკულ „P-8A“-ს, შემდეგ კი — 3 მეტრზე, რაც სახიფათოა და არაპროფესიონალურ მოქმედებად უნდა შეფასდეს“, — მოჰყავს სააგენტო „როიტერს“ ციტატა პენტაგონის წარმომადგენლის განცხადებიდან.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ინციდენტი მართლა მოხდა და რუსულმა გამანადგურებელმა ამერიკელ მზვერავ თვითმფრინავს გზა „საერთაშორისო სამართლის შესაბამისად“ მოუჭრა, როცა ის რუსული სამხედრო ქვედანაყოფების სწავლებაზე სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას ცდილობდა, „Су-27“ ჰაერში აიჭრა, რათა გაერკვია, რით იყო დაკავებული ამერიკული თვითმფრინავი „P-8 Poseidon“-ი, როცა ეს საფრენი აპარატი გამორთული ტრანსპორდერით (რადიომოწყობილობა, რომელიც მიღებულ სიგნალს პასუხობს სიგნალითვე თვითმფრინავის კუთვნილებისა და ადგილმდებარეობის შესახებ — ნ.კ.) ორჯერ შეეცადა, რუსეთის საზღვრებს მიახლოებოდა სევასტოპოლთან, სადაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მთავარი საზღვაო ბაზაა განლაგებული“, — ნათქვამია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

### ცივი ომის აჩრდილი

მიმდინარე წელს მსგავსი ინციდენტი რუსეთსა და აშშ-ს შორის რამდენჯერმე მოხდა. ეს ინციდენტი მოგვაგონებს ცივ ომს, როდესაც ასეთმა ეპიზოდებმა კინაღამ მესამე მსოფლიო ომის დაწყება გამოიწვია. 1972 წელს სწორედ ამიტომ მოეწერა ხელი ორმხრივ ხელშეკრულებას, რომლის მიზანიც შავ ზღვასა და მის თავზე სახიფათო ურთიერთქმედების თავიდან აცილებაა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი თვითმფრინავი „P-8A“ მიუახლოვდა ბაზა ჰმეიმიმს (სირია), სადაც განლაგებულია რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების ბაზა. ამას გარდა, ამერიკული თვითმფრინავები ახლოს ფრენდნენ რუსეთის საზღვაო ფლოტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ბაზასთან ტარტუსში (სირია).

8 სექტემბერს კი შავ ზღვაზე რუსეთის საზღვრებს 3 ამერიკული თვითმფრინავი მიუახლოვდა. ერთი „RC-135“ საბერძნეთში მდებარე ავიაბაზიდან აფრინდა, 2 კი — სიცილიიდან.





### «ბოინგ» P-8 «პოსეიდონის» ტექნიკური მახასიათებლები:

Boeing P-8 Poseidon-ი — ეს არის წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ამერიკული მრავალფუნქციური საპატრულო თვითმფრინავი, რომელმაც 2013 წელს შეცვალა Lockheed P-3 Orion-ი. „პოსეიდონს“ იყენებენ საპატრულო რაიონში მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად, სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად, აგრეთვე, ხომალდსაწინააღმდეგო და სამაშველო ოპერაციებში, როგორც სანაპირო ზოლში, ასევე ოკეანეებში.

*** ეკიპაჟი — 9 კაცი (2 პილოტი, 7 ოპერატორი);**
*** სიგრძე — 39,47 მ;**
*** ფრთების განშლა — 37,64 მ;**
*** სიმაღლე — 12,88 მ;**
*** მაქსიმალური ასაფრენი მასა — 85,8 ტ;**
*** საწვავის მასა ავზებში — 34096 კმ;**
*** მაქსიმალური სიჩქარე — 907 კმ/სთ-ში;**
*** სიჩქარე პატრულირებისას /ძებნისას — 333 კმ/სთ 60 მ-ის სიმაღლეზე;**
*** საბრძოლო რადიუსი — 3700 კმ;**
*** ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 12500 მ;**
*** ფასი — 115-150 მლნ დოლარი.**

* თვითმფრინავი აღჭურვილია რადიოტექნიკური სადაზვერვო სისტემებით, აგრეთვე, აპარატურით, რომლებიც საშუალებას აძლევს, შეადგინოს ადგილის რუკა, ამოიცნოს წყლის ზედაპირზე მყოფი უძრავი მიზნები და წყლის სიღრმეში მოძრავი წყალქვეშა ნავები.

თვითმფრინავის ნაკვეთურებში თავსდება თავისუფალი ვარდნისა და სიღრმის ბომბები, აგრეთვე, ტორპედოები Mark 54.

### «Су-27»-ის ტექნიკური მახასიათებლები

„Су-27“ (ნატოს კოდიფიკაციით Flanker-B — ეს არის მეოთხე თაობის რუსული (საბჭოთა) მრავალმიზნიანი გამანადგურებელი, რომელიც სუხოის სახელობის საკონსტრუქტორო ბიურომ შეიმუშავა 1977 წელს. ექსპლუატაციაშია 1985 წლიდან. „Ყუ-27“ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითადი თვითმფრინავია, რომლის მოდიფიკაციებით შეიარაღებულია ბევრი ქვეყნის საჰაერო ძალები. მათ შორის, სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკების, ჩინეთის, ინდოეთისა და სხვ. არსებობს ამ თვითმფრინავების რამდენიმე მოდიფიკაცია — „Су-27М“; „Су-30“; „Су-33“; „Су-33УБ“; „Су-34“; „Су-35“; Shenyang J-11.

*** ეკიპაჟი — 1 კაცი („Ყუ-33უძ“ —2 კაცი);**
*** სიგრძე — 21,9 მ;**
*** ფრთების განშლა — 14,6;**
*** სიმაღლე — 5,9 მ;**
*** მაქსიმალური ასაფრენი მასა — 33 ტ;**
*** საწვავის მასა — 9400 კგ;**
*** მაქსიმალური სიჩქარე 11 ათას მ-ზე — 2500 კმ/სთ;**
*** მაქსიმალური სიჩქარე მიწასთან ახლოს — 1380 კმ/სთ;**
*** მოქმედების პრაქტიკული რადიუსი (მიწასთან / სიმაღლეზე) — 1370/3680;**
*** ფრენის სიმაღლე — 18000 მ.**

**შეიარაღება:** 30 მმ-იანი ქვემეხი; რაკეტები — „ჰაერი-ჰაერი“; „ჰაერი-მიწა“; უმართავი საავიაციო რაკეტები; ავიაბომბები, თავდაცვისა და დაზვერვის რადიოელექტრონული სისტემები.

*** ფასი — დაახლოებით 15 მლნ დოლარი.**



# ადამიანი-ტანკი

## რუსებმა სპეცოპერაციებისთვის ძლიერი დაცვის ჯავშნიანი კოსტიუმი «კონსტრუქტორი» შექმნეს

„ეს ჯავშნიანი მძიმე კოსტიუმი 20 კგ-ს იწონის და მებრძოლი შორ მანძილზე გადაადგილებას ვერ შეძლებს, მაგრამ, როცა საჭიროა შენობის შტურმით აღება, ამ კოსტიუმს შეუძლია, მაღალ დონეზე უზრუნველყოს მებრძოლის მთელი ტორსის, ყელისა და კიდურების დაცვა ნაღმის ნამსხვრევებისა და ჯავშანსაწინააღმდეგო ტყვიებისგანაც კი“, — განაცხადა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის — „სტალის“ გენერალურმა დირექტორმა ევგენი ჩისტიუკოვმა.



# მომავლის იარაღი — ლაზერული პისტოლეტი

**რუსმა გამომგონებელმა იაროსლავ პანკრატიევმა YouTube-ზე თვითნაკეთი ლაზერული პისტოლეტის გამოცდის ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა.**





გამომგონებელი ამბობს, რომ „მომავლის იარაღი“, რომელსაც Delta Laser Cun უწოდა ორი ლაზერული მოდულისგან შედგება (თითოეული მოდულის სიმძლავრე 1,6 ვატია).

პისტოლეტში ჩამონტაჟებულია ულტრაბგერითი მოწყობილობა, რომელიც ზომავს მანძილს მიზნამდე და სიგნალს გადასცემს მართვის სისტემას. ამ სიგნალის მიხედვით სისტემა ცვლის ერთ-ერთი მოდულის მდებარეობას უძრავი მოდულის მიმართ და ორივე მოდულის ლაზერული სხივი მიზანზე ფოკუსირდება.

პანკრატიევის ლაზერულ პისტოლეტში, მართვის სისტემის გარდა, გათვალისწინებულია თხევადკრისტალებიანი ეკრანიც, რომელზეც გამოისახება ბატარეების დამუხტვის დონისა და ლაზერული სხივების მდგომარეობის პარამეტრები.

მოამზადა ნიკა კორინთელმა




## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები" კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს" ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...





## იტალიის სასამართლომ მოქალაქეებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მასტურბაციის ნება დართო

**„იტალიის უზენაესმა სასამართლომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს ნება დართო, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაიშიშვლონ... სასქესო ორგანოები. ამ გადაწყვეტილების მიზეზი შეიქნა შედეგი ხელახლა განხილული საქმისა, რომლის მიხედვითაც ხანში შესულ მამაკაცს 5 წლით აღუკვეთეს თავისუფლება", — იუწყება The Independent-ი.**

იტალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საზოგადოებისთვის სასქესო ორგანოების განზრახ დემონსტრირებაც კი არ ჩაითვლება დანაშაულად. ასეთი ქმედება, მოსამართლეების მტკიცებით, არ არის კანონსაწინააღმდეგო, რადგან 2015 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი თავშეყრის (ქალების) ადგილას მასტურბაცია კრიმინალური ქმედება არ არის.

უზენაეს სასამართლოში ამ საკითხის განხილვის მიზეზი 69 წლის **პიეტრო ლ**-ის წინააღმდეგ აღძრული საქმე იყო — ხანდაზმულმა მამაკაცმა კატანიის უნივერსიტეტის სტუდენტების თვალიერებისას მოურიდებლად დაიწყო მასტურბაცია. ამ ქმედების გამო რეგიონულმა სასამართლომ პიეტრო ლ-ს 3-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა და 3420 ევროთი დააჯარიმა. ახლა კი, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეს გადახედავენ და პენსიონერს მხოლოდ დააჯარიმებენ.

## როგორ აღნიშნეს 2016 წელს ბრიტანელმა ქალებმა «ლედის დღე»

### მთვრალი ქალები, აყალმაყალი და ნაგვის გორები

ბრიტანეთის დასახლებულ პუნქტ ეინტრიში (ლივერპულთან ახლოს) გაიმართა ტრადიციული ყოველწლიური „ლედის დღე", რომელიც დოღის — Grand National-ის შემდეგ იმართება და რომელშიც ათასობით ადამიანი მონაწილეობს. ამ ღონისძიების ფოტოებს აქვეყნებენ პოპულარული ბრიტანული გამოცემები, მათ შორის, Daily Mail-ი, Mirror-ი და The Guardian-ი.

ამ დღეს ყველა თაობის ბრიტანელი ქალბატონები ექსტრავაგანტურად იმოსებიან და ცდილობენ, შთაბეჭდილება მოახდინონ გარშემო მყოფებზე, მაგრამ დღის ბოლოს ალკოჰოლური სასმელის გავლენით ბევრი მათგანი, პაპარაცების სასიხარულოდ, ივიწყებს, რომ ლედია.




## ამერიკულმა გაზეთმა მიიჩნია, რომ სიტყვა «ქრისტიანული» შეურაცხმყოფელია

Knoxville News Sentinel

**აშშ-ის ქალაქ ნოქსვილის (ტენესის შტატი) გაზეთმა News Sentinel-მა უარი განაცხადა ქრისტიანული მაღაზიის განცხადების დაბეჭდვაზე, რადგან სიტყვა „ქრისტიანული" შეურაცხმყოფელად მიიჩნია, — იუწყება Fox News-ი.**

ქრისტიანული მაღაზია Ceder Springs Cristian Store-ს მფლობელებმა თავიანთი ერთ-ერთი ფილიალისა და საგნების გაყიდვა გადაწყვიტეს და მოისურვეს, ამის შესახებ განცხადება ადგილობრივ გაზეთში გამოექვეყნებინათ. ამა წლის 26 ივლისს მაღაზიის ერთ-ერთმა მფლობელმა **ლოის მაკგინისმა** განცხადება გაზეთის რედაქციაში მიიტანა და თანხაც გადაიხადა, მაგრამ 28 ივლისს, როცა გაზეთი გადაშალა, თავისი განცხადება ვერ იპოვა. ქალბატონმა რედაქციაში დარეკა. მას აუხსნეს, რომ განცხადება არ დაიბეჭდა, რადგან შეურაცხმყოფელ სიტყვას შეიცავდა.

როდესაც მისის მაკგინისმა მოითხოვა, დაეზუსტებინათ, რომელი სიტყვა იყო შეურაცხმყოფელი, გაზეთის თანამშრომელმა უპასუხა, რომ ეს იყო მაღაზიის სახელწოდებაში არსებული სიტყვა „ქრისტიანული". ამასთანავე, გაზეთს არც გადახდილი თანხის დაბრუნებაზე უთქვამს რამე და არც განცხადების დაუბეჭდაობის გამო მოუბოდიშებია.

**„ამ განცხადების გამოქვეყნების მცდელობამდე არ ვიცოდით, თუ სიტყვა „ქრისტიანული" შეურაცხმყოფლად ითვლებოდა. ეს იყო ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, სილის გაწვნა",** — განაცხადა მისის მაკგინისმა.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანული მაღაზიის მფლობელმა მომხდარის შესახებ ინფორმაცია სოციოალურ ქსელში გამოაქვეყნა, რომელსაც ტენესელი ქრისტიანების აღშფოთება მოჰყვა, გაზეთმა იკადრა და ბოდიში მოიხადა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ უწინ ისტორიის წერა ფულის, სახელის, აგარაკისა და მსუბუქი ავტომანქანის მოპოვების საფუძველი იყო და სხვა არაფერი, ახლა ისტორია დაკვეთის შესრულების, სიცრუის, ფალსიფიკაციის, ზომბირებისა და ადამიანთა ტვინის გამორეცხვის საშუალებად იქცა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32 (361)

# სტალინი და ჟუკოვი

## ნაწილი II

**მარშალი ჟუკოვი ამბობს: — „დიდი სამამულო ომის ისტორია“ — ეს აბსოლიტურად მოგონილი ისტორიაა, რომელიც არ ასახავს იმ ომს, რომელიც იყო. ისტორია, რომელიც დაიწერა, „ონა ატვეჩაეტ დუხუ სოვრემენნოსტი“ (ვლადიმერ ბეშანოვი, „ათი სტალინური დარტყმა“, 2003 წ., გვ. 745). როგორც ჩანს, საქმე ეხება სტალინის მიერ დაწერილ წიგნს „დიდი სამამულო ომის“ შესახებ.** ვლადიმერ ბეშანოვი შენიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამამულო ომიდან დიდი დრო გავიდა, ამ ისტორიას ბევრი არაფერი მომატებია, გარდა მოვლენების გაყალბებისა. და იქვე მოჰყავს (გვ. 775):

„სტალინგრადის ბრძოლებში ჟუკოვის გადამწყვეტი როლის შესახებ მე ვერსად ვერაფერი ამოვიკითხე. გიორგი კონსტანტინეს ძე იქ არ ყოფილა. გენერალურ შტაბში კი ვინ რას ხაზავდა და ვინ რას ითვლიდა ან ვასილევსკის ფანქარს წვერს ვინ უთლიდა, სტალინგრადის აღებას არ ნიშნავს. ვინ შეარჩია ყველაზე კარგი ვარიანტი, ვინ დანიშნა მისი განმახორციელებლები, ვინ ახდენდა ძალთა შორის კორდინაციას? — ეს იყო ერთი კაცი — უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი.

**სტალინი იყო უშუალო ავტორი სტალინგრადის გათავისუფლებისა, თუ ეს ვინმეს ძალიან აინტერესებს“.**

ჟუკოვი დაუფარავად ამბობს:

„მან სრულყო და დაამშვენა სამხედრო ხელოვნების ისტორია“. და იქვე სცემს პასუხს ვლადიმერ ბეშანოვი:

— „თუ ეს ხელოვნებაა, მაშინ რაღაა ფოლკლორი?

მაგალითისათვის ავიღოთ ბარონი მიუნჰაუზენი, რომელმაც გვაცნობა, რომ მთვარეზე გაფრინდა 1770 წელს. ნუთუ ეს რამით ამცირებს **არმსტრონგის** პრიორიტეტს?“

**მე ჟუკოვს მიუნჰაუზენს არ შევადარებ, მაგრამ უწიგნურ კაცს, რომელმაც 20 000 წიგნის წამკითხველსა და შენიშვნების გამკეთებელს წიგნი დაუწუნა, ცოტა თუ აკლია მიუნჰაუზენამდე.**

ისტორიის გაყალბებასა და ბევრი ისტორიკოსის ყბადაღებულ სიცრუეზე ბევრჯერ გამომითქვამს ჩემი მოსაზრება და დამიწერია, მაგრამ დიდი სამამულო ომის ისტორიის ფალსიფიცირება უკვე ყველაფრის საზღვარს სცილდება.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

**1. ჟუკოვი წერს, რომ სტალინი 4 საათსა და 30 წუთზე ძლივს გააღვიძეს და, როდესაც ომის დაწყება შეატყობინა, სტალინი შოკში ჩავარდა, ესმოდა როგორც მისი მძიმე სუნთქვა, ასევე ხშირი გულისცემა.**

**2. მოლოტოვი წერს:** „გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში — შულენბერგმა ღამის 3 საათზე დამირეკა და სასწრაფოდ მიღება მთხოვა, რათა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი საბუთი გადმოეცა. მყისვე სტალინს დავურეკე და ვუთხარი, რომ გერმანიის ელჩმა მიღება მთხოვა, რათა ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი გადმომცეს.

სტალინმა მიპასუხა:

— მან, ალბათ, ომის გამოცხადების მემორანდუმი უნდა გადმოგცეს, საერთაშორისო სამართლის ნორმები რომ არ დაარღვიონ. შეხვედრა რაც შეიძლება დაუგვიანე, ვიდრე სამხედროები ომის დაწყებას ოფიციალურად შეგვატყობინებენ“.

**მოლოტოვის ნათქვამიდან გამომდინარე, ჟუკოვის მოხსენებით ომის დაწყების შესახებ სტალინი შოკში არ ჩავარდნილა.**

3. **მიქოიანი** იგონებს: „1941 წლის 21 ივნისს პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი სტალინთან კუნცევოს აგარაკზე ვიყავით, ვივახშმეთ და სხვადასხვა საკითხზე ვისაუბრეთ. შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა აგარაკი დავტოვეთ“.

4. სტალინის პირადი ექიმი **ვინოგრადოვი**: 1941 წლის 21 ივნისის ღამეს კუნცევოს აგარაკზე სტალინთან გამომიძახეს. ოთახში რომ შევედი, სტალინი ტახტზე წამოწოლილი დამხვდა.

— ექიმო, მიშველე რამე, სიცხისგან ვიწვი და ყელი ძალიან მტკივა.

ყელში ჩავხედე და ვნახე, ანგინა ჰქონდა, მაღალი ტემპერატურით. სტალინს ვუთხარი, რომ აუცილებლად სტაციონარში უნდა გადაგვეყვანა, მაგრამ მტკიცე უარი განმიცხადა. დავიწყე ყელის ამოწმენდა იოდის ხსნარით და მდგომარეობა ცოტა შეუმსუბუქდა. მივიღე ყველა ზომა, რაც კი იმ პირობებში შეიძლებოდა. მე აქ დავრჩები, — მივმართე სტალინს.

— რა საჭიროა, უკეთ ვარ. თქვენ შინ წაბრძანდით. ხვალ, მართალია, კვირაა, დასვენების დღე, მაგრამ, თუ აუცილებელი საქმე არ გაქვთ, მოსკოვიდან არ გახვიდეთ“.

და ასეთი ათეულობით მაგალითის მოყვანა შეიძლება 1941 წლის 21-22 ივნისის ღამეზე.

**თუ უწინ ისტორიის წერა ფულის, სახელის, აგარაკისა და მსუბუქი ავტომანქანის მოპოვების საფუძველი იყო და სხვა არაფერი, ახლა ისტორია დაკვეთის შესრულების, სიცრუის, ფალსიფიკაციის, ზომბირებისა და ადამიანთა ტვინის გამორეცხვის საშუალებად იქცა.**

ფალსიფიკაციის, თვალის ახვევის, მაამებლობის, არაკაცობისა და უმადურობის მემორანდუმია მარშალ ჟუკოვის მემუარების პირველი გამოცემა, რომლის გამოც ჟუკოვმა უამრავი შეურაცხმყოფელი წერილი მიიღო არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანებისგან, რის გამოც მოუწია მემუარების გადამუშავება და გამოშვება, მაგრამ თავისი პირველკაცობა და დამახინჯებული ფაქტები მეორე გამოცემაშიც არანაკლები დოზით წარმოადგინა.

მარშალი ჟუკოვი ამთავრებს რა საკუთარ თავზე შეთხზული ლეგენდების წერას, წიგნის ბოლო ფურცლებს (845-ე, 846-ე და 847-ე) უთმობს მემუარების შემაჯამებელ დასკვნას სათაურით **„იმის შესახებ, რის გარეშეც ვერ შევძლებდით გამარჯვებას“** (ვბეჭდავთ სიტყვასიტყვით — გრ. ონიანი).



**ფალსიფიკაციის, თვალის ახვევის, მაამებლობის, არაკაცობისა და უმადურობის მემორანდუმია მარშალ ჟუკოვის მემუარების პირველი გამოცემა, რომლის გამოც ჟუკოვმა უამრავი შეურაცხმყოფელი წერილი მიიღო არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანებისგან, რის გამოც მოუწია მემუარების გადამუშავება და გამოშვება, მაგრამ თავისი პირველკაცობა და დამახინჯებული ფაქტები მეორე გამოცემაშიც არანაკლები დოზით წარმოადგინა**



„დიდი სამამულო ომი სოციალიზმისა და ფაშიზმის უდიდესი სამხედრო შეჯახება იყო. ეს იყო საერთო-სახალხო ბრძოლა ვერაგი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა საბჭოთა ადამიანების ყველაზე ძვირფას შენაძენს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს, საბჭოთა ხელისუფლებას.

კომუნისტური პარტია წინ წარუძღვა ჩვენს ქვეყანას, მრავალეროვან საბჭოთა ხალხს ფაშიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში. ომის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე ვმუშაობდი უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში და ვხედავდი, რა გიგანტურ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც მტკიცედ რაზმავდნენ ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს, სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნიდნენ სახალხო მეურნეობას, ყველაფერს აკეთებდნენ გერმანელ ფაშისტთა ურდოების გასანადგურებლად.

ჩვენს ძალებს აათკეცებდა სოციალისტური ერებისა და ხალხების მტკიცე ერთიანობა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ყველა მშრომელის, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მტკიცე დარაზმულობა პარტიის ლოზუნგის, პარტიის დროშის გარშემო: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“.

საბჭოთა ცხოვრების წესის გავლენით, პარტიის უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ადამიანი იდეურად დარწმუნებული თავისი საქმის სიმართლეში, განმსჭვალული სოციალისტური სამშობლოს ბედისთვის პირადი პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით.

სადაც უნდა ყოფილიყო ეს ადამიანი — ფრონტზე, ქვეყნის ზურგში, მტრის ზურგში, ფაშისტურ ბანაკებში თუ იძულებით სამუშაოზე გერმანიაში, ყველგან და ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა მოეახლოებინა ფაშიზმზე გამარჯვების საათი“.

„ვერაფერი აანაზღაურებს მსხვერპლსა და ნგრევას“, — თქვა ლეონიდ ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, — რომელიც ომმა მოგვიტანა. მან ხალხს არგუნა მწუხარება, რომლის გამოც დღესაც არ შეშრობია ცრემლი მილიონობით დედას, ქვრივსა და ობოლს. რა უნდა იყოს კაცისთვის უფრო დიდი სატკივარი, ვიდრე ახლობლების, ამხანაგებისა და მეგობრების დაღუპვა; რა უნდა იყოს უფრო საზარელი სანახავი, ვიდრე შენი შრომის განადგურებული ნაყოფი, რომელსაც მთელი ძალღონე, ნიჭი, მშობლიური მხარის სიყვარული შეალიე. რა უნდა იყოს იმაზე მწარე, ვიდრე გადაბუგული ნასახლარებიდან ავარდნილი კვამლი. ცეცხლითა და მახვილით ნაწამები, ნანგრევებად ქცეული დახვდათ შინ დაბრუნებულ საბჭოთა ჯარისკაცებს ფაშისტ ბარბაროსთაგან განთავისუფლებული ძვირფასი მიწა-წყალი.

მაგრამ რა გატეხავდა საბჭოთა ადამიანის ნებისყოფას, რა შეაჩერებდა სოციალიზმის ძლევამოსილ წინსვლას. მსხვერპლმა გული დაგვწყვიტა მაგრამ, ამასთანავე, თითოეულ საბჭოთა ადამიანს გამარჯვების სიხარულით უცემდა გული. დაღუპულთა გმირობა ძალას ჰმატებდა ცოცხალთ“.

და არავის აქვს უფლება, დაამციროს საბჭოთა ხალხის უდიდესი საბრძოლო და შრომითი გმირობა დიდ სამამულო ომში!

მე ჩემი წიგნი ვუძღვენი საბჭოთა ჯარისკაცს. მისი სისხლითა და ოფლითაა მოპოვებული გამარჯვება ძლიერ მტერზე. მან შეძლო პირდაპირ ჩაეხედა თვალებში სიკვდილისთვის, გამოიჩინა უმაღლესი მხედრული სიმამაცე და გმირობა. განუსაზღვრელია სამშობლოსთვის ჩადენილი მისი გმირობის სიდიადე. საბჭოთა ჯარისკაცმა უკვდავი ძეგლი დაიმსახურა მადლიერი კაცობრიობისგან.

ყველა რანგის ოფიცრებმა — უმცროსი ლეიტენანტებით დაწყებული მარშლებამდე — ბრწყინვალედ გამოიჩინეს თავი, როგორც სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა, მრავალმილიონიანი ჯარების საომარ მოქმედებათა ნაცადმა და უშიშარმა ორგანიზატორებმა. ღრმად ცდება ის, ვინც ერთმანეთისგან ყოფს საბჭოთა ჯარისკაცსა და ოფიცერს. თავიანთი წარმოშობით, აზრით, შეხედულებებითა და მოქმედებით ისინი ერთნაირად ერთგულნი და საიმედო შვილები არიან საბჭოთა სამშობლოსი.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების სიდიადე არის ის, რომ საბჭოთა ხალხმა დაიცვა არა მხოლოდ თავისი სოციალისტური სახელმწიფო, არამედ იგი თავგანწირვით იბრძოდა პროლეტარული ინტერნაციონალური ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სამამულო ომისა და მის შემდგომ პერიოდში სტალინი იყო ზემძლავრი ძრავა, რომელზეც მიბმული იყო ათასგვარი თასმა და ამ ძრავას მოძრაობაში მოჰყავდა არა მხოლოდ ადამიანები და მანქანები, არამედ კოსმოსური გონისა და აზროვნების წყალობით შემოქმედებითი წყარო ხდებოდა მეცნიერებისთვის, კონსტრუქტორებისთვის, ხელოვნების მუშაკებისთვის.

◀ მიზნისთვის — ფაშიზმისგან ევროპის ხალხების დასახსნელად.

საბჭოთა ადამიანებს არ დავიწყნიათ სხვა ქვეყნების ხალხების წვლილი საერთო მტერზე გამარჯვებაში. ჩვენს არმიას, ჩვენს ხალხს ახსოვს და დიდად აფასებს წინააღმდეგობის მებრძოლთა გმირობასა და სიმამაცეს.

საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა და ხალხის ყოველი სწრაფვა, დიდი თუ მცირე, ემსახურება ერთ მიზანს — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას. ამისათვის ჩვენ ომი როდი გვჭირდება, მაგრამ, ყოველმხრივ რომ დავიცვათ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, ჩვენ უნდა შევისწავლოთ სოციალისტური სამშობლოს დაცვის საბრძოლო გამოცდილება, ავიღოთ მისგან ყველაფერი, რაც დაგვეხმარება ქვეყნის თავდაცვის, ჯარების სწავლებისა და აღზრდის უფრო ეფექტურად უზრუნველყოფაში.

ომის არ ეშინია მას, ვინც კარგადაა მისთვის მომზადებული და იცის თავისი ადგილი ქვეყნის თავდაცვაში. დაბნეულობასა და პანიკურ მდგომარეობას, ჩვეულებრივ, იქ აქვს ადგილი, სადაც ქვეყანა, ჯარები და ხალხთა მასები ჯეროვნად არ არიან მზად ომისთვის; სადაც არ არის სათანადო ორგანიზებულობა და მტკიცე ხელმძღვანელობა მკაცრი გამოცდის მომენტში. სამხედრო საქმეში მომხდარ ტექნიკურ რევოლუციასა და არმიისა და ფლოტის დიდი ორგანიზაციული გარდაქმნის გამო, იმის გამო, რომ ახლა მთავარი დამრტყმელი საცეცხლე ძალა სარაკეტო შეიარაღებაა, ხშირად ამბობენ, — დადგა „ღილაკის ომის“ ერა, ადამიანი კი მასში მხოლოდ დამხმარის როლს შეასრულებსო. ეს თვალსაზრისი არ არის სწორი.

მიუხედავად სარაკეტოდა ატომური იარაღის უდიდესი მნიშვნელობისა, მიუხედავად იმისა, როგორი იქნება ომის მასშტაბი, ხასიათი და წარმოების წესი, ადამიანი მასში ასრულებდა, ასრულებს და კვლავაც შეასრულებს მთავარ როლს. Uუახლესი იარაღი, მათ შორის, მასობრივი მოსპობის საშუალებებიც, ვერ ამცირებს ხალხთა მასების როლს ომში. სულერთია, ომში მუდამ საჭირო იქნება დიდი მასების მონაწილეობა, ერთი მხრივ, უშუალოდ შეიარაღებულ ბრძოლაში, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო წარმოებაში, შეიარაღებული ბრძოლის ყოველმხრივ უზრუნველყოფაში.

დიდხანს ვფიქრობდი, რით დამემთავრებინა ეს ჩემი მოგონებები, ვისთვის და რისთვის მიმეძღვნა წიგნის ბოლო სტრიქონები.

მინდოდა, ერთგვარად შემეჯამებინა (ბუნებრივია, წიგნში მოყვანილი დასკვნები ავტორის პირადი მოსაზრებებია), გამეანალიზებინა ყოველივე, რისი მოწმეც ვიყავი, რაშიც პირადად ვმონაწილეობდი, მაგრამ ამის გაკეთებას ხომ წიგნში ვცდილობდი. და ახლა აქ ამის ხელახლა განმეორება ზედმეტად მიმაჩნია. ერთი რამ კი მინდა კიდევ და კიდევ ვთქვა და ვთქვა არა ჩემი, არამედ ლენინის სიტყვებით, მართალი და მშვენიერი სიტყვებით:

„ვერასოდეს დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ... იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

ზევით მოყვანილი ტექსტი დაწერილია 1970 წელს, მაშინ, როდესაც სტალინის სარეაბილიტაციო მემუარებისა და წერილების გამოქვეყნება უკვე არათუ შეზღუდვას, არამედ ფარულ წახალისებასაც კი ექვემდებარებოდა. რატომ ერთხელაც არ ახსენა უკვე მხცოვანმა მარშალმა და ოთხი წლის განმავლობაში სტალინის ერთადერთმა მოადგილემ თავისი მემუარების დასკვნით ნაწილში, არათუ სტალინის სახელი, არამედ ომის წარმმართველი ძალა — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი( გკრ )?

როგორი ნიჭიერი, გაბედული და სტრატეგიულიც უნდა ყოფილიყო ჟუკოვი, თუ სხვა გამოჩენილი მხედართმთავარი, მათ ხომ არ შეეძლოთ ერთობლიობაში მოეყვანათ ქვეყნისა და ფრონტის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა.

**მიხეილ ოშლაკოვი** თავის წიგნში „სტალინი. გამარჯვების მთავარი სახელი“ 133-ე გვერდზე წერს:

„მართვის სრულიად ახალი სისტემა, რომელიც სტალინმა შექმნა და უწოდა მას „გოსუდარსტვენი კომიტეტ ობორონი“ ( ГКО), თუ სიმართლე გინდათ, იცოდეთ, ის, ამასთანავე, სტალინის ახალი ფსევდონიმიცაა.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ გენერალურ შტაბს არ შეეძლო შეზღუდულად ემართა ფრონტზე მებრძოლი უზარმაზარი არმიები და, ამასთანავე, ეხელმძღვანელა ქვეყნისთვის. უნდა შექმნილიყო მართვის ახალი სისტემა, რომელიც წარმართავდა ჯარების სწორ მოქმედებას და გააკონტროლებდა ზურგს, რეზერვებს, სახელმწიფო უშიშროებას, თავდაცვის მრეწველობას, ტრანსპორტს და თანაც იქნებოდა მცირე, მაგრამ ადვილად სამართავი აპარატი. სწორედ ასეთ სამხედრო და სამოქალაქო მართვის კონცენტრაციას შეეძლო ეფექტიანი მოქმედება“.

რომელ სამხედრო მინისტრს ან ფრონტის სარდალს შეეძლო გაეცა განკარგულება ომის გამო, შეეჩერებინა 600 კილომეტრზე გაყვანილი რკინიგზის მშენებლობა „ბამზე“ და უმოკლეს დროში, 6 თვეში, ასტრახანიდან მახაჭყალამდე აეშენებინა ახალი რკინიგზის ხაზი?

**სამამულო ომისა და შემდგომ პერიოდში სტალინი იყო ზემძლავრი ძრავა, რომელზედაც მიბმული იყო ათასგვარი თასმა და ამ ძრავას მოძრაობაში მოჰყავდა, არა მხოლოდ ადამიანები და მანქანები, არამედ კოსმოსური გონისა და აზროვნების წყალობით, შემოქმედებითი წყარო ხდებოდა მეცნიერებისთვის, კონსტრუქტორებისთვის, მუსიკისა და ხელოვნების მუშაკებისთვის.**

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იმ მონოლოგის წარმოთქმა და დაწერა, რომელიც ზემოთ მოვიყვანე, არის გამოხატულება პიროვნებისა და მდგომარეობის მიმართ მონური მორჩილებისა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს თავმოყვარეობასა და მადლიერებასთან.

ხალხინ-გოლის გმირად ჟუკოვის წარმოჩენა მისი მხედრული გენიის წყალობით არ მომხდარა. **რემარკის** გამოთქმა: „გმირობა კულმინაციამდე ასული შიშის გამოხატულებაა“ სწორედ ჟუკოვზეა ზედგამოჭრილი.

ხალხინ-გოლზე ბრძოლაში დაშვებული შეცდომებისთვის სტალინი ჟუკოვს სასჯელის უმაღლესი ზომით დაემუქრა, რის გამოც მას ან გმირობა უნდა ჩაედინა ხალხინ-გოლის ბრძოლაში, ან სიცოცხლეს უნდა დამშვიდობებოდა. ასე მიიყვანა კულმინაციამდე სტალინის მუქარამ ჟუკოვი და გმირი გახადა. ჟუკოვს კი ამის შემდეგ ათქმევინა:

„სტალინს შეეძლო შეუძლებელი შესაძლებლად გაეხადა“.

(გაგრძელება იქნება)


Личный листок по учету кадров
1. Фамилия Жуков Имя Георгий
Отчество Константинович 2. Пол мужской 3. Год рождения 1896 4. Место рождения:
а) по существующему адм. делению Калужская область, Угодско-Заводской район, дер. Стрелковщина.
б) по существовавшему адм. делению Калужская губ. Малоярославецкий уезд, Угодско-Заводская волость, дер. Стрелковщина.
5. Национальность Русский 6. Соц. происхождение: а) бывшее сословие (занятие) родителей Крестьяне-бедняки. б) Основное занятие родителей до Октябрьской революции [illegible] после Октябрьской революции [illegible]
7. Основная профессия (занятие) в настоящее время (для членов ВКП(б)—к моменту вступления в партию) Военнослужащий стаж работы по этой профессии 33 года
8. Соц. положение Рабочий 9. Партийность Член ВКП(б)
10. Какой организацией принят в члены ВКП(б) [illegible]
стаж Март 1919 № партбилета 2668962 или к/карточки
Партбилет после обмена в 1954 г. [illegible]
пребывания в ВЛКСМ с — по — 13. Состоял ли в других партиях (каких, где, и по какое время) Нет не состоял.
14. Состоял ли ранее в ВКП(б) Нет с какого и по какое время и причины исключения или выбытия —
[illegible] ли колебания в проведении линии партии и участвовал ли в оппозициях (каких, когда) Нет.
[illegible]ование 3-х классное церковно-приходское и 4-х класс гор. училище

| Подробное название учебного заведения (вуза, втуза, техникума, комвуза, школы и проч.) и его местонахождение | Название факультета или отделения | Дата (м-ц, год) поступления | Дата окончания или ухода | [illegible] | [illegible] | Какую (узкую) специальность получил в результате окончания учебного заведения |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| [illegible] дер. Величково Угодско-Заводская волость | | 1904 г. | 1907 г. | да | | |
| [illegible] | | 1907 г. | 1908 г. | да | | |

Нет.

ჟუკოვის სააღრიცხვო ანკეტა

## ხალხინ-გოლზე ბრძოლაში დაშვებული შეცდომებისთვის სტალინი ჟუკოვს სასჯელის უმაღლესი ზომით დაემუქრა, რის გამოც მას ან გმირობა უნდა ჩაედინა ხალხინ-გოლის ბრძოლაში, ან სიცოცხლეს უნდა დამშვიდობებოდა. ასე მიიყვანა კულმინაციამდე სტალინის მუქარამ ჟუკოვი და გმირი გახადა. ჟუკოვს კი ამის შემდეგ ათქმევინა: «სტალინს შეეძლო შეუძლებელი შესაძლებლად გაეხადა»




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.



## გიორგი კალაძე: შემიძლია დავარწმუნო ხათუნა ლაგაზიძე, რომ ჩემგან არავითარი საფრთხე არ ემუქრება

**აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პაატა ბურჭულაძის პარტიის სიის პირველი ნომერი გიორგი კალაძე ხათუნა ლაგაზიძის მიერ გამოთქმულ ბრალდებებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ლაგაზიძეს მისგან საფრთხე არ ემუქრება.**

„შემიძლია დავარწმუნო, რომ ჩემგან არავითარი საშიშროება არ არის. მე საკმაოდ დაკავებული ვარ აჭარაში მუშაობით, საარჩევნო კამპანიით და დარწმუნება შემიძლია მაგ ქალბატონის, რომ არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ეს მისი სულელური გამოხდომებია... პროკურატურაში დაბარების შესახებ ჟურნალისტებისგან გავიგე, მაგრამ არაფერი არ მაბრკოლებს იმისგან, რომ მივიდე და ერთხელ და სამუდამოდ დავუსვა წერტილი ქალბატონი ხათუნას უსაგნო ბრალდებებს“, — განაცხადა კალაძემ და დასძინა, რომ კრიმინალური წარსული არ აქვს.

„მე ვიყავი 18 წლის, როცა საქართველოდან წავედი ბრიტანეთში სასწავლებლად და დავბრუნდი 2004 წელს. ამის შემდეგ თუ რამე დამიშავებია, ალბათ, აღრიცხული იქნება და ამის გადამოწმება არაა რთული. თუ რამე სხვა ინფორმაცია აქვს, წარუდგინოს პროკურატურას“, — აღნიშნა კალაძემ.

ხათუნა ლაგაზიძემ პარტიის „სახელმწიფო ხალხისთვის“ დატოვების შემდეგ განაცხადა, რომ მის ოჯახს საფრთხე ემუქრება კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ადამიანებისგან, რომლებმაც პარტიის საარჩევნო სია დააკომპლექტეს. მან კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ადამიანი გოგა კალაძეს უწოდა.

## «თავისუფალი დემოკრატები» მაჟორიტარობის კანდიდატმა და 270-მდე წევრმა დატოვეს

**რუსთავში „თავისუფალი დემოკრატების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა თეიმურაზ მენაფირემ განაცხადა, რომ მან და კიდევ 270-მდე წევრმა პარტია დატოვეს.**

როგორც მენაფირემ აღნიშნა, ისინი „ქართული ოცნების“ რუსთავის ორგანიზაციას შეუერთდნენ.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დემოგრაფიულმა კრიზისმა ტრაგიკული ფორმა მიიღო და უკვე საქმე ეხება მთელი საზოგადოების, ქვეყნის არსებობას, აუცილებლად უნდა გავატაროთ შობადობის წახალისების, ამაღლების აქტიური პოლიტიკა, რომელიც დადებით შედეგს ორი ათეული წლის შემდეგ მოგვცემს და ხანგრძლივ პერიოდშიც დადებითი შედეგების მომტანი იქნება.**

# ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

## ერმა ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა საშინელი დემოგრაფიული საფრთხე

## რა გვიჩვენა მოსახლეობის ბოლო აღწერამ

დასასრული. დასაწყისი იხ. №32 (361)

**ქართველები მე-19 საუკუნესა და თითქმის მთელ მე-20 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში უფრო მეტი რაოდენობით ცხოვრობდნენ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.** 1886 წელს რუსი მოხელეების მიერ შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 1 731 449 კაცს უდრიდა, მათგან 1 218 696 კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 70,4 პროცენტი ქართველი იყო. თბილისის გუბერნიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში 396 673 ქართველი ცხოვრობდა, ქუთაისის გუბერნიაში კი — 2,1-ჯერ მეტი, ანუ 822 023 ქართველი. ეთნოგრაფიული ჯგუფების მიხედვით იმერლების რაოდენობა 422 877 კაცს უდრიდა, მეგრელებისა — 245 422 კაცს და ა.შ.

თითქმის მე-20 საუკუნის დასასრულამდე დასავლეთ საქართველოში მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მხოლოდ 1989 წელს გათანაბრდა მათი რაოდენობა — როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში 1 894 000 ქართველი ცხოვრობდა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, საქართველოში 3 224 504 ქართველი ცხოვრობდა, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ. მათი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1989 წელთან შედარებით (16,7 პროცენტული პუნქტი). ამასთანავე, 2014 წელს ქართველების რაოდენობა 1989 წელთან შედარებით 562 889 კაცი შემცირდა, ხოლო 2002 წელთან შედარებით — 436 669 კაცით, ანუ ქართველების რაოდენობა, ძირითადად, 2002-2014 წლებში შემცირდა. **ბოლო ორ აღწერათაშორის პერიოდში ქართველების რაოდენობა ყველა რეგიონში შემცირდა თბილისის გარდა (მოიმატა 86 092 კაცით), განსაკუთრებით — იმერეთის (159 202 კაცი), სამეგრელოს (130 952 კაცი), შიდა ქართლისა (38 903 კაცით) და გურიის (27 674 კაცით) რეგიონებში.**

(იხ. ცხრილი №1)

საქართველოში, 2014 წლის აღწერამდე, ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით სომხები ცხოვრობდნენ. იმის გამო, რომ სომხები დიდი რაოდენობით წავიდნენ საქართველოდან (1989 წელთან შედარებით სომხების რაოდენობა შემცირდა 269 109 კაცით, ხოლო 2002 წელთან — 80 827 კაცით) მეორე ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აზერბაიჯანელებმა გადმოინაცვლეს. **ამჟამად საქართველოში 233 ათასი აზერბაიჯანელი და 168 ათასი სომეხი ცხოვრობს.** განსაკუთრებით შემცირდა რუსების რაოდენობა — 1989 წელთან შედარებით 315 ათასით და 2002 წელთან შედარებით 41 ათასი კაცით. **ამჟამად საქართველოში მხოლოდ 26 ათასი რუსი ცხოვრობს და მათი ნახევარი — თბილისში.**

**საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოში 232 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ხოლო დასავლეთში — 545, სომხები კი შესაბამისად — 160 ათასი და 8 ათასი.**

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ჩვენი მსჯელობა უფრო სრული რომ იყოს, შემდეგიც უნდა ითქვას. ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის 1897 წელს ჩატარებულ აღწერის მიხედვით დასავლეთ საქართველოში ქართველები მთელი მოსახლეობის 89,9 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 49,1 პროცენტს. 2014 წელს თბილისში ქართველები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 90,0 პროცენტს, აჭარაში — 96,0 პროცენტს, იმერეთში — 99, 3 პროცენტს, გურიაში — 98, 1 პროცენტს, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 99,3 პროცენტს, კახეთში — 85, 1 პროცენტს, მცხეთა-მთიანეთში — 94, 5 პროცენტს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში — 99,7 პროცენტს, სამცხე-ჯავახეთში — 48, 3 პროცენტს, ქვემო ქართლში — 51, 3 პროცენტს, შიდა ქართლში — 94, 7 პროცენტს.



**2014 წელს საქართველოში 3,09 მილიონი კაცი (83, 4 პროცენტი) მართლმადიდებელი იყო, 398,7 ათასი (10, 7 პროცენტი) — მაჰმადიანი, 109 ათასი (2, 9 პროცენტი) — სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი, კათოლიკე იყო 19,2 ათასი (0,5 პროცენტი), იეღოვას მოწმე — 12, 4 ათასი კაცი (0,3 პროცენტი) და სხვა აღმსარებლობას 13,9 ათასი კაცი (0, 4 პროცენტი) მისდევდა. საქართველოს 19,1 ათასი მცხოვრები (0,5 პროცენტი) არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებდა.** წინა აღწერის მონაცემებთან შედარებით აჭარის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევართა წილი, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. კერძოდ, **2002 წელს აჭარაში მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებდა 115 161 კაცი (30,6 პროცენტი), ხოლო 2014 წელს — 132 852 კაცი (40პროცენტი).** განსაკუთრებით გაიზარდა ეს მაჩვენებელი **ხულოს, შუახევისა** და **ქედის** მუნიციპალიტეტებში.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალებს სასურველზე ნაკლები ბავშვი ჰყავთ. შობადობის შემცირების შედეგად იზრდება ერთ და ორბავშვიანი ოჯახების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. კითხვაზე — რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში, სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად პასუხობს იმისგან გამომდინარე, როგორია მათი ეკონომიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, განათლება, რომელ რელიგიურ მიმდინარეობას აღიარებენ, რამდენი წლისანი არიან და სხვ.

**როგორც მშობლების, ისე ბავშვების უმეტესობისთვის, უმჯობესია, თუ ოჯახში პატარას ჰყავს თუნდაც ერთი ძმა ან და. ზოგი სამბავშვიან ოჯახს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ბევრი ოჯახი ამჟამად ერთი ბავშვით იფარგლება.** საერთოდ, შობადობის ოპტიმალური დონის პირობებში ერთმანეთთან ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული ოჯახისა და ▶

ცხრილი №1

## საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა 1989, 2002 და 2014 წლებში (2002 და 2014 წლები — ქვეყნის იურისდიქციაში არსებული ტერიტორია)

| | 1989 | | 2002 | | 2014 | | ცვლილება 1989-2014 წლებში | ცვლილება 2002-2014 წლებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აბსოლუტურად | %-ით მთელ მოსახლეობაში | აბსოლუტურად | %-ით მთელ მოსახლეობაში | აბსოლუტურად | %-ით მთელ მოსახლეობაში | | |
| საქართველო სულ | 5 400 841 | 100,0 | 4 371 535 | 100,0 | 3 713 804 | 100,0 | -1 687 037 | -657 731 |
| თბილისი | 1 246 936 | 23,1 | 1 081 678 | 24,7 | 1 108 717 | 29,9 | -138 219 | +27 039 |
| ქვემო ქართლი | 608 491 | 11,3 | 497 530 | 11,4 | 423 986 | 11,4 | -184 505 | -73 544 |
| კახეთი | 441 045 | 8,1 | 407 182 | 9,3 | 318 583 | 8,6 | -122 462 | -88 599 |
| შიდა ქართლი | 321 598 | 6,0 | 314 039 | 7,2 | 263 382 | 7,1 | -58 216 | -50 657 |
| სამცხე-ჯავახეთი | 235 512 | 4,4 | 207 598 | 4,7 | 160 504 | 4,3 | -75 008 | -47 094 |
| მცხეთა-მთიანეთი | 121 791 | 2,2 | 125 443 | 2,9 | 94 573 | 2,5 | -27 218 | -30 870 |
| ცხინვალის რ.-ნი | 98 527 | 1,8 | - | - | - | - | 98 527 | - |
| აღმ. საქართველო | 3 073 900 | 56,9 | 2 633 470 | 60,2 | 2 369745 | 63,8 | -704 155 | -263 725 |
| იმერეთი | 766 892 | 14,2 | 699 666 | 16,0 | 533 906 | 14,4 | -232 986 | -165 760 |
| აფხაზეთის არ | 525 061 | 9,7 | კოდორი 1956 | 0,0 | - | - | -525 061 | -19562 367 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 424 746 | 7,9 | 466 100 | 10,7 | 330 761 | 8,9 | -93 985 | -135 339 |
| აჭარა | 392 432 | 7,3 | 376 016 | 8,6 | 333 953 | 9,0 | -58 479 | -42 063 |
| გურია | 158 053 | 2,9 | 143 357 | 3,3 | 113 350 | 3,0 | -44 703 | -30 007 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 59 757 | 1,1 | 50 969 | 1,2 | 32 089 | 0,9 | -27 668 | -18 880 |
| დასავლეთ საქართველო | 2 326 941 | 43,1 | 1 738 064 | 39,8 | 1 344 059 | 36,2 | -982 882 | -394 005 |

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მძიმე დემოგრაფიული ვითარება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კატასტროფის პირას მიიყვანა, რომელსაც კონკრეტული სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემები თვალნათლივ ადასტურებს. საკმარისია, ითქვას, რომ 30 ათასამდე პატიმრისა და თითქმის 350 ათასი პრობაციონერის არსებობის შედეგად, მიახლოებითი გაანგარიშებით, 40 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა, ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ერთი წლის განმავლობაში იბადება ქვეყანაში.

## ყოველი ქალის მიერ სამი და, მით უმეტეს, 4 ბავშვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსახლეობის გაფართოებული გამრავლება, რომელიც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის. ამრიგად, მთავარია, სახელმწიფომ და მთელმა ერმა იზრუნოს, რომ ყოველმა ქალმა გააჩინოს მესამე ბავშვი. სამშვილიანი ოჯახი უნდა გახდეს ჩვენი ცხოვრების ნორმა

◀ საზოგადოების ინტერესები. **ვერავის დავაძალებთ მეტი ბავშვის ყოლას, როგორც ეს ხდებოდა ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში, ვერც ვერავის მოვახვევთ თავს ოჯახური ქცევის მიუღებელი ნორმებს, მაგრამ დემოგრაფიულმა კრიზისმა ტრაგიკული ფორმა მიიღო და უკვე საქმე ეხება მთელი საზოგადოების, ქვეყნის არსებობას, აუცილებლად უნდა გავატაროთ შობადობის წახალისების, ამაღლების აქტიური პოლიტიკა, რომელიც დადებით შედეგს ორი ათეული წლის შემდეგ მოგვცემს და ხანგრძლივ პერიოდშიც დადებითი შედეგების მომტანი იქნება.**

ამჟამად დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად აუცილებელია ჯერ შევანელოთ უარყოფითი დემოგრაფიული პროცესები და შემდეგ ვიზრუნოთ მოსახლეობის გამრავლებაზე. დემოგრაფიული ვითარების მყისიერი გამოსწორება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, **ეს პრობლემა შეიძლება გადაწყდეს, თუ ყოველი ქალი გააჩენს 10-12 ბავშვს მთელი ცხოვრების განმავლობაში,** რაც მის საშუალო ნაყოფიერებას უდრის. როგორც ცნობილია, ქალების ფერტილური პერიოდი (15-49 წლები), როდესაც მათ აქვთ ბავშვების გაჩენის უნარი, 35 წელს შეადგენს, რეპროდუქციული პერიოდი (განისაზღვრება დაქორწინების ასაკისა და ბოლო ბავშვის გაჩენის ასაკს შორის სხვაობით) გაცილებით ნაკლებია ფერტილურ პერიოდზე და საქართველოში საშუალოდ 6 წელს უდრის.

ამჟამინდელ ვითარებაში საქართველოში თითოეულმა ქალმა 10-12 ბავშვი, ან თუნდაც 6-8 ბავშვი რომ გააჩინოს, ქვეყანა ეკონომიკურად გაჩანაგდება, არნახულად გაუარესდება ცხოვრების ხარისხი, დუხჭირ ცხოვრებას თავს ვერ დავაღწევთ, კიდევ უფრო გაიზრდება მოკვდაობა, მიგრაციული პროცესები, დაიწყება „ტვინების გადინება.“ ქვეყნიდან წავა განათლებული და შემოვა განათლების დაბალი დონის, სხვა კულტურისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. მცირე დროში საჭირო შეიქნება 4-6-ჯერ მეტი საბავშვო ბაღების, სკოლების, ბავშვთა და არა მხოლოდ ბავშვთა საავადმყოფოების აშენება, სურსათის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოება, სამუშაო ადგილების მოწყობა და სხვა, რაც შეუძლებელია. ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გაწვდება მხოლოდ ბავშვთა საჭიროებების ნორმალურ დაკმაყოფილებას.

უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა, გავარკვიოთ, რამდენი ბავშვი უნდა გააჩინოს ქალმა მოსახლეობის ერთი და იგივე რაოდენობით მოსამატებლად ან მოსახლეობის ფართოდ გასამრავლებლად. ზოგიერთის აზრით, თუ ქალი აჩენს ორ ბავშვს, იგი ანაზღაურებს მშობელთა თაობას და ხდება თაობათა ერთი და იგივე რაოდენობით გამრავლება. მაგრამ ეს ასე არ არის. **თუ ყოველი ქალი გააჩენს მხოლოდ ორ ბავშვს, ერი დიდი ხნის შემდეგ ამოწყდება. და, თუ ქვეყანაში სხვა, რომელიმე ერის წარმომადგენლები შედარებით მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან, ვთქვათ, ყოველი ქალი სამ და მეტ ბავშვსაც კი აჩენს, ამ შემთხვევაში შედარებით დიდი ხნის გავლის შემდეგ ტიტულოვანი ერის (რომელმაც სახელი მისცა ქვეყანას) წარმომადგენლები უმცირესობაში მოექცევიან.**

მცირეშვილიანობის ტენდენცია მასობრივად მკვიდრდება ქვეყნის მოსახლეობაში, განსაკუთრებით — XXI საუკუნის დასაწყისში. სულ უფრო მცირდებოდა იმ დედების რაოდენობა, რომლებსაც სამი და მეტი შვილი ჰყავდათ. კერძოდ, თუ საქართველოში 1960 წელს მესამე და მეტი შვილის დაბადების წილი მთელ დაბადებულთა 36,5 პროცენტს შეადგენდა, 2007 წელს ამ მაჩვენებელმა 10,9 პროცენტი შეადგინა. 2008 წლის უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დაიწყო მესამე და მეტი შვილის მონათვლა. იმავე წელს პატრიარქის ინიციატივის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მესამე შვილების დაბადებათა რაოდენობა — 2007 წელს 4077 ბავშვი დაიბადა, 2008 წელს — 5400. **2010 წელს უკვე 7097 ქალმა გააჩინა მესამე შვილი. მაგრამ განუსაზღვრელად არ შეიძლებოდა გაზრდილიყო დაბადებულ მესამე შვილთა რაოდენობა და 2011 წელს ქვეყანაში გაჩენილი მესამე შვილების რაოდენობამ 6701 ბავშვი შეადგინა, ანუ 396 ბავშვით ნაკლები. 2012 წელსაც, 2010 წელთან შედარებით, 206-ით ნაკლები მესამე ბავშვი დაიბადა.**

როგორც ცნობილია, „ქართულმა ოცნებამ“ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ერთ-ერთი ღონისძიების გატარების შედეგად იმ რეგიონებში, რომლებშიც მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღირიცხა, 2013 წლიდან ყოველთვიურად, მესამე და შემდეგი ბავშვის დაბადების შემთხვევაში, ოჯახს ბარში 150 და მთაში 200 ლარი ეძლევა. ამ ღონისძიებამ, პატრიარქის ინიციატივასთან ერთად, მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. უკვე 2015 წელს ქვეყანაში 9189 რიგით მესამე ბავშვი დაიბადა, ანუ 2298 მეტი 2012 წელთან შედარებით. რიგით მესამე და მეოთხე შვილები დედებმა მეტი გააჩინეს განსაკუთრებით იმ რეგიონებში, რომლებშიც შობადობის წახალისება მოხდა.

(იხ. ცხრილი №2)

ამრიგად, სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა რიგით მესამე დაბადებული ბავშვების რაოდენობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს პირობებში, როდესაც უაღრესად მცირდება იმ გოგონების რაოდენობა, რომლებიც ამჟამად შედიან დედობის ასაკში. ამის შედეგად თანდათანობით იკლებს რიგით პირველი და მეორე დაბადებული ბავშვები. ასეთ პირობებში ერის არსებობის, მისი ფიზიკური უწყვეტობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქალების მიერ განსაკუთრებით რიგით მესამე და, აგრეთვე, მეოთხე ბავშვის გაჩენას, რაც შემდგები ბავშვების გაჩენასთან შედარებით უფრო რეალურია. უკვე 2015 წელს პირველი ბავშვების დაბადებათა რაოდენობა 1671 ბავშვით შემცირდა 2014 წელთან შედარებით. ამავე პერიოდში კი 2298 ბავშვით მოიმატა მესამე ბავშვების რაოდენობამ. ამჟამად საქართველოს რეგიონებს შორის რიგით მესამე ბავშვების დაბადების მაჩვენებელი დაბადებულთა მთელ რაოდენობაში ყველაზე მაღალი — 18,8 პროცენტი, ქვემო ქართლშია.

ყოველი ქალის მიერ ორი ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებები: ყველა ცოცხლად დაბადებული გოგონა ვერ მიაღწევს ნაყოფიერების ასაკს; არსებობს უნაყოფო ქორწინებები, მათ შორის, ნებაყოფლობითი უნაყოფობა, როდესაც ქალებს არ სურთ ბავშვების ყოლა, ქალების გარკვეული რაოდენობა საერთოდ არ ქორწინდება თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

ამასთანავე, დედების მიერ ბავშვთა გაჩენის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ქორწინების შეწყვეტა — დაქვრივება ან განქორწინება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, **მოსახლეობის ერთი და იმავე რაოდენობით გამრავლებისთვის საჭიროა, ყოველმა საქორწინო წყვილმა გააჩინოს 2,6 ბავშვი, ხოლო ყოველმა ქალმა — დაახლოებით 2,2 ბავშვი. წინა წლებში ყოველი ქალი საშუალოდ აჩენდა 1,5-1,7 ბავშვს** და მშობლების რაოდენობის ანაზღაურება ხდებოდა მხოლოდ 68-78 პროცენტით. ამდენად, **ყოველი ქალის მიერ სამი და, მით უმეტეს, 4 ბავშვის გაჩენის შემთხვევაში მოსახლეობის გაფართოებული გამრავლება ხდება, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის.**

ამრიგად, მთავარია, **სახელმწიფომ და მთელმა ერმა იზრუნოს, რომ ყოველმა ქალმა გააჩინოს მესამე ბავშვი. სამშვილიანი ოჯახი უნდა გახდეს ჩვენი ცხოვრების ნორმა.** მესამე ბავშვის სტიმულირების აუცილებლობის შესახებ შეიძლება ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ.

2015 წელს საქართველოში 22 644 მეორე ბავშვი დაიბადა, ხოლო რიგით მეხუთე და შემდეგი ბავშვები — 718. თუ ისინი თითო ბავშვს კიდევ გააჩენენ, მესამე ბავშვის რაოდენობა 22 644-ით გაიზრდება, ხოლო მეხუთე და მეტი ბავშვებისა — 718-ით. **ეს მაგალითი ხანგრძლივ პერიოდზე გაანგარიშებით კიდევ უფრო ცხადყოფს ყოველი ქალის მიერ მესამე ბავშვის გაჩენის საჭიროებას.** 1992-2015 წლებში ანუ 24 წელიწადში დაბადების რიგითობის მიხედვით ხუთი და მეტი ბავშვი გააჩინა 15 090 დედამ, ხოლო მხოლოდ მეორე ბავშვი — 439 143 დედამ. თუ დავუშვებთ, რომ ეს 15 090 დედა, რომლებიც, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ იმყოფებიან ფერტილურ ასაკში და აქვთ ბავშვის გაჩენის უნარი, კიდევ ერთ მომდევნო ბავშვს გააჩენენ, მაშინ დამატებით 15 090 ბავშვი დაიბადება, ანუ საშუალოდ წელიწადში — 628 ბავშვი. ანალოგიურად დედებმა, რომლებმაც ამ 24 წელიწადში უკვე გააჩინეს 439 143 მეორე ბავშვი და გადაწყვიტეს, გააჩინონ მესამე ბავშვი, მაშინ ასეთ შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, საქართველოს მოსახლეობას 439 143 ბავშვი შეემატება, ანუ საშუალოდ წელიწადში 18 298 ბავშვი, რაც საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი გაზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია. რა თქმა უნდა, ქალების ნაწილი აჩენს მესამე შვილს, მაგრამ ქალების დიდი ნაწილი ორი ბავშვის ამარა რჩება. ამ მაგალითიდან ნათელია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მესამე ბავშვის გაჩენის სტიმულირებას ერის გამრავლებისათვის.

ჩვენი განსახილველი პრობლემა დასრულებულად არ ჩაითვლება, თუ შემდეგიც არ ითქვა: მოსახლეობის აღწერათშორისი პერიოდი (2002-2014 წლები) 12 წელიწადს მოიცავს. მათგან ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში „მოქალაქეთა კავშირი“ იყო, 9 წლის განმავლობაში — „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში — „ქართული ოცნება“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისედაც **მძიმე დემოგრაფიული ვითარება კატასტროფის პირზე მიიყვანა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ამას კონკრეტული სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემები თვალნათლივ ადასტურებს. საკმარისია, ითქვას, რომ 30 ათასამდე პატიმრისა და თითქმის 350 ათასი პრობაციონერის არსებობის შედეგად, მიახლოებითი გაანგარიშებით, 40 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა, ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ერთი წლის განმავლობაში იბადება ქვეყანაში.**

ერთი მთავარი დემოგრაფიული მოვლენის შესახებაც: 2002-2014 წლებში ქვეყანაში შემოსულებს გასულებმა 759 823 კაცით გადააჭარბეს. ამასთანავე, იმიგრანტთა რაოდენობა, აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 5,0 პროცენტია, ანუ 185 690 კაცი. 2002-2014 წლებში საქართველოდან საზღვარგარეთ წავიდა და იქ, ერთ წელზე მეტია, ცხოვრობს 574 133 კაცი.

დასასრულ, იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების ანალიზისას საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის გამიზნულად, აშკარად განზრახ დამახინჯების ფაქტებს. ეს სჭირდებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამ დავალებას დიდი მონდომებით ასრულებდა საჯარო რეესტრის მაშინდელი ხელმძღვანელი **გიორგი ვაშაძე.** სულაც არ არის ძნელი, მკითხველი თავად დარწმუნდეს ამ უმსგავსობაში, რადგან უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში დემოგრაფიული მონაცემების შელამაზება ობიექტური დასკვნის გამოტანის და, მაშასადამე, მეცნიერულად შემუშავებული ღონისძიებების დასახვის საშუალებასაც გვართმევს. შეიძლება ითქვას, რომ უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში ეს ერის წინაშე დანაშაულია.

ახლა ვნახოთ, რას ღაღადებენ ფაქტები:

ჩვენი ისტორიის განმავლობაში, რაც დემოგრაფიული შემთხვევების აღრიცხვა წარმოებს, დაბადებულთა რაოდენობა ყოველწლიურად უმნიშვნელოდ იზრდებოდა. სურათი ერთბაშად შეიცვალა 2009-2010 წლებში, როდესაც შობადობა წინა წლებთან შედარებით შვიდ-შვიდი ათასით გაიზარდა და ამ წლებში თურმე ქვეყანაში შესაბამისად 63 377 და 62 585 ბავშვი დაიბადა. თუ ბავშვთა მოკვდავობის მაჩვენებელს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ხუთი წლის გასვლის შემდეგ 2014 წელს ხუთი წლის ბავშვთა რაოდენობა დაახლოებით 62 ათასი, ხოლო ოთხი წლისა 61 ათასი ბავშვი უნდა ყოფილიყო. მოსახლეობის 2014 წლის აღწერით, სულ სხვა მონაცემები აღირიცხა: როგორც ხუთი წლის, ისე ოთხი წლის ბავშვთა რაოდენობა 54-54 ათას ბავშვს უდრიდა.

ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ პერიოდში ტელევიზიით რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ქვეყანაში შობადობის ბუმი იყო, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობას დაუკავშირა, თუმცა მსგავსი რამ ქვეყნის ცხოვრებაში არ მომხდარა.

**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი, დემოგრაფი**

ცხრილი №2

### რიგით მესამე და მეოთხე დაბადებული ბავშვების რაოდენობა და წილი დაბადებულთა მთელ რაოდენობაში 2012 და 2015 წლებში იმ რეგიონებში, რომლებშიც მოხდა შობადობის წახალისება

| [illegible] | | [illegible] | | [illegible] | |
|---|---|---|---|---|---|
| | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისლამური სახელმწიფოსგან“ ტერიტორიების გაწმენდის შემდეგ ახალი ომები მწიფდება ამ ტერიტორიების გასაკონტროლებლად. ქვემოთ მოყვანილია 10 სავარაუდო ომის სია. თუმცა, უეჭველია, რომ ამ შესაძლო ომების რაოდენობა მეტია. მათგან რამდენიმე უკვე დაიწყო. სხვები, შესაძლოა, არც დაიწყოს, მაგრამ ნებისმიერ მათგანს შეუძლია გაზარდოს „ისლამური სახელმწიფოს“ გადარჩენის შანსი, თუ განამტკიცებს იმ პირობებს, რომლებშიც ეს ტერორისტული დაჯგუფება განვითარდა.**

# 10 ახალი ომი, რომლებიც შეიძლება დაიწყოს «ისლამურ სახელმწიფოსთან» ბრძოლის შედეგად

**„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ შექმნილი „სახალიფოს“ საზღვრები სწრაფად მცირდება. ამ დაჯგუფების საყრდენები ერაყსა და სირიაში ერთმანეთის მიყოლებით ინგრევა. ომმა მიაღწია წერტილს, როცა ჩნდება კითხვა მომავალზე. და, ჩანს, ამ კითხვაზე პასუხი ასეთია — მომავალში კიდევ მეტ ომს უნდა ველოდოთ.**



„ისლამურ სახელმწიფოზე“ გამარჯვების ამერიკული სტრატეგია დამოკიდებულია რეგიონულ მოკავშირეებსა და ადგილობრივ შეიარაღებულ დაჯგუფებებზე, რომლებსაც ხშირად აქვთ კონფლიქტი ერთმანეთში. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაჯგუფებები „ისლამური სახელმწიფოს“ მოწინააღმდეგეებად ითვლებიან, ერთმანეთსაც მტრობენ. ისინი, „ბოევიკებისთვის“ ტერიტორიის წართმევის შემდეგ, პრეტენზიას აცხადებენ დაპყრობილ მიწაზე, რაც წარმოქმნის კონფლიქტის საფრთხეს სხვა მებრძოლებთან, რომლებიც, აგრეთვე, იპყრობენ ტერიტორიებს.

„ისლამური სახელმწიფოსგან“ ტერიტორიების გაწმენდის შემდეგ ახალი ომები მწიფდება ამ ტერიტორიების გასაკონტროლებლად. ქვემოთ მოყვანილია 10 სავარაუდო ომის სია. თუმცა, უეჭველია, რომ ამ შესაძლო ომების რაოდენობა მეტია.

მათგან რამდენიმე უკვე დაიწყო. სხვები, შესაძლოა, არც დაიწყოს, მაგრამ ნებისმიერ მათგანს შეუძლია გაზარდოს „ისლამური სახელმწიფოს“ გადარჩენის შანსი, თუ განამტკიცებს იმ პირობებს, რომლებშიც ეს ტერორისტული დაჯგუფება განვითარდა. და, შესაძლოა, აშშ-ს დიდი ხნის განმავლობაში მოუწიოს რეგიონში დარჩენა.

**ომი №1: აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი სირიელი ქურთების ძალებსა და თურქეთის მხარდაჭერილ არაბულ ძალებ შორის.** ეს ერთ-ერთია იმ ომებიდან, რომლებიც უკვე დაიწყო, და ერთ-ერთი რთული. თურქეთი, რომელიც შინ ომს აწარმოებს ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ, შეშფოთებით აკვირდებოდა, როგორ იყენებდნენ აშშ-ის მხარდაჭერას სირიელი ქურთები, რათა გაეფართოებინათ თავიანთი კონტროლი სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთზე. სირიელი არაბი ამბოხებულები, თურქეთის მოკავშირეები, აგრეთვე, ებრძვიან არაბულ ტერიტორიებზე ქურთების ექსპანსიას.

ამიტომ, როდესაც სამი კვირის წინათ თურქეთი სირიაში შეიჭრა, რათა დახმარებოდა სირიელ ამბოხებულებს, ხელში ჩაეგდოთ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიები, ცხადი შეიქნა, რომ ქურთებს დაარტყეს იმავე მიზნით, რომლითაც „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძვიან. მას შემდეგ ბრძოლამ ინტენსიური ხასიათი მიიღო და, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა ორივე მხარეს სთხოვა, საომარი მოქმედებების შეჩერება, გაურკვეველია, აქვს კი ამერიკას საკმარისი გავლენა თავის მოკავშირეებზე, რათა კონფლიქტის გაღრმავება თავიდან იქნას აცილებული.

**ომი №2: თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის.** ეს ომი შეიძლება იყოს ომი №1-ის მსგავსი, თუმცა უფრო დიდი მასშტაბის. ამჟამად თურქეთმა შემოსაზღვრა სირიაში ინტერვენცია იმ რაიონამდე, რომელიც დაპყრობილი აქვს „ისლამურ სახელმწიფოს“ და რომელიც, ძირითადად, არაბებით არის დასახლებული. მაგრამ თურქეთი, აგრეთვე, შეშფოთებულია დე ფაქტო ქურთული სახელმწიფოს გამო, რომელიც ყალიბდება მისი აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ. ქურთებმა 2016 წლის დასაწყისში ავტონომია გამოაცხადეს, თურქებმა კი ამ ავტონომიის დასაბლოკად საზღვრის გასწვრივ კედლის მშენებლობა დაიწყეს. **თუ დაძაბულობა შენარჩუნდება, გამორიცხული არ არის თურქეთის პირდაპირი ინტერვენცია ქურთულ რაიონებში**, სადაც ამერიკელ სამხედროებსაც აქვთ ბაზები.

**ომი №3: სირიელ ქურთებსა და სირიის მთავრობას შორის.** სირიის ხელისუფლებაც ათვითცნობიერებს ქურთებისგან ტერიტორიული ამბიციების გამო მომდინარე საფრთხეს. აქამდე მათ რთული, მაგრამ მაინც ჰქონდათ კავშირი და სირიის პრეზიდენტი **ბაშარ ალ-ასადი** ამბობდა, რომ მისმა მთავრობამ ქურთები რამდენჯერმე მოამარაგა იარაღით, მაგრამ ქურთების მიერ ავტონომიის გამოცხადების შემდეგ ურთიერთობა გაფუჭდა. ორივე მხარემ ხანმოკლე ბრძოლები გამართა იმ ოლქებში, რომლებშიც მათი ძალები არიან დისლოცირებულნი. ახლა იქ მოქმედებს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, მაგრამ ქურთების სწრაფვა თვითმმართველობისკენ ეწინააღმდეგება ასადის მიზანს — ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღადგინოს სირიის სუვერენიტეტი.

**ომი №4: აშშ-სა და სირიას შორის.** ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს ომი შეიძლებოდა ნებისმიერ მომენტში დაწყებულიყო — მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა **ობამამ** ასადის დამხობისკენ მოუწოდა. მაგრამ ასე არ მოხდა და ეს მიუთითებს იმაზე, რომ ორივე მხარეს სურს, თავიდან აიცილოს კონფლიქტი. მაგრამ **ფრონტის ხაზზე არის რამდენიმე ადგილი, სადაც ბრძოლამ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი კონფლიქტი აშშ-ის მიერ მხარდაჭერილ დაჯგუფებებსა და სირიის სამთავრობო ძალებს შორის.** ამ ადგილებს შორისაა „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქი სირიაში — რაკა, სადაც მიმდინარე წლის ივნისში აშშ და სირია მხარს უჭერდნენ დაჯგუფებებს, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულნი. აგვისტოში კი აშშ-მა თავისი თვითმფრინავებით ხელი შეუშალა სირიის ავიაციას, დაებომბა ქურთების პოზიციები.

**ომი №: თურქეთსა და სირიას შორის.** თურქეთის შეჭრა სირიაში ამჟამად შემოიფარგლება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ და ქურთების დუჯგუფებებთან ბრძოლით. თურქეთმა, აგრეთვე, გადადგა ნაბიჯები რუსეთსა და ირანთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, ასადის უმნიშვნელოვანეს მოკავშირეებთან, რომლებმაც, როგორც ჩანს, მოიწონეს თურქეთის ინტერვენცია სირიის ჩრდილოეთში, მაგრამ, თუ თურქეთის ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ კარგი შედეგით დასრულდება, თურქი სამხედროები მალე აღმოჩნდებიან სირიის სამთავრობო ჯარების პირისპირ ქალაქ ალეპოსთან ახლოს. ასეთ შემთხვევაში ვითარება შეიძლება გამწვავდეს.

**ომი №6: ერაყელ ქურთებსა და ერაყის მთავრობას შორის.** სირიის აღმოსავლეთით, ერაყში, „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიების საზღვრებთან ვითარება არასტაბილურია. სირიელმა ქურთებმა ტერიტორიებზე კონტროლი დაამყარეს, რაც მიუღებელია სირიის მთავრობისთვის, ერაყელმა ქურთებმა კი გადაინაცვლეს ერაყის იმ რაიონებში, რომლებსაც ოდესღაც აკონტროლებდა ერაყის მთავრობა.

**აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ერაყის ხელისუფლება ამბობს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ სრულად განადგურების შემდეგ ამ რაიონებს დაიბრუნებს. იმავე ამერიკის მიერ მხარდაჭერილმა ქურთებმა კი განაცხადეს, რომ ქურთების სისხლით მორწყული ტერიტორიების არც ერთ მტკაველს არ დათმობენ.** ამ საკითხზე დაპირისპირება „ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენამდეც არსებობდა და ტერორიზმის დამარცხების შემდეგ, ალბათ, ახალი ძალით განახლდება.

**ომი №7: ირანელ ქურთებსა და შიიტ ამბოხებულებს შორის.** ეს ომი შეიძლება დაწყებულიყო იმავე მიზეზებით, რომლებითაც ომი №6, მაგრამ არის ერთი ნიუანსი: ის უკვე დაიწყო. შიიტმა „ბოევიკებმა“ (ბევრ მათგანს მხარს უჭერს ირანი) წამყვანი როლის შესრულება ითავეს „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გასათავისუფლებელ ოპერაციებში. ისინი ბაღდადის ჩრდილოეთით უტევენ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს. შიიტი „ბოევიკები“ ებრძვიან აშშ-ის მოკავშირეებს — „პეშმერგას“ (ქურთების სამხედრო ქვედანაყოფი ერაყის ქურთისტანში) ქურთ მებრძოლებს, ერთ ადგილას — თუზ-ჰურმათუში უკვე მოხდა შეტაკებები. აღსანიშნავია, რომ თვითონ ქურთები არ გამოირჩევიან ერთობით არც სირიაში და არც ერაყში, რაც კიდევ ერთი ომის დაწყების საფრთხეს ქმნის.

**ომი №8: ქურთები ქურთების წინააღმდეგ.** ეს, ალბათ, ჩამოთვლილთაგან ყველაზე რთული სცენარია და ყველაზე სავარაუდო. ქურთებს განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ყველაფერზე, ქურთული სახელმწიფოს შექმნის გარდა. ერაყში ქურთები გაყოფილნი არიან ორ დაჯგუფებად, რომლებმაც 1990-იან წლებში სისხლიანი სამოქალაქო ომი გააჩაღეს. მათგან ერთი დაუძინებელი მტერია იმ ქურთებისა, რომლებიც სირიის ჩრდილოეთ ტერიტორიას აკონტროლებენ, მეორე — მოკავშირეა სირიელი ქურთებისა, რომლებიც შორს არიან ერთობისგან. აშშ-ის მოკავშირე ქურთების დაჯგუფებებს შორის შესაძლებელია ომი დაიწყოს ერაყში ან სირიაში, ან ორივე ქვეყანაში.

**ქურთებს განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ ყველაფერზე, ქურთული სახელმწიფოს შექმნის გარდა. ერაყში ქურთები გაყოფილნი არიან ორ დაჯგუფებად, რომლებმაც 1990-იან წლებში სისხლიანი სამოქალაქო ომი გააჩაღეს. მათგან ერთი დაუძინებელი მტერია იმ ქურთებისა, რომლებიც სირიის ჩრდილოეთ ტერიტორიას აკონტროლებენ, მეორე — მოკავშირეა სირიელი ქურთებისა, რომლებიც შორს არიან ერთობისგან. აშშ-ის მოკავშირე ქურთების დაჯგუფებებს შორის შესაძლებელია ომი დაიწყოს ერაყში ან სირიაში, ან ორივე ქვეყანაში**

**ომი №9: სუნიტი არაბები შიიტებისა და/ან ქურთების წინააღმდეგ.** „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის პროცესში ქალაქებსა და სოფლებს, რომლებშიც უმრავლესობა სუნიტია, იპყრობენ ქურთების ან შიიტების სამხედრო დაჯგუფებები. ბევრი სუნიტი შედის მათ რიგებში, რათა დაეხმარონ „ბოევიკების“ დამარცხებაში. ადამიანები დამპყრობლების განდევნის შემდეგ შვებას განიცდიან, მაგრამ შიიტები და ქურთები ზოგჯერ ბოროტად იყენებენ დამპყრობლისგან გათავისუფლებული სუნიტური თემების ნდობას.

მაგალითად, ძალისმიერი მეთოდებით ასახლებენ სუნიტებს თავიანთი სახლებიდან და მასობრივად აპატიმრებენ სუნიტ მამაკაცებს. იმის გამო, რომ რეალურად არ არსებობს შეთანხმება შერიგებაზე, აგრეთვე, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც სუნიტებს უფრო ფართო უფლებები ექნებოდათ, შეიძლება სუნიტურმა ამბოხებამ იფეთქოს.

**ომი №10: „ისლამური სახელმწიფოს“ ნარჩენები ყველას წინააღმდეგ.** „ისლამური სახელმწიფო“ ჯერ კიდევ აკონტროლებს დიდ ტერიტორიებს სირიასა და ერაყში.

შეტევა „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქებზე — მოსულისა და რაკაზე — დაგეგმვის პროცესშია, მაგრამ, თუ ამ საომარ ოპერაციაში მონაწილე დაჯგუფებები კვლავაც განაგრძობენ ერთმანეთთან დაპირისპირებას, შეტევა შეიძლება გაურკვეველი დროით გადაიდოს. თუ არ გადაიდება, სხვა კონფლიქტები მოუგვარებელი დარჩება, რაც რეგიონში ხანგრძლივი არასტაბილური ვითარების მიზეზი იქნება.

სამხედრო წარმატებების განმტკიცება არ ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებებით. ადრე ამან გამოიწვია ქაოსი და პრობლემები, რომლებმაც ხელი შეუწყო „ისლამური სახელმწიფოს“ აღზევებას. და, თუ მიმდინარე ომი წარმოშობს ახალ ომებს, „ისლამური სახელმწიფო“ შეიძლება განადგურებას გადარჩეს.

**ლიზ სლაი**
**The Washington Post (აშშ)**

გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობები შეშფოთებულნი არიან რუსეთის მიმართ აშშ-ის მიერ წარმოებული პოლიტიკით და ამაზე დაუფარავად ლაპარაკობენ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა: „ევროკავშირის უსაფრთხოების დაცვა შეიძლება მხოლოდ რუსეთთან ერთად და არა მის წინააღმდეგ ბრძოლით“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბზარი მოკავშირეთა შორის

**ცივი ომის შემდეგ რუსეთი, ისევე, როგორც საბჭოეთის პერიოდში, განაგრძობს დარტყმებს დასავლეთზე. ის ყოველთვის ეძებდა და პოულობდა პრობლემებს დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობაში და მათ ხშირად იყენებდა, მაგრამ აშშ რბილი ძალის მეთოდების დახმარებით ყოველთვის ახერხებდა დასავლური კავშირის შენარჩუნებას.**

ამაში მას დაეხმარა რუსეთის პოზიცია საქართველოს, უკრაინისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ; აშშ-ს ეს პრობლემები მაგალითად მოჰყავს და დასავლელ პარტნიორებს რუსეთის არაგულწრფელობაზე მიუთითებს მშვიდობის საკითხში.

2016 წლის 8-9 ივლისს ვარშავაში გამართულ სამიტზე ნატომ ზომების მიღება განიზრახა და ამას აპირებს არა სამხრეთის, არამედ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ფლანგებზე.

* * *

რაც შეეხება ტერორიზმს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ამ სამიტზე ისაუბრეს „ისლამურ სახელმწიფოზე“, მაგრამ არ უხსენებიათ ქურთების მუშათა პარტია და პარტია „დემოკრატიული კავშირი“. **ეჭვი არავის ეპარება, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, რომლებიც განლაგებულია უნგრეთსა და პოლონეთში ნატოს ქვეყნების ტერიტორიების დასაცავად ახლო აღმოსავლეთის მხრიდან შეტევისგან და ბევრი ქვეყნის, უწინარესად, გერმანიისა და საფრანგეთის შეშფოთებას იწვევს, რუსეთის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.** რუსეთს რომ დაემუქროს და შეაშფოთოს, ნატო აშშ-ის ხელმძღვანელობით სამხედრო მოქმედებებს მიმართავს. მაგალითად, 2016 წლის 5 ივნისს ალიანსმა პოლონეთში სამხედრო სწავლება ჩაატარა სახელწოდებით „ანაკონდა“, რომელშიც 24 ქვეყნის 31 ათასი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ეს სწავლება რუსეთის მთავრობამ აღიქვა, როგორც საფრთხე. ამ მანევრებთან ერთად, იმავე 5 ივნისს ბალტიის ზღვაზე კიდევ ერთი სამხედრო სწავლება გაიმართა 15 ქვეყნის მონაწილეობით. მასში 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 45 სამხედრო საფრენი აპარატი და 60 სამხედრო ხომალდი მონაწილეობდა. ამ მანევრების მიზანიც რუსეთის შეშფოთება იყო. ინჯირლიყის ბაზაზე განლაგებული „ავაქსის“ სისტემებით აღჭურვილი თვითმფრინავებით კი ამერიკელები ერაყსა და სირიაში შექმნილ ვითარებას აკვირდებიან. ამის გამო რუსეთი და რეგიონის ქვეყნები, განსაკუთრებით — თურქეთი, შეშფოთებულები და ამ მოქმედების მიმართ სკეპტიკურად განწყობილნი არიან.

**აშშ ცდილობს, თავისი დასავლელი მოკავშირეების თვალში რუსეთი წარმოადგინოს, როგორც ქვეყანა, რომელსაც არ სურს მშვიდობა და ექსპანსიონისტური პოლიტიკით ქმნის დაძაბულობას, ისევე, როგორც ცივი ომის პერიოდში.**

ამერიკელები ამბობენ: ჩვენ ვცდილობდით რუსეთის ინტეგრირებას დასავლეთის სამყაროში, მშვიდობიანი თანაარსებობისთვის პირობების შექმნას, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. აშშ-ის მიერ წარმოებული ანტირუსული პროპაგანდის საუკეთესო მაგალითია ინტერვიუ, რომელიც სახელმწიფო მდივანმა **ჯონ კერიმ** მისცა ტელეკომპანია „სი-ენ-ენს“. შეგახსენებთ, რომ 2016 წლის აპრილში რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა დაახლოებით 10 მ სიმაღლეზე გადაუფრინეს ბალტიის ზღვაში მყოფ ამერიკულ საესკადრო ნაღმმზიდს. ეს იყო ინციდენტი, რომელსაც შეიძლებოდა სამწუხარო შედეგები მოჰყოლოდა.




**2016 წლის 5 ივნისს ალიანსმა პოლონეთში სამხედრო სწავლება ჩაატარა სახელწოდებით «ანაკონდა», რომელშიც 24 ქვეყნის 31 ათასი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ეს სწავლება რუსეთის მთავრობამ აღიქვა, როგორც საფრთხე. ამ მანევრებთან ერთად, იმავე 5 ივნისს ბალტიის ზღვაზე კიდევ ერთი სამხედრო სწავლება გაიმართა 15 ქვეყნის მონაწილეობით. მასში 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 45 სამხედრო საფრენი აპარატი და 60 სამხედრო ხომალდი მონაწილეობდა. ამ მანევრების მიზანიც რუსეთის შეშფოთება იყო**



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობები შეშფოთებულები არიან რუსეთის მიმართ აშშ-ის მიერ წარმოებული პოლიტიკით და ამაზე დაუფარავად ლაპარაკობენ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა** განაცხადა: **„ევროკავშირის უსაფრთხოების დაცვა შეიძლება მხოლოდ რუსეთთან ერთად და არა მის წინააღმდეგ ბრძოლით“.**

* * *

საფრანგეთი სულ უფრო იმაღლებს ხმას აშშ-ის პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ გერმანია წარსულის გამო განაგრძობს ძველი ტონის შენარჩუნებას. მაგალითად, როდესაც გაირკვა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უსმენდა კანცლერ **მერკელის** სატელეფონო საუბრებს, გერმანიას მოსალოდნელი რეაქცია არ გამოუმჟღავნებია და საზოგადოებრივი აზრიც ისეთი იყო, თითქოს არც არაფერი მომხდარა. **ადრე ჯაშუშობის გამო შეიძლებოდა, ომი დაწყებულიყო, მაგრამ დღეს გერმანია ჯაშუშობის ინციდენტს ამერიკელების მიმართ მკვეთრი მიმართვის ღირსადაც არ თვლის.**

ნატოს გენერალური მდივანი **სტოლტენბერგი** შეეცადა, გაეფანტა ალიანსის წევრების შეშფოთება, „რუსეთი, საფრთხე კი არა, სტრატეგიული პარტნიორია. ძლიერი თავდაცვა და კონსტრუქციული დიალოგი — ამის საფუძველზე უნდა აიგოს ჩვენი ურთიერთობები“. მან, ამასთანავე, აქცენტი გააკეთა სამ მთავარ პრინციპზე: ერთიანობა, გაბედულება, დიალოგი.

რა გავლენას იქონიებს ნატოს სამიტზე მიღებული მკაცრი გადაწყვეტილებები რუსეთზე და შეცვლის თუ არა რუსეთი თავის პოლიტიკურ და სამხედრო პოზიციას არსებული პრობლემების მიმართ, ახლო მომავალში გამოჩნდება.

**ჰაიდარ ჩაქმაკი**
**Yeni Cag** (თურქეთი)

# სუვერენიტეტი უფრო მნიშვნელოვანია: შვეიცარიამ შენგენის ზონიდან გასვლა განიზრახა

**იარაღის შენახვისა და ტარების კანონის გამკაცრების გამო შვეიცარიაში შენგენის ზონიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს.**

ევროკავშირის დეპუტატებმა, ტერორისტული აქტების გახშირების გამო, იარაღის კონტროლზე კანონის გამკაცრება მოითხოვეს. ახალი კანონპროექტის მიხედვით, ძალიან გამკაცრებულია იარაღის შენახვასა და ტარებაზე კონტროლი. შვეიცარიაში კი მიიჩნიეს, რომ ეს კანონი სუვერენიტეტს აკნინებს: ევროკავშირის დეპუტატების ინიციატივამ უკმაყოფილების ქარიშხალი გამოიწვია, რადგან ეწინააღმდეგება ძველ შვეიცარიულ ტრადიციას — შინ იარაღი შეინახონ მოქალაქეებმა, რომლებიც მსახურობდნენ არმიაში და რომლებსაც სამახსოვროდ დაუტოვეს იარაღი.

**რამდენიმე შვეიცარიელი პოლიტიკოსი უკვე გამოვიდა შენგენის ზონის დატოვების საკითხზე რეფერენდუმის გამართვის მოთხოვნით. შვეიცარიის სახალხო პარტიის (ეს ყველაზე დიდი პარტიაა შვეიცარიაში) წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პირველ ადგილზე სუვერენიტეტი უნდა იყოს, ახალი კანონპროექტი კი მას არღვევს, შესაბამისად, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.**

„საგანგებო სიტუაციის შექმნისას შვეიცარია მზად უნდა იყოს შენგენის ხელშეკრულებიდან გამოსასვლელად“, — განაცხადა შვეიცარიის სახალხო პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა.



**რამდენიმე შვეიცარიელი პოლიტიკოსი უკვე გამოვიდა შენგენის ზონის დატოვების საკითხზე რეფერენდუმის გამართვის მოთხოვნით. შვეიცარიის სახალხო პარტიის (ეს ყველაზე დიდი პარტიაა შვეიცარიაში) წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პირველ ადგილზე სუვერენიტეტი უნდა იყოს, ახალი კანონპროექტი კი მას არღვევს, შესაბამისად, საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლების სათავეში ერდოღანის ისლამურ-კონსერვატიული პარტიის „სამართლიანობა და განვითარება“ მოსვლის შემდეგ DIYANET- ი და DITIB-ი უფრო კონსერვატიული და ნაციონალისტური გახდა. გულუხვად დაფინანსებული ორგანიზაცია მონაწილეობს პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგების მოწყობაში, როგორც ეს მოხდა კელნში ივლისის ბოლოს. ამასთანავე, ამ ორგანიზაციის ხმა მეჩეთებისგან შორს ისმის. DITIB-ი ამჟამად ერდოღანის ინტერესების გამხმოვანებელია“.**

# როგორ შეაღწია ანკარამ გერმანულ მეჩეთებში

**ორგანიზაცია DITIB-ის იმამები, რომლებიც ანკარას ემორჩილებიან, გერმანულ მეჩეთებში ნაციონალისტური მოწოდებებით გამოდიან და მორწმუნეებს „სამართლებრივი სახელმწიფოსადმი“ ერთგულების დემონსტრირებას სთხოვენ.**

ანკარაში სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ამ მოვლენების გამო ჯერ კიდევ დაძაბულმა გერმანელმა თურქებმა და თურქული წარმოშობის გერმანელებმა რამდენიმე დღის წინათ თავიანთი იმამების ქადაგებას მოუსმინეს პატრიოტიზმის შესახებ.

ქადაგების ტექსტი დაარიგა რელიგიის საკითხების თურქულ-ისლამურმა კავშირმა (DITIB), რომელსაც გერმანიაში 900 მეჩეთი აქვს, ანუ მათი უმრავლესობა.

„ჩვენს რელიგიაში სამშობლოს სიყვარული რწმენის ნაწილია“, — ამბობენ იმამები. DITIB გერმანიაში არა მხოლოდ უდიდესი მუსლიმანური ორგანიზაციაა, არამედ რელიგიის საკითხების მმართველი საგარეო ორგანოც (Diyanet-ი), რომელიც ანკარიდან იმართება.

„15 ივლისს ჩვენმა ხალხმა გამოცდას გაუძლო, — განაგრძობდნენ იმამები, — ჩვენ ჩვენი ხალხისა და დემოკრატიის შიგა და გარეშე მტრების თავდასხმის მოწმენი გავხდით“. სახელები გამყიდველებისა და მოღალატეებისა, რომლებიც „უკვე 40 წელია“, მოქმედებენ, არ დაუსახელებიათ, მაგრამ **ფეთჰულაჰ გიულენის** მომხრეების მიმართ ნართაულად ნათქვამი საკმაოდ გამჭვირვალე იყო — **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** სწორედ გიულენისტები დაადანაშაულა ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობაში. ქადაგებაში გიულენის სახელი არ უხსენებიათ, მაგრამ მორწმუნეების გაერთიანებისა და თურქი ხალხის საკეთილდღეოდ „სამართლებრივი სახელმწიფოსადმი“ ნდობის გამოხატვისკენ მოუწოდებდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰაგენის (ჩრდილოეთი რეინ-ვესტფალია) მეჩეთის შესასვლელთან ასეთი გაზეთი გამოჩნდა: „მოღალატეებს არ აქვთ აქ ლოცვის უფლება“. რურის ოლქის ერთ-ერთმა იმამმა კი სოციალურ ქსელში კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ასოციაცია, რომელსაც გიულენისტები სტუმრობენ ხოლმე, ერდოღანის მხარდამჭერთა სამიზნეში მოექცა. **ერკან კარაკაიუნმა** რამდენიმე კვირის განმავლობაში მუქარისა და შეურაცხყოფის შემცველი ათობით წერილი მიიღო. ის ხელმძღვანელობს დიალოგისა და განათლების ფონდს, რომელიც გიულენის მოძრაობას წარმოადგენს გერმანიაში. „ჩვენ ვნახეთ მოწოდებები გიულენისტების მხილების შესახებ, — ამბობს კარაკაიუნი, — იმამებმა მუსლიმურ თემებსაც კი უხმეს სიების შესადგენად. ეს მესამე რაიხს ჰგავს, ეს დაუშვებელია“.

კელნში, სადაც განლაგებულია DITIB-ის შტაბ-ბინა, ამ ორგანიზაციის რელიგიური ლიდერები შეეცადნენ, ჩაეცხროთ ვნებათაღელვა და ზომიერებისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ მაინც გაისმოდა ბრალდებები, რომ DITIB-ორმაგ რელიგიურ და პოლიტიკურ თამაშს ეწევა და რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება.



## DITIB-ი დამოუკიდებელი არ ყოფილა

გერმანიაში პოლიტიკოსებმა ისეთი გამომეტყველება მიიღეს, თითქოს პრობლემას მიაგნეს. სინამდვილეში თურქეთის ხელისუფლების მიერ 1984 წელს DITIB-ისთან დამყარებული კავშირი საიდუმლო არავისთვის ყოფილა. ეს ყველაფერი დიდი ხნის განმავლობაში აძლევდა ხელს ანკარასაც და ბერლინსაც, თურქეთის მიმართ ყველაფერი ნათელია: ათათურქის რევოლუციის შემდეგ რელიგიას სახელმწიფო აკონტროლებს. რაც შეეხება გერმანიას, ამ ქვეყნის ხელისუფლებას თურქეთის ფულმა საშუალება მისცა, ნაკლები დანახარჯებით ჩაეტარებინა მუსლიმანური რელიგიის სტრუქტურიზაცია და შეექმნა თემი, რომლის ინტეგრირება არც უცდია. ამჟამად თემი 3 მილიონ კაცს ითვლის, ანუ DITIB-ი არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი. „იქ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს ხელისუფლების თანხმობის გარეშე“, — ამბობს ისლამის ექსპერტი **სუზან შრეტერი**. კურსი Diyanet-მა უნდა მოიწონოს. თურქეთის ხელისუფლება მთლიანად აკონტროლებს რელიგიურ რიტორიკას. „იმამებს თურქეთში Diyanet-ი ამზადებს და გერმანიაში განსაზღვრული დროით გზავნის, როგორც ელჩებს, — განაგრძობს შრეტერი, — ჩვეულებრივ, ისინი არ ლაპარაკობენ გერმანულად, არც სჭირდებათ. მათი მთავარი მიზანი სამშობლოს განცდის კულტივირებაა“.



„როდესაც ისლამისტური თურქული სახელმწიფო ზომიერი იყო, ეს კავშირი პრობლემად არ მიიჩნეოდა, მაგრამ ხელისუფლების სათავეში ერდოღანის ისლამურ-კონსერვატიული პარტიის „სამართლიანობა და განვითარება“ მოსვლის შემდეგ Diyanet- ი და DITIB-ი უფრო კონსერვატიული და ნაციონალისტური გახდა. გულუხვად დაფინანსებული ორგანიზაცია მონაწილეობს პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგების მოწყობაში, როგორც ეს მოხდა კელნში ივლისის ბოლოს. ამასთანავე, ამ ორგანიზაციის ხმა მეჩეთებისგან შორს ისმის. DITIB-ი ამჟამად ერდოღანის ინტერესების გამხმოვანებელია“, — ამბობს სუზან შრეტერი.

გერმანელ საზოგადოებაზე რადიკალური პოლიტიკური ისლამისა და თურქული ნაციონალიზმის გავლენა შეშფოთებას იწვევს. ამ ზაფხულს დეპუტატმა **ჯემ ოზდემირმა** ტაბუ დაარღვია და DITIB-ი ექსტრემიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. მან DITIB-ი შეადარა „პეგიდას“ — გერმანულ ულტრამემარჯვენე მოძრაობას და განაცხადა, რომ ასეთი ორგანიზაციები „საზოგადოების პერიფერიებს არ უნდა გასცდეს“.

გასულ კვირაში ჩრდილოეთი რეინ-ვესტფილიის ხელისუფლებამ შეაჩერა მის მიერ კოორდინირებული რადიკალიზმის საწინააღმდეგო პროგრამა. ამის მიზეზი იყო Diyanet-ის მიერ გამოცემული ნახატი ბავშვებისთვის. ამ სურათზე მამა უამბობს შვილს მოქამებრივად დაღუპული თურქი მეომრების გმირობებზე. „ვინ არ მოისურვებს სამოთხეში მოხვედრას?“ — სვამს კითხვას ის. ხელისუფლებამ DITIB-ის ამ ნახატისგან დისტანცირება მოსთხოვა, მაგრამ, მათი აზრით, დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო. DITIB-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ „პოლემიკურ“ ნახატს გერმანიაში „არ გამოიყენებენ“, მაგრამ ჩათვალეს, რომ თვითონ კონცეფცია „მოწამეობრივად“ სამშობლოსათვის სიცოცხლის გაწირვის შესახებ „პრობლემური არ არის“, თუმცა ექსტრემისტებმა შეიძლება „დაამახინჯონ“.

რელიგიის საკითხების თურქულ-ისლამური კავშირის პოლიტიკის გავლენის ობიექტად ახლა სკოლები იქცა. გერმანიაში სასკოლო პროგრამაშია შეტანილი გაკვეთილები რელიგიის საკითხებზე. რელიგიური განათლების გაკვეთილების ჩატარებაზე გადაწყვეტილებას იღებს თითოეული ფედერალური მიწა თავისი ისტორიისა და სურვილის გათვალისწინებით. ისლამი, რა თქმა უნდა, თავის უფლებების დაცვას ითხოვს. DITIB-ი კი, როგორც უდიდესი მუსლიმანური ორგანიზაცია გერმანიაში, ამ საკითხში საჭირო პარტნიორია.

„თუ DITIB-ის ჩვენი სკოლების კარებს გავუღებთ, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ ქვეყანაში ერდოღანის იდეოლოგია გავრცელდება“, — აფრთხილებს გერმანელ საზოგადოებას **ოზდემირი**. კამათობენ ანგელა მერკელის ბანაკშიც.

„გრძელვადიან პერსპექტივაში გერმანიის სახელმწიფოსთან პარტნიორობა რელიგიური განათლების საკითხებში შესაძლებელია მხოლოდ უცხო სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ ორგანიზაციასთან, — განაცხადა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ვიცეპრეზიდენტმა **არმინ ლაშეტმა**, — DITIB-ში რეოგანიზაცია უნდა ჩატარდეს“. DITIB-ში კი აღშფოთება ვერ დამალეს ამ მოთხოვნის გამო:

„ასეთი ცილისმწამებლური ბრალდებები მომდინარეობს ანტიდემოკრატიული ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებისგან, — ნათქვამია DITIB-ის პრესრელიზში, — კატეგორიულად უარვყოფთ მოსაზრებას, რომ ჩვენი ორგანიზაცია საზღვარგარეთიდან კონტროლდება“.

## გაკვეთილები ზედამხედველობის ქვეშ

რეგიონული ხელისუფლებები ამოქმედდნენ. რამდენიმე მიწის მთავრობამ DITIB-ისთან მოლაპარაკებები შეწყვიტა. ჰესენის მავრობამ კავშირი კი შეინარჩუნა, მაგრამ იქ რელიგიური განათლების გაკვეთილებს ზედამხედველები დაესწრებიან. „ველოდებით, რომ თურქული წარმოშობის ადამიანები, რომლებიც, დიდი ხანია, ცხოვრობენ გერმანიაში, ჩვენი ქვეყნის ერთგულები იქნებიან“, — განაცხადა კანცლერმა **ანგელა მერკელმა**.

ანუ მათ არჩევანი უნდა გააკეთონ. მერკელსა და ერდოღანს შორის.

**ნიკოლა ბაროტი**
Le Figaro (საფრანგეთი)

# გერმანელთა 82% მიგრაციული პოლიტიკის შეცვლას მოითხოვს



**გერმანიის მოქალაქეთა 82% კანცლერ ანგელა მერკელისგან ლტოლვილთა მიმართ პოლიტიკის შეცვლას მოითხოვს — ასეთია სოციოლოგიური ინსტიტუტის — TNSF ORSHUNG-ის კვლევის შედეგები, — წერს გერმანული გამოცემა Die Zeit.**

რესპონდენტთა 82%-ის აზრით, კანცლერმა მნიშვნელოვნად უნდა შეცვალოს ეს პოლიტიკა.

გამოკითხულთა 54% კი კურსის ნაწილობრივ კორექტირებას მოითხოვს. მერკელის მიგრაციული პოლიტიკის მართებულობაში კი გამოკითხულთა მხოლოდ 15%-ია დარწმუნებული.

გამოკითხვაში, რომელიც 6-7 სექტემბერს გაიმართა, 1003 ადამიანი მონაწილეობდა.

# იტალია ევროკავშირის ერთიანი არმიის შექმნის იდეას ლობირებს



**როგორც გამოცემა Defence News-ი იტყობინება, ოფიციალური რომი ცდილობს, დაარწმუნოს საფრანგეთი და გერმანია, მხარი დაუჭირონ „უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიანი პოლიტიკის უზრუნველსაყოფად საჭირო აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას და შეძენას“.**

ერთიანი ევროპული სამხედრო პოტენციალის შექმნის იდეა აქტუალურია დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, მანამდე კი ლონდონი მსგავს წინადადებებს ბლოკავდა.

გამოცემა წერს, რომ ევროკავშირის ერთობლივი არმიის შექმნის შესაძლებლობებზე გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის ლიდერებმა 22 აგვისტოს და 5 სექტემბერს იმსჯელეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიუ იორკის საკანონმდებლო ორგანოს წევრმა, რომელიც თაღლითობაში იყო ეჭვმიტანილი, თავი მოიკლა

**ნიუ იორკის შტატის საკანონმდებლო ორგანოს წევრი ბილ ნოჯეი გარდაცვლილი იპოვეს მისი ოჯახის კუთვნილ სასაფლაოზე. გავრცელებული ინფორმაციით. რესპუბლიკური პარტიის წევრმა ნოჯეიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**



ვებგვერდი „რაშა თუდეი“ იუწყება, რომ ნოჯეი კამბოჯაში ჩადენილი თაღლითობის საქმეზე აღიარებითი ჩვენებით უნდა გამოცხადებულიყო სამართალდამცველებთან.

პოლიტიკოსმა და მისმა სამმა თანამზრახველმა კამბოჯის მოქალაქე დაარწმუნეს, რომ ბრინჯის ექსპორტიორ ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიაში მილიონი დოლარის ჩადება მოგებას მოუტანდა, მაგრამ არ გაუმხილეს, რომ ეს კომპანია გაკოტრებული იყო.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ბილ ნოჯეი დამკვირვებლად იყო მიწვეული უკრაინის ადგილობრივ არჩევნებზე.



# წლის დასაწყისიდან ევროპაში 300 ათასზე მეტი მიგრანტი ჩავიდა

**მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი მონაცემების მიხედვით, რომელიც ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა, 6 სექტემბრის მდგომარეობით, 2016 წლის დასაწყისიდან ევროპაში სახმელეთო და საზღვაო გზით 304 993 მიგრანტი და ლტოლვილი ჩავიდა, უმრავლესობა — საბერძნეთში, სადაც აგვისტოს ბოლოს 163 726 მიგრანტი და ლტოლვილი აღირიცხა.**

მიგრანტების დაახლოებით 60% ქალი და ბავშვია, მათი უმრავლესობა სირიიდან, ერაყიდან და ავღანეთიდანაა.

6 სექტემბრის მდგომარეობით, წლის დასაწყისიდან თურქეთის სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა დაახლოებით 29 000 მიგრანტი გადაარჩინეს.

# «კიდევ ერთი სულელი»: ფილიპინების პრეზიდენტმა ობამას შემდეგ გაეროს გენმდივანი შეურაცხყო

**ფილიპინების პრეზიდენტი როდრიგო დუტერეტე მკაცრი ანტინარკოტიკული კამპანიის კრიტიკაზე მწვავე რეაქციის გამო კვლავ აღმოჩნდა სკანდალის ცენტრში.**

ბარაკ ობამას საჯარო შეურაცხყოფის ისტორია ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი, რომ ფილიპინების პრეზიდენტს სიტყვების სიმწარე გაეროს გენერალურმა მდივანმა **პან გი მუნმა** იწვნია.

სააგენტო „ფრანსპრესის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას დუტერეტემ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს პან გი მუნს, რომელმაც განაცხადა, რომ ფილიპინებზე ადამიანის უფლებები ირღვევა.

როდრიგო დუტერეტემ სოციალურ ქსელში დაწერა: **„ჩემს თავს ვუთხარი, რომ შენ (პან გი მუნს მიმართავს) მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი სულელი ხარ. მე განვაგრძნობ ბრძოლას დამნაშავეთა წინააღმდეგ. მე ისინი არ მეცოდება“.**








# ამერიკელმა მეცნიერმა პარაზიტ ჭიას ობამა დაარქვა

**ახლა ბარაკ ობამა ჰქვია არა მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტს, არამედ ბრტყელ ჭიასაც, რომელიც ცხოველების სისხლით იკვებება.**

სამეცნიერო ჟურნალმა Journal of Parasitology-მ პარაზიტოლოგებს აუწყა კუს სისხლში აქამდე უცნობი სახეობის მინიატურული ჭიის აღმოჩენის შესახებ, რომელსაც აშშ-ის პირველი შავკანიანი პრეზიდენტის პატივსაცემად Baracktrema obamai უწოდეს. კუ „ჭიებიანი სისხლით“ ბინადრობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, პარაზიტები კი — ძირითადად, კუს ფილტვებში, სწორ ნაწლავსა და გენიტალიებში.

„სენტ-მერის (ინდიანა) ბიოლოგიური კოლეჯის პროფესორის (რომელიც ობამას შორეულ ნათესავად ეკუთვნის) **ტომას პლატის** განმარტებით, **„პარაზიტისთვის შერჩეული სახელი პრეზიდენტისთვის პატივია და არა შეურაცხყოფა, რადგან ადამიანები მზად არიან, გადაიხადონ ათასობით დოლარი, რათა მათი სახელი რომელიმე არსებას უწოდონ“**, — იუწყება ტელეარხი „ბი-ბი-სი“.

მეცნიერის თქმით, პარაზიტი ობამასავით „გრძელი, გამხდარი და საშინლად მოხერხებულია“, ამიტომ დაარქვა მას აშშ-ის პრეზიდენტის სახელი.

უფრო ადრე ბარაკ ობამას პატივსაცემად მეცნიერებმა ობამა დაარქვეს ობობას, თევზსა და ხვლიკის გადაშენებულ სახეობას, რამდენიმე დღის წინათ კი ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერეტემ აშშ-ის პრეზიდენტს „მეძავის შვილი“ უწოდა.

# ყოველი მეორე ამერიკელი იმედგაცრუებულია ჯანდაცვის სისტემაში ობამას მიერ განხორციელებული რეფორმებით




ზაფხულის პერიოდში ბაზრიდან სადაზღვევო სამედიცინო მომსახურებით დაკავებული ბევრი კომპანიის გასვლის ფონზე, პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმების მხარდამჭერი ამერიკელების რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მოწინააღმდეგეების.

გელაპის ინსტიტუტის მიერ 2016 წლის 30-31 აგვისტოს ჩატარებულ გამოკითხვაში 1018 ამერიკელი მონაწილეობდა აშშ-ის 50 შტატიდან.

ამჟამად ამერიკელთა მხოლოდ 44% აფასებს დადებითად ჯანდაცვის რეფორმას, რომელიც ცნობილია ობამა კეირის სახელწოდებით, 51% კი რეფორმას არ იწონებს.

გამოკითხულთა 29% მიიჩნევს, რომ ობამას ადმინისტრაციის ძალისხმევით განხორციელებულმა რეფორმებმა მათი ოჯახები დააზარალა.

# ლონდონის ეროვნულ გალერეას მატისის ნახატის მოპარვაში ადანაშაულებენ

**ლონდონის ეროვნული გალერეის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს ფრანგი მხატვრისა და სკულპტორის — ანრი მატისის „მოპარული“ ნახატის გამოფენის გამო.**

ნიუ იორკის ფედერალურ სასამართლოში სარჩელის შეტანის საბაბი შეიქნა ანრი მატისის მიერ 1908 წელს დახატული მარგარიტა (გრეტა) მოლის პორტრეტი. სარჩელი შეიტანა მარგარიტას სამმა შვილიშვილმა: დიდი ბრიტანეთიდან-ცოლივერ უილიამსმა და მარგარიტა გრინმა, გერმანიიდან კი აირის ფილმერმა. ისინი ამტკიცებენ, რომ მუზეუმს ამ ნახატის გამოფენისა და ამით შემოსავლის მიღების უფლება არ აქვს, რადგან ნახატი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიპარეს, ოჯახის კუთვნილებაა.

მარგარიტა მოლის შვილიშვილები თავიანთი ბებიის პორტრეტის დაბრუნებას, უკვე 5 წელიწადია, ცდილობენ. იმ შემთხვევაში კი, თუ მუზეუმი ნახატს დაიტოვებს, საკომპენსაციოდ 30 მლნ დოლარს ითხოვენ.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოდის მორიგი არჩევნები და, სავარაუდოდ, იგივე ხელისუფლება, ოღონდ არა ძველი უპირატესობით (თუ არჩევნები ჩატარდა ობიექტურად), დარჩება ქვეყნის სათავეში და ეს მოხდება არა იმიტომ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება წარმატებულია, არამედ იმიტომ, რომ არ ჩანს ისეთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან და ამიტომ, როგორც ქართულ ანდაზაშია, „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ“.**

# ქვეყანაში დომხალია, ანუ გზა არსაით

**მეოთხედი საუკუნე გავიდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან და სიხარულის მაგივრად, ჩვენდა სამწუხაროდ, მივიღეთ:**
***დანგრეული ეკონომიკა;**
***დანგრეული სოფლის მეურნეობა;**
***გამათხოვრებული ხალხი;**
*** ქვეყნიდან გაქცეული მილიონზე მეტი მოქალაქე;**
***დაკარგული ტერიტორიები.**
***დემოგრაფებმა საქართველო შეიტანეს მომაკვდავ ერთა სიაში.**




**ჩვენი მინისტრების უმრავლესობა, სამწუხაროდ, არც სპეციალისტია, არც მენეჯერი და არც პოლიტიკოსი. ან როგორ იქნება, როცა მინისტრობა მისი პირველი სამუშაო ადგილია?!**

იცვლება ხელისუფლებები (გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის და ბოლოს — ივანიშვილის), მაგრამ თითქმის არაფერი იცვლება უკეთესობისკენ.

ახლა მოდის მორიგი არჩევნები და, სავარაუდოდ, იგივე ხელისუფლება, ოღონდ არა ძველი უპირატესობით (თუ არჩევნები ჩატარდა ობიექტურად), დარჩება ქვეყნის სათავეში და ეს მოხდება არა იმიტომ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება წარმატებულია, არამედ იმიტომ, რომ არ ჩანს ისეთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან და ამოტომ, როგორც ქართულ ანდაზაშია, „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ“.

ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობაში გამეფებულია უიმედობა. ხალხი დაბნეულია, არ იცის, რა ქნას; არ იცის, რა ელის ხვალ.

ყოველივე ეს არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის ბრალიცაა. ხალხში გამჯდარია ე.წ. ბელადომანია.

**ყველა მთავრობა, გამსახურდიას ხელისუფლებით დაწყებული და ივანიშვილით დამთავრებული, ჩვენივე გულუბრყვილობით ვაქციეთ ბელადებად, ავირჩიეთ დიდი უპირატესობით და, სულ რაღაც, თვეების შემდეგ მივიღეთ იმედგაცრუება.**

სასწაული არ მოხდა — ე.წ. ბელადმა ქვეყანა ვერ ააღორძინა. მაინცდამაინც არც ჰქონია ამისი არც რესურსი და არც სურვილი.

ე.წ. ბელადების სიტყვები მხოლოდ სუფრასთან ნათქვამი სადღეგრძელოს დონის იყო. გარშემო შემოიკრიბეს ათასი ჯურის მედროვეები და ხალხი გაბრიყვებული დატოვეს.

მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, მოვა კარგი მთავრობა და ყველა კარგად იცხოვრებს. არადა, ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში კარგი ცხოვრება მხოლოდ თითოეული მოქალაქის დიდი შრომითა და ინიციატივით მიიღწევა და არა — კარგი მთავრობით.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ დღევანდელ სიტუაციას.

**ქვეყანაში არსებობს 200-ზე მეტი პარტია. არადა, გაცილებით კარგი იქნებოდა, ყოფილიყო 200-ზე მეტი საწარმო, რომლებშიც ხალხი დასაქმდებოდა.**

პარტიების უმრავლესობა დასაქმებულია დემაგოგიით და ხალხის გაბრიყვებით. რასაკვირველია, თუ სინდისზე ხელს აიღებ, დემაგოგია უფრო ადვილია, ვიდრე თანამედროვე წარმოების ამუშავება.

200-ზე მეტი პარტიიდან 10 საპარლამენტო პარტიაა, 16 — არასაპარლამენტო, დანარჩენი კი — მცირერიცხოვანი და არაფრისმაქნისი.

ბუნებრივია, ყველა პარტიის მიზანი ხელისუფლებაში მოხვედრაა, მაგრამ მათ უმეტესობას კვალიფიკაცია არ ჰყოფნის.

ახლა რაც შეეხება დღევანდელ პარლამენტს.

**დღევანდელი პარლამენტი გავსებულია არაკვალიფიციური ადამიანებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი სამარცხვინო პარლამენტი ქვეყანას, ალბათ, არასოდეს ჰყოლია. პარლამენტის წევრობისთვის არ არის საჭირო არც კვალიფიკაცია, არც გამოცდილება, არც პასუხისმგებლობა.**

მთავარია ბელადის კეთილგანწყობა.

და მოდიან პარლამენტარებად სპორტსმენები, მსახიობები, რეჟისორები, ბიზნესმენები და ბელადის ნაცნობ-მეგობრები.

არ მინდა, დავაკნინო ზემოთ ნახსენები ხალხის ღირსება, მაგრამ ყველას თავისი მოქმედების სფერო უნდა ჰქონდეს.

ეს მაგონებს კომუნისტებისდროინდელ დეპუტატებს. იმხანად დეპუტატებად ირჩევდნენ (უფრო სწორად ნიშნავდნენ) მოწინავე ტრაქტორისტებს, მეჩაიეებს, მეშახტეებს, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ საპარლამენტო მუშაობაზე და მხოლოდ ხელის აწევა ევალებოდათ კენჭისყრისას, მაგრამ, დღევანდელი პარლამენტარებისგან განსხვავებით, ისინი სხდომებს ვერ გააცდენდნენ.

დღევანდელი პარლამენტი სამოთხეა დეპუტატებისთვის:

**საარაკო ხელფასი;**

**დამატებითი ხელფასი;**

**პრემია თითქმის ყოველთვიურად;**

**დეპუტატის იმუნიტეტი.**

და რაც მთავარია, მაპატიეთ გამოთქმისთვის, ე.წ. გულაობა, ანუ სხვადასხვა ქვეყანაში უმიზეზო-უსარგებლო ვიზიტები.

როგორ შეიძლება, პარლამენტის წევრი იყო და 4 წლის განმავლობაში ერთი სალი აზრი ან საკანონმდებლო აქტი არ შესთავაზო პარლამენტს?!

შეუძლია, საერთოდ არ იაროს პარლამენტში და ჩვენი „დამსახურებული“ პარლამენტარები მიიღებენ სამჯერ მეტ პენსიას, ვიდრე, ვთქვათ, მეშახტე ან პედაგოგი, ე. ი. 540 ლარს.

მოკლედ, **პარლამენტი ამქვეყნიური სამოთხეა ამ დაქცეულ-გაღატაკებულ ქვეყანაში.**

ამიტომაც მიისწრაფვის ათასი ჯურის ავანტიურისტი ასე პარანოიკულად პარლამენტში.

ეს სწრაფვა რომ ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, მომავალმა პარლამენტმა უნდა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი ხელფასი, დიდი-დიდი, 1000 ლარი. თუ ამ თანხას არ დასჯერდებიან, გამოინახება მათზე კვალიფიციური ხალხი. და კიდევ — ვიდრე პარლამენტარის სავარძელში მოკალათდებიან, უნდა გაიარონ ე.წ. ტესტირება, ანუ გამოცდა; დაწერონ თემები ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე.

დარწმუნებული ვარ, მათი უმეტესობა ამას ვერ შეძლებს.

შემდეგ, თუ ერთი წლის განმავლობაში არ გამოიჩინა თავი საკანონმდებლო საქმიანობით, მისი ადგილი უნდა დაიკავოს არჩევნებში მეორე ადგილზე გასულმა პიროვნებამ.

იქმნება პარადოქსული სიტუაცია: სახელმწიფო სტრუქტურების დაბალ რგოლებში სამსახური რომ დაიწყო, ტესტირება უნდა გაიარო, პარლამენტარობისას კი მსგავსი არაფერია.

**თუ პედაგოგს, რომელსაც დაახლოებით 300 ლარი აქვს ხელფასი, გამოცდებს აბარებინებენ, რატომ არ ხდება ასეთივე რამ კანონმდებლების მიმართ, რომლებსაც ხელფასი 3000 ლარი აქვთ?**

გულისამრევია დღევანდელი ვითარება: ყველა პარტია ხალხს ამქვეყნიურ სამოთხეს ჰპირდება: ზოგი — 300-ლარიან პენსიას, ზოგი — მინიმალური ხელფასის 500 ლარამდე მომატებას, ზოგი — 45 ათასი ადამიანის დასაქმებასა და გადასახადების შემცირებას, რომელიც, უბრალოდ, ნონსენსია.

პენსია 120 ლარით რომ გაიზარდოს, საჭიროა დაახლოებით 1 მილიარდი ლარი წლიურად. ჩვენ გვაქვს 3%-იანი ეკონომიკური ზრდა და, საინტერესოა, საიდან მოიტანენ ამ თანხას?

**ხალხს ასაქმებს ბიზნესი და არა ხელისუფლება. ვერც ერთი ბიზნესმენი — ვერც ქართველი და ვერც უცხოელი, ვერ განსაზღვრავს, რა მოხდება მომავალი 4 წლის განმავლობაში და ვერ იტყვის, რამდენ სამუშაო ადგილს შექმნის...**

ასეთივე სიტუაციაა აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

როგორ შეიძლება, მინისტრად დაინიშნოს ამ სფეროში დილეტანტი ახალგაზრდა?!

თავს იმართლებენ, — არ არის აუცილებელი, მინისტრი სპეციალისტი იყოს, ის პოლიტიკოსი ან მენეჯერი უნდა იყოსო.

ჩვენი მინისტრების უმრავლესობა კი, სამწუხაროდ, არც სპეციალისტია, არც მენეჯერი და არც პოლიტიკოსი. ან როგორ იქნება, როცა მინისტრობა მისი პირველი სამუშაო ადგილია?!

ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

მოკლედ, ქვეყანაში დომხალია და მხოლოდ ღმერთის წყალობის იმედად ცხოვრობს ჩვენი ხალხი.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ამ ეგრეთ წოდებულ დამატებით ხელფასზე.

არ ვიცი, ასეთი ანაზღაურება თუ არსებობს რომელიმე ქვეყანაში. უფრო მგონია, არა.

თუ შემოიღეს ხომ უნდა ვრცელდებოდეს სხვებზეც და არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებზე?!

ნუთუ, თუნდაც გამონაკლისის სახით, არ შეიძლება ის მიიღოს ან ექიმმა, ან მაშველმა, ან პედაგოგმა?

დღევანდელ საქართველოში ჩამოყალიბდა ბატონყმური წყობა — სოციალიზმიდან გადავედით ბატონყმობაზე. ღრმა უფსკრული გაჩნდა ხელისუფლებასა და ხალხს შორის და ეს კარგს არაფერს მოიტანს.

**დღევანდელი პარლამენტი გავსებულია არაკვალიფიციური ადამიანებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი სამარცხვინო პარლამენტი ქვეყანას, ალბათ, არასოდეს ჰყოლია. პარლამენტის წევრობისთვის არ არის საჭირო არც კვალიფიკაცია, არც გამოცდილება, არც პასუხისმგებლობა. მთავარია ბელადის კეთილგანწყობა**

**გურამ ამირანაშვილი**

## უკრაინელმა ნეონაცისტებმა მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრიეს

**კიევის ოლქის დასახლება ბოროვაიაში რადიკალებმა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებარე ტაძარი დაანგრიეს.** „ამ ვანდალური აქციის ორგანიზატორმა განაცხადა, რომ ეს ტარას შევჩენკოს ლოცვა-კურთხევით ჩაიდინა“, — იუწყება „მართლმადიდებელი ჟურნალისტების კავშირი“. ბოროვაიაში ტარას შევჩენკოს ძეგლთან გაიმართა კრება, შემდეგ კი რადიკალებმა და რამდენიმე ადგილობრივმა მცხოვრებმა მშენებარე ტაძრის დემონტაჟი დაიწყეს.



## თურქეთის იუსტიციის სამინისტრომ აშშ-ის შესაბამის უწყებას ფეთჰულაჰ გიულენის დაკავების მოთხოვნით ოფიციალურად მიმართა

**ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“ აღნიშნავს, რომ ანკარამ ვაშინგტონს გიულენის დაკავების შესახებ ოფიციალური მოთხოვნით პირველად მიმართა.** მუსლიმი მქადაგებელი ფეთჰულაჰ გიულენი, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ივლისში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობის ორგანიზებაში ადანაშაულებს, ამჟამად პენსილვანიის შტატში ცხოვრობს. გასულ თვეს სტამბოლის სასამართლომ მისი დაკავების ორდერი გასცა.

**რუსეთის ხელმძღვანელობას კარგად აქვს გააზრებული, რა საფრთხე დაემუქრება მას ნატოში საქართველოს შესვლის შემთხვევაში და ამიტომ აქ სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზებს არ გააჭაჭანებს, ისევე, როგორც 1962 წელს აშშ-მა არ დაუშვა კუბაზე საბჭოთა რაკეტების განლაგება.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უბლოკო სტატუსი თუ მიუმხრობელთა მოძრაობა?

## ღია წერილი «დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს» ლიდერს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს



**ქალბატონო ნინო!**

**უბლოკო სტატუსის მსურველი ქვეყნები 1961-დან 2012 წლის ჩათვლით ერთიანდებოდნენ საერთაშორისო პოლიტიკურ ალიანსში სახელწოდებით „მიუმხრობელთა მოძრაობა“ (NAM) სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის უარყოფის პრინციპით და კოლექტიურად წყვეტდნენ წარმოქმნილ პრობლემებს.**

2006 წლისთვის ამ ორგანიზაციაში გაწევრებული იყო 118 ქვეყანა, მათ შორის:

**1 — ევროპული (ბელარუსი);**

**38 — აზიური (აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, მონღოლეთი, ინდოეთი, ავღანეთი, იორდანია, ინდონეზია და სხვ.);**

**53 — აფრიკული (ალჟირი, ანგოლა, ეგვიპტე, ტუნისი, ლიბია და სხვ.);**

**26 — ლათინოამერიკული და კარიბის ზღვის ქვეყნები (კუბა, ნიკარაგუა, ჰონდურასი, ვენესუელა, ბოლივია და სხვ.).**

და ზემოაღნიშნული ქვეყნების ამ ორგანიზაციაში გაწევრების წინააღმდეგ არავინ წასულა.

ამ ორგანიზაციის მეთვალყურის სტატუსით სარგებლობენ **სომხეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ბრაზილია, მექსიკა** და სხვ.

ეს საერთაშორისო ორგანიზაცია კონსტრუქციულ როლს თამაშობდა მსოფლიოში მშვიდობის დამყარებასა და განმტკიცებაში, კოლონიური წნეხისგან განთავისუფლებული ქვეყნებისთვის დახმარებაში, მასში შემავალი სახელმწიფოების ინტერესების სასარგებლოდ დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებაში.

მაშინ, **როდესაც ნატოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები ამ ბლოკის წევრობაზე დელიკატურად უარს გვეუბნებიან, რა არგუმენტებს ეყრდნობიან იმ პარტიების ლიდერები, რომლებიც ასე დაჟინებით და კატეგორიულად, მოსახლეობის აზრის იგნორირებით, მისგან დაუკითხავად, მაგრამ ხალხის სახელით, მოითხოვენ საქართველოს გაწევრებას სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში?**



**მათ ავიწყდებათ, რომ ამ ორგანიზაციის წევრობა ნიშნავს ქვეყნის საომარი მოქმედებების თეატრად გადაქცევას, ანუ საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას ომის დროს ამ ორგანიზაციის სასარგებლოდ.**

ნატოში გაწევრების მომხრეებს ავიწყდებათ ან არ შეუძლიათ რეალურად შეაფასონ საერთაშორისო და რეგიონში შექმნილი ვითარებები.

მათ ვერც კი გაათვითცნობიერეს, როგორ აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა იზოლირებული კავკასიაში და, საერთოდ, რეგიონში.

ისინი ვერც იმას ამჩნევენ, რომ მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, საქართველო აბრეშუმის გზის მიღმა აღმოჩნდეს და ე.წ. დერეფნის სტატუსიც დავკარგოთ.

ნატოს მომხრეებს დღემდე არ აუხსნიათ მოსახლეობისთვის, რა სურს ჩვენგან რუსეთს სინამდვილეში.

მაგრამ **რუსეთის ხელმძღვანელობას კარგად აქვს გააზრებული, რა საფრთხე დაემუქრება მას ნატოში საქართველოს შესვლის შემთხვევაში და ამიტომ აქ სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზებს არ გააჭაჭანებს, ისევე, როგორც 1962 წელს აშშ-მა არ დაუშვა კუბაზე საბჭოთა რაკეტების განლაგება.**

იმ პერიოდში მსოფლიო რეალურად დადგა ბირთვული ომის საფრთხის წინაშე, მაგრამ ორივე ქვეყნის პირველმა პირებმა იგრძნეს პასუხისმგებლობა კაცობრიობის წინაშე, ეყოთ გონიერება და შეთანხმებას მიაღწიეს:

*** საბჭოთა კავშირმა ცნო მეზობლობის ფაქტორი, კუბიდან რაკეტები გაიტანა და კუბა ვარშავის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არ გააწევრა. ამ ქმედებით მან ამერიკა „ვალში დატოვა“;**

***ამერიკამ თავი დაანება კუბის წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციებს და თურქეთში განლაგებული რაკეტების დემონტაჟი დაიწყო.**

იმხანად აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯონ ფ. კენედიმ** წარმოთქვა ისტორიული ფრაზა:

„ჩვენ, ყველანი, ერთ მიწაზე ვცხოვრობთ და ერთი ჰაერით ვსუნთქავთ“.

ამერიკამ კუბის წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციებს თავი კი დაანება, მაგრამ ეს ქვეყანა ეკონომიკურ ბლოკადაში მოამწყვდია, ეგონა, რომ ასე მოიშორებდა თავიდან მისთვის მოუხერხებელ მთავრობას.

მაგრამ შეცდა.

პატრიოტი, გონიერი და გამბედავი ლიდერების ხელმძღვანელობით, აგრეთვე, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების (მათ შორის „მიუმხრობელთა მოძრაობის“) დახმარებით კუბამ გაუძლო ბლოკადას და ქვეყანა, რომელიც 1959 წლამდე გარყვნილებისა და ნარკომანიის ბუდეს ჰგავდა, სახელმწიფოდ იქცა — დამყარდა წესრიგი, აღორძინდა და განვითარდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა, სპორტი. დიდი ყურადღება დაეთმო სოციალურ საკითხებს. კუბა გახდა „მიუმხრობელთა მოძრაობის“ აქტიური წევრი (1979 და 2006 წლებში იყო ამ ორგანიზაციის კონფერენციების მასპინძელი ქვეყანა), მისაბაძი მაგალითი მრავალი ქვეყნისთვის და ეს მოახერხა 20 წელზე ნაკლებ დროში.

კუბის მოსახლეობამ 10 წლის (1979-1980 წლებში) განმავლობაში 1 მილიონით მოიმატა.

**ცნობისათვის: საქართველოს მოსახლეობა 1989 წელს 5 მილიონ 449 ათას ადამიანს ითვლიდა. შობადობისა და მოკვდავობის მაჩვენებელი, 1000 კაცზე გათვლით, შესაბამისად — 17,3 და 9,0 იყო. ტერიტორია — 69,7 ათასი კვ.კმ. მათ შორის აფხაზეთის — 8,6 ათასი კვ.კმ; ე.წ. სამხრეთ ოსეთის — 3,9 ათასი კვ.კმ; ორივე ერთად კი — 12,5 ათასი კვ.კმ, ანუ საერთო ფართობის 17,93% და არა 20% ან 22%, როგორც ამას ჩვენი „მათემატიკოსები“ ანგარიშობენ.**

ქალბატონო ნინო!

ა.წ. 30 აგვისტოს, თქვენი გუნდის ხელმძღვანელობისა და პარტიის სამოქმედო პროგრამის წარდგენისას, განაცხადეთ, რომ უბლოკო სტატუსის მქონე ქვეყანასა და ნეიტრალურ სახელმწიფოს შორის დიდი განსხვავებააო.

მაშინ რა განსხვავებაა უბლოკო სტატუსის მქონე და „მიუმხრობელთა მოძრაობის“ წევრ ქვეყნებს შორის?

დღეს ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს.

2012 წლის შემდეგ მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება უარესობისკენ შეიცვალა.

**ალექსანდრე ტოლსტოი**

**როდესაც ნატოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები ამ ბლოკის წევრობაზე დელიკატურად უარს გვეუბნებიან, რა არგუმენტებს ეყრდნობიან იმ პარტიების ლიდერები, რომლებიც ასე დაჟინებით და კატეგორიულად, მოსახლეობის აზრის იგნორირებით, მისგან დაუკითხავად, მაგრამ ხალხის სახელით, მოითხოვენ საქართველოს გაწევრებას სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში? მათ ავიწყდებათ, რომ ამ ორგანიზაციის წევრობა ნიშნავს ქვეყნის საომარი მოქმედებების თეატრად გადაქცევას, ანუ საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას ომის დროს ამ ორგანიზაციის სასარგებლოდ**



# ჯანსაღი ცხოვრების ხუთი წესი, რომლებსაც ლეო ბოკერია გვთავაზობს

**მსოფლიოში სახელგანთქმულმა ბავშვთა კარდიოქირურგმა ლეო ბოკერიამ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში „სანამ ცოცხალი ვარ...“, რომელიც 2014 წლის 3 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა, ჯანდაცვის პრობლემებთან ერთად ისაუბრა სპარტანულ ცხოვრების წესზე, რომელსაც იგი ერთგულად იცავს. დღეს გთავაზობთ მის რჩევა-დარიგებას ჯანსაღი ცხოვრების ხუთი წესის შესახებ. თუ დაიცავთ, მოგებული დარჩებით.**

### I. მოძრაობა

— არა მხოლოდ მე, — ამბობს ბატონი ლეო, — არამედ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასაც მიაჩნია, რომ თითოეულმა ადამიანმა ყოველდღიურად უნდა გაიაროს არანაკლებ 10 ათასი ნაბიჯი 40 წუთის განმავლობაში, ნორმალურ, უცვლელ ტემპში. არ უნდა იჩქაროთ, არ უნდა ირბინოთ. ეს უნდა იყოს გასეირნება. კარგი იქნება, თუ სიარულის დაწყებამდე გაიზომავთ წნევას და დაითვლით პულსს. **ასეთი სეირნობა დადებითად მოქმედებს სუნთქვაზე, გულის რიტმზე, მშვიდ ტემპში ავარჯიშებს კუნთებს, სისხლძარღვებს.**

### II. ოპტიმიზმი

— ყოველ დილას გაღიმებით ვიწყებ. თითქოს არაფერია, მაგრამ ძალიან მეხმარება, საჭირო განწყობილებას უმალვე მიქმნის, რომელიც მთელ დღეს გამყვება ხოლმე. გაუღიმე შენი ოჯახის წევრებს, ახლობლებს, საკუთარ თავს სარკეში. და განწყობილება უმალვე გამოგისწორდება. მე, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ოჯახი მყავს — ყველას გვიყვარს ერთმანეთი და გვჯერა მომავლის. ძალიან მახარებს, რომ ჩემი ორივე ქალიშვილი, ორივე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჩემი შვილიშვილები ოპტიმისტები არიან. დამტკიცებულია: **ოპტიმისტები ცხოვრობენ დიდხანს!**

### III. მეგობრები

— ჩვენ ვაწყობთ „გასეირნებას ექიმთან ერთად“. ამ დროს ადამიანები ინტერესების მიხედვით ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან, განიხილავენ პრობლემებს, მეგობრდებიან. მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე უფრო შესანიშნავია ჩვენს არცთუ მშვიდ ცხოვრებაში. მე **რამდენიმე მეგობარი მყავს, რომლებიც ნებისმიერ დროს დამეხმარებიან. ეს მამშვიდებს და მამხნევებს.**

### IV. წონის გაკონტროლება

— ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 60-იანი წლების დასაწყისში, კოსტიუმი შევიკერე და ამას წინათ ტანსაცმელს რომ ვათვალიერებდი, ვიპოვე. სიმპათიურად გამოიყურება. ჩავიცვი და მომერგო. სამსახურშიც წავედი ამ კოსტიუმში გამოწყობილი. ვერავინ შეამჩნია, რომ წარსულიდან იყო... ამას იმიტომ გიყვებით, რომ მთელი თქვენი ცხოვრების განმავლობაში ერთი და იგივე წონა შეინარჩუნოთ. **ზომიერად, მრავალფეროვნად იკვებეთ და გული მადლობას გეტყვით.**

### V. ცხოვრების მიზანი

— ჩემი პროფესიისთვის, 40 წელიწადია, არ მიღალატია. მიყვარს. ვცდილობ, გავაკეთო ყველაფერი, რისი ძალაც შემწევს, რათა ბავშვთა კარდიოლოგიაში ყველაფერი კარგად იყოს აწყობილი. პრობლემები, რა თქმა უნდა, არის. ისინი, უწინარესად, დაფინანსებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ შესანიშნავი ექიმები გვყავს, სანიმუშო პროფესიონალები, და ყოველთვის მახარებს, რომ ჩემმა შვილიშვილმა გოგონებმა ბევრი რამ იციან გულის აღნაგობის, კარდიოლოგიის შესახებ; იციან ისიც, რა მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა. მე ვამაყობ ჩემი ცხოვრების საქმით და ჩემი მონაგარიც, აგრეთვე. ეს მმატებს ძალას თითოეული ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არქეოლოგებმა ვიქტორ და მერი კოტლიაროვებმა ყურადღება მოჩუქურთმებულ ქვებზე გამოსახულ ნაცისტურ სვასტიკაზე გაამახვილეს და მიიჩნიეს, რომ ეს სწორედ ის გამოქვაბულია, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები ეძებდნენ. თუმცა ცნობილია, რომ მათ ამ ადგილამდე ვერ მიაღწიეს. „ჩვენ უკვე ვიცით, რომ ომის დროს ყაბარდო-ბალყარეთს ეწვია მისტიკური ორგანიზაცია „ანანერბე“ („წინაპრების მემკვიდრეობა“). ჰიტლერის საიდუმლო მისიიდან გამომდინარე, ორგანიზაცია წმინდა გრაალის თასს ეძებდა, რომელიც თითქოს კავკასიის ერთ-ერთ გამოქვაბულში ინახებოდა,“ — განაცხადა ვიქტორ კოტლიაროვმა.**

# რაზე მეტყველებს დეფორმირებული თავის ქალები?

**ყაბარდო-ბალყარეთში, სოფელ ზაიუკოვოს მახლობლად სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგებმა გახსნეს სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა ჩონჩხი ანომალურად დეფორმირებული ფორმის თავის ქალით.**



რუსული გეოგრაფიული საზოგადოების ხელმძღვანელის — **ვიქტორ კოტლიაროვის** ხელმძღვანელობით უძველეს ნეკროპოლში გათხრები 2011 წლიდან მიმდინარეობს. ბაკსანსკის რაიონის სოფელ ზაიუკოვოსთან ახლოს იპოვეს იდუმალი გამოქვაბული, რომელიც 80 მეტრის სიღრმისაა და მრავალი ტალანი სერავს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მღვიმე ხელოვნური წარმოშობისაა. ამ მოსაზრებას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ გამოქვაბულში დამუშავებული ქვები და ბათქაშის ნარჩენებია ნაპოვნი.

არქეოლოგებმა ვიქტორ და მერი კოტლიაროვებმა ყურადღება მოჩუქურთმებულ ქვებზე გამოსახულ ნაცისტურ სვასტიკაზე გაამახვილეს და მიიჩნიეს, რომ ეს სწორედ ის გამოქვაბულია, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები ეძებდნენ. თუმცა ცნობილია, რომ მათ ამ ადგილამდე ვერ მიაღწიეს.

„ჩვენ უკვე ვიცით, რომ ომის დროს ყაბარდო-ბალყარეთს ეწვია მისტიკური ორგანიზაცია „ანანერბე“ („წინაპრების მემკვიდრეობა“). ჰიტლერის საიდუმლო მისიიდან გამომდინარე, ორგანიზაცია წმინდა გრაალის თასს ეძებდა, რომელიც თითქოს კავკასიის ერთ-ერთ გამოქვაბულში ინახებოდა,“ – განაცხადა ვიქტორ კოტლიაროვმა.

კოტლიაროვის თქმით, მთის წვერზე ამომავალი მაღარო შედგება ორი უზარმაზარი ქვის ფილებისგან, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად დევს, მათ შორის კი ჩაყრილია პატარა ზომის ქვები. ამ ფილების სიგრძე 134 სმ-ია, ხოლო სიგანე — 43. ამ მასშტაბებიდან გამომდინარე, მათი გადაადგილება ყველას არ შეუძლია. შემდეგ კვადრატული მაღაროა, რომლის სიგრძე 16 მეტრია. მას მოსდევს ორი გადასასვლელი და ათმეტრიანი მაღაროს ბოლოს უზარმაზარ, 36 მეტრი სიგრძის დარბაზში მოხვდებით. მისი ერთი კედელი ქვისგან სახელდახელოდ დამზადებული ე.წ. ბლოკითაა მოპირკეთებული.

უნდა ითქვას, რომ ამჯერად აქ ნაპოვნი ჩონჩხები ყველაზე კარგადაა შემონახული.

აი რას ამბობს კოტლიაროვი: **„ერთი ჩონჩხი 16 წლის გოგონასი უნდა იყოს. ქალა ძალიან კარგადაა შენახული: მასზე არის ყველა კბილიც კი. სამარხი უნდა იყოს ჩვენს ერამდე III-IV საუკუნეებისა. მაგრამ ვის ეკუთვნოდა მეორე გრძელთავიანის ქალა, ამის თქმა სათანადო შესწავლის გარეშე შეუძლებელია“.**

კოტლიაროვის აზრით, უჩვეულო ფორმის თავის ქალაში გასაკვირი არაფერია. ბავშვისთვის თავის მჭიდროდ შეხვევის ტრადიცია მისთვის წაგრძელებული ფორმის მისაცემად ძველ დროში მიღებული იყო და ნიშანი იყო კეთილშობილური წარმომავლობისა, ხოლო ძველ ეგვიპტეში სილამაზის ეტალონად ითვლებოდა.

როგორც არქეოლოგები ამბობენ, აზოვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში თავის ქალის დეფორმირების ჩვეულება დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით თარიღდება და ის თანამედროვე დასავლეთ ევროპიდან შემოვიდა. მსგავსი წესჩვეულებების აღწერა ხომ ჰიპოკრატეს ნაწერებშიც გვხვდება.



# ყველაზე ფართო გზატკეცილი

**მსოფლიოში ყველაზე ფართო გზატკეცილი მდებარეობს ონტარიოში (კანადა). ყველაზე ფართო ადგილზე ტრასას 25 სამძრაო ზოლი აქვს.**

# არგენტინის ჭაობებში იდეალურად მრგვალი მბრუნავი კუნძული აღმოაჩინეს

**არგენტინის ჭაობებში არსებული უცნაური კუნძული თავდაპირველად Google Maps-ში იპოვეს და არტეფაქტად ჩათვალეს, რომელიც ადგილის არასწორი სკანირების გამო წარმოიშვა, მაგრამ მოგვიანებით გაარკვიეს, რომ ეს ასე არ არის — კუნძული მართლაც არსებობს და ამასთანავე, ის იდეალურად მრგვალი და მბრუნავია.**





ის ამერიკელმა ინჟინერმა **რიჩარდ პეტრონიმ** აღმოაჩინა წლეულს და მაშინვე კოლეგებს — **სერჟიო ნესპილერსა** და **პაბლო მარტინესს** დაუკავშირდა. შემდეგ კი სამივე ერთად ექსპედიციაში გაემართა საიდუმლოებით მოცული ადგილისკენ.

კუნძული არგენტინაში მდებარეობს, ჭაობიანი მდინარე პარანის დელტაში. ადგილი იმდენად ჭაობიანი იყო, რომ პირველ ჯერზე რიჩარდმა და მისმა მეგობრებმა კუნძულამდე ვერ მიაღწიეს; მეორედ კი ვერტმფრენი გამოიყენეს და შეძლეს ამ უცნაური ადგილის ნახვა.

კუნძულის დიამეტრი 118 მეტრია. როგორც გაირკვა, ადგილობრივებმა ამ კუნძულის არსებობა, დიდი ხანია, იციან, მაგრამ მასთან მიახლოებას არ რისკავენ, რადგან თვლიან, რომ ის ღმერთების უძველესი ადგილია.

Google Maps-ის არქივის შესწავლის შემდეგ **რიჩარდ პეტრონი** მივიდა დასკვნამდე, რომ Google Maps-ის სერვისის შექმნის მომენტში, 2003 წელს, კუნძული არსებობდა. ხოლო თანამგზავრიდან სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოები ადასტურებს, რომ კუნძული ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო და იცვლის მდებარეობას. ამჟამად რიჩარდი მესამე ექსპედიციისთვის ემზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სპეციალური გეოლოგიური მოწყობილობებით, რათა შეისწავლოს „თვალი“ (ასე ეწოდება ამ კუნძულს).

უფოლოგები თვლიან, რომ კვლევების ჩატარება არ არის საჭირო. ისინი ამის გარეშეც დარწმუნებულნი არიან, რომ კუნძული — ეს არის კოსმოსური ხომალდის სახურავის ლუკი ან უცხოპლანეტელთა წყალქვეშა ბაზის საიდუმლო შესასვლელი.



# მეთევზე 10 წლის განმავლობაში საწოლის ქვეშ ინახავდა 34-კილოგრამიან მარგალიტს

**უბრალო ფილიპინელი მეთევზე პატარა ქალაქ პუეტრო-პრინსესიდან ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის მიერ ნაპოვნი ასე თუ ააფორიაქებდა მსოფლიოს.**

დიდი ამბავი! კუნძულ პალავანის სანაპიროზე იპოვა მოლუსკის გიგანტური ნიჟარა, რომელშიც აღმოჩნდა 34 კგ-იანი მარგალიტი. მეთევზემ ის შინ წაიღო და როგორც თილისმა, თავისი საწოლის ქვეშ შეინახა — იქნებ, წარმატებები მოეტანა. ამასობასი 10 წელიწადი გავიდა. მეთევზეს რომ სცოდნოდა, მარგალიტი, რომელიც მისი საწოლის ქვეშ 10 წელი იდო, ყველაზე უხეში გათვლით, 100 მლნ დოლარი მაინც ღირდა, ნეტა როგორ მოიქცეოდა?!

ვინ იცის, ეს საოცარი მარგალიტი კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა მეთევზის ღარიბულ ხის სახლში, რომ არა ხანძარი, რომელმაც აიძულა ის, საცხოვრებელი ადგილი გამოეცვალა... როდესაც მეთევზემ ადგილობრივ ტურიზმის სამსახურს მარგალიტი გადასცა, მათ მეტყველების უნარი დაკარგეს.

მარგალიტის ზომებია: 30,5 სმ სიგანეში და 67 სმ სიგრძეში; წონა კი, როგორც უკვე ვთქვით, 34 კგ-ია.

პუერტო-პრინსესის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ეს მარგალიტი ტურისტებისთვის მოსაზიდად ნამდვილი მაგნიტი გახდება, რაც დადებითად აისახება ქალაქის პრესტიჟზე. ასეთ განძს ადამიანები ყოველდღე ხომ არ პოულობენ.

2013 წლამდე რეკორდსმენად ითვლებოდა ოსტინის მთის ფიჭვი (PINUS LINGAEVA), რომელიც გავრცელებულია კალიფორნიის მთებში. მისი წლოვანება 4845 წელია. მოგვიანებით კალიფორნიის მთებში მეცნიერებმა ახალი რეკორდსმენი იპოვეს — ისიც ფიჭვი, რომელიც 5062 წლისაა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ხანდაზმული ხეები დედამიწაზე

**ხეები დედამიწაზე დაახლოებით 385 მილიონი წლის წინათ გაჩნდა. დღეს ისინი ჩვენს პლანეტაზე მომხდარი ცვლილებების ცოცხალი არქივია. მეცნიერები მრავალი წლის განმავლობაში სვამდნენ კითხვას: ჩვენამდე მოღწეული ხეებიდან რომელია ყველაზე ხანდაზმული?**

2013 წლამდე რეკორდსმენად ითვლებოდა **ოსტინის მთის ფიჭვი** (Pinus lingaeva), რომელიც გავრცელებულია კალიფორნიის მთებში. მისი წლოვანება 4845 წელია.

მოგვიანებით კალიფორნიის მთებში მეცნიერებმა ახალი რეკორდსმენი იპოვეს — ისიც ფიჭვი, რომელიც 5062 წლისაა.



კალიფორნიული ფიჭვი

თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე კი ყველაზე ხანდაზმული ხე 1075 წლის **ფიჭვია** (Pinus heldreichii), რომელიც საბერძნეთში ხარობს. მას **ადონისი** უწოდეს სილამაზისა და ახალგაზრდობის ბერძენი ღმერთის პატივსაცემად. ბუნებრივია, ევროპაში მასზე ხნიერი ხეებიც იქნება, მაგრამ მეცნიერებს მათი პოვნის სიამოვნება ჯერ კიდევ წინ აქვთ. თუნდაც ჩრდილოეთ უელსში პატარა ეკლესიასთან მდგარი **უთხოვარი** ავიღოთ. მისი ასაკი, მეცნიერთა აზრით, 4000 წელია, ხის მაქსიმალური დიამეტრია 4 მეტრია.



ბერძნული ფიჭვი



შვედური ნაძვი

**ცნობისთვის: ურთხელი, ანუ უთხოვარი (ლათ. Taxus baccata) წიწვოვანი მცენარეების ურთხლისებრთა ოჯახის, ურთხელის გვარის მცენარეა მოწითალო-მოყავისფრო თხელი ქერქით. ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან ბაცი, ბრტყელი, ხაზურა და შიშველი წიწვები 2-3,5 სმ სიგრძისა და 2-2,5 მმ სიგანისაა. სიმაღლე 10–20 მ, განსაკუთრებულ შემთხვევაში იზრდება 28 მ სიმაღლის. იზრდება ძალიან ნელა, მაგრამ ხანგრძლივად ცოცხლობს. საუცხოოა გამწვანებისათვის. საჭმელად ვარგისია როგორც რბილი თანათესლი, ასევე თესლის გულიც, ქერქისგან ხდიან წებოს.**

თუკი ავიღებთ ცალკეულ კლონურ კოლონიებს, ამ შემთხვევაში რეკორდი **ნორვეგიულ ნაძვს** ეკუთვნის, რომელიც ცნობილია „ძველი ტიკოს“ სახელით. მეცნიერთა აზრით, ამ ხის ასაკი, რომელიც შვეციის მთებში ხარობს, დაახლოებით 9550 წელია. ნაძვებისთვის დამახასიათებელია რეპლიკაცია... (რეპლიკაცია (ლათ. განახლება) — დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის შვილეული მოლეკულის სინთეზის პროცესი დნმ-ის მშობლიური მოლეკულის მატრიცაზე. მშობლიური უჯრედის შემდგომი გაყოფის შედეგად თითოეული შვილეული უჯრედი იღებს დნმ-ის მოლეკულის ერთ ასლს, რომელიც საწყისი მშობლიური უჯრედის დნმ-ის იდენტურია. ეს პროცესი უზრუნველყოფს თაობიდან თაობაზე ზუსტი გენეტიკური ინფორმაციის გადაცემას. დნმ-ის რეპლიკაციას ახორციელებს რთული ფერმენტული კომპლექსი, რომელიც შედგება 15-20 სხვადასხვა ცილისგან, რომელთაც რეპლისომები ეწოდება).

ამ უძველესმა მცენარეებმა საკუთარი თავის კლონირება 9500 წლის განმავლობაში მოახდინა. შვეციის მთებში ასევე არის ნაძვები, რომლებიც 8000 წელს ითვლის.

დამეთანხმებით, რომ ამ ხეებთან შედარებით მსოფლიოს უხნესი კუ, რომელიც 183 წლისაა, უბრალოდ, მოზარდია.

# რობოტი-მაიმუნი დაზარალებულთა დასახმარებლად

**რობოტიზებული ტექნიკა, მათ შორის დრონი, კარგა ხანია, გამოიყენება ავტოკატასტროფების დროს, რთულად მისასვლელ ადგილებზე მედიკამენტების მისაწოდებლად და დაზარალებულთა მოსაძებნად. ახლახან კანადელმა გამომგონებელმა შარლ ბომბარდემ ალტერნატიული საჰაერო უპილოტო რობოტი-მაიმუნი გამოიგონა.**

რობოტი-მაიმუნი ისე გადაადგილდება ხეებზე, როგორც ნამდვილი პრიმატი. გარეგნობით კი საშუალო ტანის შიმპანზეს ჰგავს და უკვე სახელიც აქვს — როკო. მისი გამოყენება შეიძლება ტყის მასივებში ან ისეთ რაიონებში, სადაც ჩვეულებრივი მფრინავი დრონები ვერ შედიან.

რობოტ როკოს აქვს 2 წყვილი კიდური. „ფეხები“ ამორტიზაციის სისტემით, ძირითადად, გადაადგილებას ემსახურება; „ხელები“ ტელესკოპურია და მოძრავი, რობოტი პრაქტიკულად იმეორებს შიმპანზეს ანატომიას.

რობოტიზებული შიმპანზეს შექმნის იდეა კანადელ გამომგონებელს მაიმუნებზე დოკუმენტური ფილმის ცქერისას გაუჩნდა.





რობოტი მაიმუნი ჩვეულებრივი ნავიგაციური სისტემის საშუალებით (GPS) გადაადგილდება, ხოლო ორიენტირებაში ეხმარება მოძრაობის მრიცხველის, ულტრაბგერითი და სითბური სისტემების სენსორები. რობოტი შეიარაღებულია ინფრაწითელი კამერებითა და ღამის ხედვის კამერით; ამოცნობის სისტემა კი ისე მუშაობს, რომ შეუძლია ადამიანი გარკვეული სახეობის ცხოველისგან გაარჩიოს და აუცილებლობის შემთხვევაში უთვალთვალოს მას.

შესაძლებელია რობოტის მაიმუნივით შემოსვა ხელოვნური ბეწვით. ამ სახით მისი ველურ ცხოველებზე დასაკვირვებლად გაგზავნა ძალიან დაეხმარება ზოოლოგებს პრიმატებისა და ფაუნის სხვა წარმომადგენლების შესასწავლად მათ რეალურ საცხოვრებელ გარემოში.

# ვაშლის მოსავალს რობოტი აიღებს



**ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ, რომ რობოტები მალე მთლიანად ჩაანაცვლებენ ადამიანის შრომას. თანაც ეს მომავალი ძალიან ახლოსაა — უფრო ჩქარა დგება, ვიდრე წარმოვიდგენდით.**

არც ისე დიდი ხანია, ადამიანმა ვაშლის საკრეფი რობოტი გამოიგონა, რომლის სერიული წარმოება უმოკლეს ხანში დაიწყება. მასზე მუშაობს კომპანია Abudant Robotics-ი. რობოტს ჯერ სახელი არ აქვს, მაგრამ ის მართლაც შთამბეჭდავია — საკმაოდ სწრაფად შეუძლია ვაშლის დაკრეფა — 1 წამში წყვეტს 1 ნაყოფს, დამოუკიდებლად გადაადგილდება ხიდან ხემდე და ამასთანავე, ნაყოფს არ აზიანებს.

გამომგონებელთა აზრით, რობოტის შექმნა ისე, რომ ხილი არ გასრისოს, ერთგვარი გამოწვევა იყო პროექტის ინჟინერთათვის, მაგრამ მათ გამოსავალი სწრაფად იპოვეს — ესაა ვაკუუმური კრეფა.

თავისი არსით ეს მეთოდი რაღაცით ჰგავს მტვერსასრუტით სახლის დალაგებას; იმ განსხვავებით, რომ რობოტი გაცილებით ჭკვიანია მტვერსასრუტზე. მილით ნაყოფის შესრუტვის შემდეგ ის ამორტიზებულ ქსელში ხვდება, რათა საერთო რეზერვუარში გადასვლისას ხილი ერთმანეთს არ მოხვდეს და არ დაიბეჟოს. ამას გარდა, რობოტს შეუძლია დაზიანებული ხეების ამოცნობა (მაგ., პეპლით) და მათთვის გვერდის ავლა, ასევე შეუძლია ჭიანი, დამპალი ან სხვა მხრივ დაზიანებული ნაყოფის შემჩნევაც.

მომავალში მსგავსი რობოტის გამოყენებით არამხოლოდ ვაშლის მოსავალს აიღებენ. პროექტით უკვე დაინტერესდნენ ფერმერული მეურნეობები ავსტრალიასა და აშშ-ში.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ზოგჯერ ოკეანეში წარმოიქმნება „რძიანი ზღვა“. ეს საოცარი სანახაობაა — ოკეანის საკმაოდ ვრცელი ფართობი ანათებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის ამსახველი ბევრი ფოტოსურათი არსებობს, მისი წარმოშობის მიზეზი მეცნიერებისთვის დღემდე უცნობია. ერთ-ერთი ვერსიით, „რძიანი ზღვა“ წარმოიშობა ლუმინესცენციური ბაქტერიების (VIBRIO HARVEYI) გამო, რომლებიც იწვევენ ხანგრძლივ ნათებას წყალზე.

# მსოფლიო ოკეანის უცნაურობები

**მსოფლიო ოკეანე თავის სიღრმეში უამრავ საინტერესო და უცნაურ რამეს ინახავს. სწორედ რამდენიმე მათგანზე გვექნება ამჯერად საუბარი.**



## ბიმინის გზა

**ბიმინის გზა, ანუ როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, ბიმინის კედელი ბაჰამის კუნძულებთან მდებარეობს.**

ვინ და რისთვის ააგო იგი?

ამ კითხვაზე პასუხის ძებნაში გადის ათწლეულები. ადგილობრივი მცხოვრებნი, მეცნიერები, ექსტრასენსები მიიჩნევენ, რომ ის ადამიანის ხელითაა შექმნილი და ნაშთია იმ უძველესი კონტინენტისა, რომელზეც ცხოვრობდნენ ატლანტები.

არავინ იცის, საით მიდის ოკეანის წყალქვეშა გზა. მისი სიგრძე 500 მეტრია, სიგანე — 90 მეტრი. ზოგიერთი ქვის ფილის სიგანე 6 მეტრია. გზა 3-დან 9 მეტრის სიღრმეშია წყალში. ასე რომ, მისი დანახვაც შეიძლება.

გეოლოგი **ეჟენ შინი** ვარაუდობს, რომ „გზა“ ზღვის მოქცევის შედეგად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით წინ წამოიწია ვერსია, რომ „გზა“ შედგება ზღვის ნიჟარებისა და ქვიშისგან, რომლებიც ასეული წლების განმავლობაში დაიპრესა ამ ადგილას.

ბუნებას არ შეუძლია ასე საგულდაგულოდ დაამუშავოს ქვა, ეს მხოლოდ ადამიანს ხელეწიფება, თანაც რთული ხელსაწყოების დახმარებით — ასე თვლიან ისინი, ვისაც ეს საოცრება ადამიანის ხელით შექმნილად მიაჩნია. **ქვის ფილების ნიმუშები გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გაიგზავნა. აღმოჩნდა, რომ ნიმუშების ასაკი 12-14 ათასი წელია — იმაზე ორჯერ მეტი, ვიდრე ეგონათ.**

ზოგი დარწმუნებულია, რომ ადამიანის მიერ დამუშავებული ქვები გემებიდან გადაყრილი ბალასტია. მაგრამ მაშინ რით აიხსნება მათი ერთ ადგილას თავმოყრა და აკურატულად დალაგება ზღვის ფსკერზე ისე, რომ გზას დამგვანებოდა?

ექსპედიციები, რომლებიც ცდილობდნენ, შეესწავლათ „გზა ატლანტიდისკენ“, წარუმატებელი აღმოჩნდა. ვერც ერთმა წყალქვეშა არქეოლოგმა ვერ შეძლო ქვის ბლოკების საძირკვლამდე ჩაღწევა. ამას ხელს უშლის ძლიერი წყალქვეშა დინებები და მორევი. ამას გარდა, ამ წყლებში ბევრი თეთრი ზვიგენია — განსაკუთრებით საშიში ადამიანისთვის. მას შემდეგ, რაც აქ გაგზავნილი 2 ექსპედიცია უგზოუკვლოდ გაქრა, წყალქვეშა არქეოლოგები ცოტათი მიწყნარდნენ.



## წყალქვეშა ჩანჩქერები

**შეიძლება არსებობდეს ჩანჩქერი წყალში? შეიძლება და თანაც ზოგს ისეთი ძალა აქვს, რომ დიდი ხომალდის დანგრევაც კი შეუძლია.** ჯერჯერობით მსოფლიო ოკეანეში 7 ასეთი ჩანჩქერია აღმოჩენილი, თუმცა მათი რაოდენობა შეიძლება კიდევ გაიზარდოს.

ცნობილია, რომ მსგავსი ჩანჩქერების წარმოქმნას იწვევს ოკეანის სხვადასხვა ნაწილში ტემპერატურისა და მარილიანობის სხვადახვაობა, ასევე ზღვის ფსკერის რთული რელიეფი.

ყველაზე დიდი და ცნობილი წყალქვეშა ჩანჩქერი არის დანიის სრუტის ფსკერზე, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს გრელანდიასა და ისლანდიას. მისი სიმაღლე დაახლოებით 4 ათასი მეტრია. ის აბრუნებს დაახლოებით 175 მლნ კუბ ფუნტ წყალს. ეს 350-ჯერ მეტია იმ წყლის რაოდენობაზე, რომელიც მოაქვს მიწისზედა ჩანჩქერ გუაირას ბრაზილიისა და პარაგვაის საზღვარზე. ეს ჩანჩქერი კარგა ხანს ითვლებოდა ყველაზე წყალუხვ მიწისზედა ჩანჩქერად.





## იონაგუნის წყალქვეშა პირამიდები

**სად შეიძლება იპოვო პირამიდები, თუ არა ეგვიპტეში? შეიძლება გსმენიათ პირამიდებზე პერუში, სუდანში ან დანგრეულ პირამიდებზე ძველ მესოპოტამიასა (ერაყი) და ირანში...**

ბუნებრივია, გეცოდინებათ, ასევე, რომ ეს სია გაიზარდა 1987 წელს, როდესაც ტუროპერატორმა და მყვინთავმა **კიხაჩირო აპატაკემ** კუნძულ იონაგუნის მახლობლად, ოკინავის სამხრეთით, მასიური ქვის ნაგებობა აღმოაჩინა.

**ეს არის ტერასული პირამიდა; სავარაუდოდ, შექმნილია მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით, თანაც წინარეისტორიულ პერიოდში.** მაგრამ ის დიდ ყურადღებას არ იქცევდა მანამ, სანამ ექსპერტებმა და მოყვარულმა მყვინთავებმა არ გამოაქვეყნეს ფოტოები და არ დაიწყეს გათხრები.

დოქტორი **მასააკი კიმურა**, რიუკიუს უნივერსიტეტის გეოლოგი, 18 წელია მუშაობს, რათა გაზომოს და რუკაზე დაიტანოს იონაგუნის კომპლექსის პარამეტრები. ის შედგება შენობათა უზარმაზარი ქსელისგან, რომელთა შორისაა ციხესიმაგრეები, ერთმანეთთან რთული სისტემის გზებითა და საგზაო მიმოსვლით დაკავშირებული.

ნათელია, რომ უძველესი ნაგებობა წყალში კატასტროფის შედეგად აღმოჩნდა, რომელიც მიწისძვრითა და ცუნამით იყო გამოწვეული.

წყალქვეშა პირამიდა და სხვა რელიკვიები, რომლებიც იონაგუნიში აღმოაჩინეს, შესაძლოა, ცივილიზაციის არსებობის დამადასტურებელი იყოს, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების პერიოდში არსებობდა.

არქეოლოგთა უმეტესობა თვლის, რომ ადამიანთა ცივილიზაცია 5 ათასი წლის წინათ წარმოიშვა, მაგრამ ზოგი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ „მოწინავე“ საზოგადოება, შესაძლოა, 10 ათასი წლის წინათაც კი არსებობდა და კატასტროფის შედეგად განადგურდა.



## წყალქვეშა «ჯადოსნური წრეები»

**ალბათ, ბევრ თქვენგანს სმენია სამხრეთ ამერიკის მინდვრებში არსებული უზარმაზარი იდუმალი წრეების შესახებ. დღემდე არ არის ცნობილი მათი წარმოქმნის მიზეზი.**

ზოგი მეცნიერი მათ უცხოპლანეტელების შექმნილად თვლის, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამგვარი წრეები ოკეანის ფსკერზეც არსებობს. ისინი 1995 წელს აღმოაჩინეს იაპონიის კუნძულ ამამიოსიმასთან აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში. მოგვიანებით მსგავსი წარმონაქმნები სხვაგანაც ნახეს. მყვინთავებმა ამ ფიგურებს ჯადოსნური წრეები უწოდეს. მეცნიერები კარგა ხანს ფიქრობდნენ, ერია თუ არა ამაში ცოცხალი ორგანიზმის ხელი თუ ეს ბუნებრივი წარმონაქმნი იყო.

გავიდა 18 წელი და აღმოჩნდა, რომ ეს წრეები პატარა მამრი თევზების — Tetraodontidae-ს ნამოქმედარია დედალის ყურადღების მისაპყრობად, რათა იქ დაყაროს ქვირითი, სადაც მამრი სთავაზობს.

მიუხედავად იმისა, რომ თევზების სიგრძე მხოლოდ 12 სანტიმეტრია, ისინი გიგანტურ წრეებს აკეთებენ, დაახლოებით 2 მ დიამეტრამდე.



## «რძიანი ზღვა»

**ზოგჯერ ოკეანეში წარმოიქმნება „რძიანი ზღვა“. ეს საოცარი სანახაობაა — ოკეანის საკმაოდ ვრცელი ფართობი ანათებს.** მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის ამსახველი ბევრი ფოტოსურათი არსებობს, მისი წარმოშობის მიზეზი მეცნიერებისთვის დღემდე უცნობია.

ერთ-ერთი ვერსიით, „რძიანი ზღვა“ წარმოიშობა ლუმინესცენციური ბაქტერიების (Vibrio harveyi) გამო, რომლებიც იწვევენ ხანგრძლივ ნათებას წყალზე.

ამ მოვლენასთან შეჯახებისას ბევრი მეზღვაური და მოგზაური კარგავდა ორიენტაციას.





**წყალმცენარეებს, მაგალითად, CHLAMYDOMONAS REINHARDTII -ს მხედველობა აქვს (ადამიანისგან განსხვავებით სუსტი). ის მზის შუქის მიმართულებით გადაადგილდება. მეცნიერები აპირებენ, მცენარის შუქმგრძნობიარე უჯრედი ადამიანს თვალში გადაუნერგონ. პირველი ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე წარმატებით ჩატარდა. ახლა ჯერი ადამიანებზეა.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიახლე მედიცინაში: დისტანციური მართვის მიკრორობოტებით ოპერაციებს გააკეთებენ



**რამდენიმე წელია, მეცნიერები მინიატურული რობოტების შექმნაზე მუშაობენ, რომლებიც ადამიანის ორგანიზმის გარკვეულ ნაწილებში მანიპულირების განხორციელებას შეძლებენ. და თუ კი აქამდე რობოტებს ადამიანის მხოლოდ სისხლძარღვებში „მოგზაურობა“ შეეძლოთ, მალე შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, რადგან შექმნილია მიკრორობოტები, რომელთა გადაადგილება პაციენტის სხეულში, მისთვის წამლის მიწოდება და ქირურგიული ოპერაციაც შესაძლებელია ადამიანის კონტროლით.**

გამოგონებაზე მუშაობდნენ შვეიცარიის ფედერალური პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერები. მათ გამოგონილ რობოტს ზუსტად შეუძლია, მაგალითად, სისხლძარღვების ტრომბისგან გაწმენდა. ამას გარდა, რობოტები აღჭურვილია დისტანციური მართვის სისტემით, ელექტრომაგნიტური ველით, ასევე სითბოთი და ლაზერით.

მიკრორობოტები რბილია, დრეკადი და საკმაოდ მოძრავი. რობოტის საფუძველი ნანონაწილებია, რომლებიც კარკასისა და მგრძნობიარე „ძრავის“ როლს ასრულებს; მეორე ელემენტია ჰიდროგელი, რომელიც რობოტის კაფსულას ელასტიურობას ანიჭებს. კაფსულა ინერტული ნივთიერებისგან შედგება და შექმნილია იმისათვის, რომ ადამიანის იმუნური სისტემა „არ გააღიზიანოს“, რომელსაც შეუძლია მომენტალურად გაანადგუროს „მიკროსკოპული ექიმი“.

უნიკალურია მიკრორობოტის შექმნის პროცესიც. ჰიდროგელის ფენაში თანაბრად ნაწილდება ნანონაწილები, რომლებიც იწყებს მუშაობას, როგორც მაგნიტი, რომლის ხარჯზეც შესაძლებელია რობოტის მართვა ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით ნებისმიერი მიმართულებით.

რობოტს ზედაპირზე პოლიმერის ფენა ედება, რომელიც სითხეში მოხვედრისას მყარდება. როცა მიკრორობოტი „დანიშნულების ადგილთან“ მივა, გამოიყოფა სითბო, რომლის შემდეგ რობოტი პაციენტის ორგანიზმში უშვებს სამკურნალო საშუალებას ან პატარა ჟგუტს, რომელსაც ქირურგიული ინსტრუმენტის ფუნქცია აკისრია.

რობოტი ისე მოძრაობს და გადაადგილება, როგორც African Trypanosomiasis-ის ბაქტერიები, რომელიც გადასაადგილებლად იყენებენ ჟგუტს, მაგრამ საფრთხის მოახლოებისას შეუძლიათ მისი „შეკეცვა“ და ელექტრო-ქიმიური გრადიენტის მიმართულებით მოძრაობა.

მიკრორობოტების გამოცდა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მკვლევარები იუწყებიან, რომ არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელთა გათვალისწინება მოუწევთ მუშაობისას. მთავარია, შეთანხმდნენ, რომ მიკრორობოტები პაციენტის სხეულში არ იწვევს უარყოფით გვერდით მოვლენებს.

# მცენარის შუქმგრძნობიარე უჯრედს ადამიანს თვალში გადაუნერგავენ

**ბრიტანული პრესის ცნობით, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ერთ-ერთი სერიოზული სენის — უსინათლობის განკურნება შესაძლებელია წყალმცენარის შუქმგრძნობიარე უჯრედის ადამიანს თვალში გადანერგვით.**



წყალმცენარეებს, მაგალითად, chlamydomonas reinhardtii -ს მხედველობა აქვს (ადამიანისგან განსხვავებით სუსტი). ის მზის შუქის მიმართულებით გადაადგილდება. მეცნიერები აპირებენ, მცენარის შუქმგრძნობიარე უჯრედი ადამიანს თვალში გადაუნერგონ.

პირველი ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე წარმატებით ჩატარდა. ახლა ჯერი ადამიანებზეა.

ისე კი უმჯობესია, თუკი თვალის ჩინის დაკარგვამდე ვიქნებით ყურადღებით.

**როგორ გავიუმჯობესოთ მხედველობა?**

დღეს უამრავი წამალი და ნაყენი არსებობს იმისთვის, რომ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები ავირიდოთ თავიდან. გთავაზობთ ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სამუდამოდ დაგავიწყებთ მხედველობის პრობლემებს.

ამისთვის დაგჭირდებათ: ერთი ჭიქა წყალი და 1 გრამი ზაფრანა.

**მომზადების წესი: ადუღებულ წყალში ჩავყაროთ ერთი გრამი ზაფრანა და მოვხარშოთ. გავაციოთ და დავლიოთ ყოველდღე ძილის წინ, სიტკბოსათვის შეგიძლიათ დაუმატოთ ცოტაოდენი თაფლი. შედეგი ნამდვილად გაგაოცებთ.**



# უკვდავებისთვის განწირული, ანუ გრაფი სენ-ჟერმენის საიდუმლო

**გადმოცემის მიხედვით, იმისთვის, რომ ქრისტე ტანჯვით მოეკლათ, ჯვარცმის ადგილისკენ მიმავალს ზურგზე დიდი და მძიმე ჯვარი აჰკიდეს. ეს გზა გრძელი და რთული იყო... ძალაგამოცლილ იესოს უნდოდა, ერთ-ერთი სახლის კედელს მიყრდნობოდა, რათა ცოტა დაესვენა და ამოესუნთქა, მაგრამ სახლის პატრონმა, სახელად აჰასფერმა, მას ამის უფლება არ მისცა, — აქ დასასვენებელი ადგილი არ არისო.**

— კარგი, — გახსნა სიმწრისგან შეწებებული ბაგეები **ქრისტემ**, — მაგრამ შენც მთელი ცხოვრების მანძილზე ივლი, იხეტიალებ მსოფლიოში და არც დასვენება და არც სიკვდილი არ გეღირსება...

არსებობს ამ ლეგენდის კიდევ ერთი ვერსია. რომლის თანახმად, თითქოს, აჰასფერმა უთხრა ქრისტეს, რომ, თუ ის მართლაც ღმერთის შვილი იყო, ჯვარცმის შემდეგ მკვდრეთით აღმსდგარიყო, უკანა გზაზე მასთან შეევლო და მაშინ აუცილებლად დაასვენებდა. ამაზე ქრისტემ უპასუხა, რომ ის მის მეორედ მოსვლას აუცილებლად მოესწრებოდა და, სანამ ეს არ მოხდებოდა, ამ უკანასკნელს სიკვდილი არ ეღირსებოდა.

შესაძლებელია, ეს ამბავი დავიწყებასაც მისცემოდა, რომ არა ადამიანი, რომელიც საუკუნიდან საუკუნეში ხან ერთ და ხან მეორე ადგილას ჩნდებოდა და მას, მისი უცნაური პიროვნული თვისებების გამო, ქრისტეს მიერ დაწყევლილ, უკვდავ **აჰასფერთან** აიგივებდნენ...

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე იდუმალებით მოცული ადამიანია **გრაფი სენ-ჟერმენი**. მისი წარმომავლობის შესახებ არავისთვის არაფერია ცნობილი. მის თანამედროვეებს შორის ხმები დადიოდა, რომ გრაფს წლები არ ემატებოდა და არც არავის უნახავს, რომ მას საჭმელი ეჭამოს. რაღაც მომენტში ის უჩინარდებოდა და მის მიმართ ჭორები ჩნდებოდა. ზოგი ამბობდა, რომ ის დიდი ხნის წინათ მოკვდა, ხოლო სხვები ამტკიცებდნენ, რომ გრაფი სხვაგანაც ნახეს, სადაც სხვა სახელით ცხოვრობდა. ისეთებიც იყვნენ, რომ იფიცებოდნენ, „სულ ცოტა ხნის წინათ“ ვნახეთო.

ჭორები — ჭორებად, მაგრამ ნამდვილად ხომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც გრაფს იცნობდნენ და მის ცხოვრებაზე არა ერთ ფაქტს ყვებოდნენ? მაშ ასე:

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის შუა წლებში გრაფი სენ-ჟერმენი ინგლისიდან გამოაძევეს, სხვა ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით. გარკვეული დროის შემდეგ ის საფრანგეთში გამოჩნდა, საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკ XV გარემოცვაში. მალე გაირკვა, რომ ეს ადამიანი ისეთი სულაც არ იყო, როგორც ერთი შეხედვით შეიძლებოდა ვინმეს მოსჩვენებოდა. ისინი, ვინც მას პირადად იცნობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ გრაფმა ყველა ევროპული ენა იცოდა, ასევე, არაბული, ჩინური, სანსკრიტი და აზიის სხვა ენებიც. ის კარგად ერკვეოდა ხელოვნებაში, უკრავდა ვიოლინოზე და იყო რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. სენ-ჟერმენი თავისი დახვეწილი მანერებით ყოველთვის ყურადღებას იქცევდა და თავის წარსულზე არასდროს ლაპარაკობდა. მხოლოდ ერთხელ ხუმრობით აღნიშნა, რომ 500 წლის გახდა.

გრაფი ზღაპრულად მდიდარი იყო. მას ყოველთვის ჰქონდა ფული, მაგრამ არავინ იცოდა მისი შემოსავლის წყარო. მისი ნაცნობები ასევე ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ არასდროს უნახავთ, რომ მას საკვები ან სასმელი მიეღოს და რომ გრაფი მხოლოდ თეთრი და შავი ფერის სამოსს ატარებდა.

გასული საუკუნის დასაწყისში გამოჩდნენ ადამიანები, რომლებმაც თითქოს ნახეს გრაფი. ზოგიერთი ამბობდა, რომ სენ-ჟერმენი მასონთა ორდენის წევრი იყო; ასევე ამტკიცებდნენ, რომ მან სხვადასხვა ოკულტური მეცნიერება, მათ შორის, ალქიმია და კაბალა, შეისწავლა და ფილოსოფიური ქვის ფორმულა, ანუ მარადიული ახალგაზრდობის რეცეპტი შექმნა.

ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, რომ სენ-ჟერმენი აჰასფერი ყოფილიყო. ამ თეორიის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ გრაფი კარგად ფლობდა ძველ ენებს. და, თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ შესაძლებელია, რომ ის ისევ ჩვენ შორის ცხოვრობდეს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1519 წლის 20 სექტემბერს ზღვაოსანი ფერნანდო მაგელანი ესპანეთის პორტ სანლუკარ დე ბარამედადან 5 გემისგან („ტრინიდადი“, „სან-ანტონიო“, „სანტიაგო“, „კონსეფსიონი“ და „ვიქტორია“) დაკომპლექტებული ფლოტით პირველად გაემგზავრა დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ.** მაგელანმა 17 ათასი კმ გაიარა და ესპანეთში სამი წლის შემდეგ, 1522 წელს, დაბრუნდა მხოლოდ ორი ხომალდით — „ვიქტორიათი“ და „ტრინიდადით“, მაგელანმა დაამტკიცა, რომ დედამიწა მრგვალია.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 1890 წლის 15 სექტემბერს ტორკში (დევონის საგრაფო, დიდი ბრიტანეთი) დაიბადა სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი, დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებების ყველაზე პოპულარული ავტორი აგათა კრისტი (აგათა მერი კლარისა მელოუნი. ქალიშვილობის გვარი — მილერი. კრისტი — მისი პირველი ქმრის გვარია).**

აგათა კრისტის გამოქვეყნებული აქვს 60 დეტექტიური და 6 ფსიქოლოგიური რომანი (მერი უესტმაკოტის ფსევდონიმით), მოთხრობების 19 კრებული. მისი 16 პიესა ლონდონის თეატრების სცენაზე დაიდგა. აგათა კრისტის ნაწარმოებები, რომლებიც 100-ზე მეტ ენაზე ითარგმნა, 4 მილიარდზე მეტ ეგზემპლარად არის გამოცემული.

აგათა კრისტის ნაწარმოებების გმირები არიან: მის მარპლი, ერკიულ პუარო, კაპიტანი ჰასტინგსი, მის ლემონი (პუაროს მდივანი); უფროსი ინსპექტორი ჯეპი, სუპერინტენდანტი ბატლი, პოლკოვნიკი რეისი და სხვ.

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „როჯერ ეკროიდის მკვლელობა“; „დიდი ოთხეული“; „ცისფერი მატარებლის საიდუმლო“; „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“; „პაემანი სიკვდილთან“; „5 გოჭი“; „ბრალდების მოწმე“; „ბედისწერის კარიბჭე“ და სხვ.

აგათა კრისტი გარდაიცვალა 1976 წლის 12 იანვარს.

*** 1934 წლის 20 სექტემბერს რომში დაიბადა გამოჩენილი იტალიელი მსახიობი, ყველა ძირითადი ფესტივალის საპატიო პრემიის ლაურეატი, „ოქროს გლობუსისა“ (5-გზის) და „ოსკარის“ (ორგზის) მფლობელი სოფი ლორენი (სოფია ვილანი შიკოლონე).**



მსოფლიოში სახელი გაითქვა შესრულებული როლებით შემდეგ ფილმებში: „აიდა“; „ატილა“; „პური, სიყვარული და...“; „სიყვარული თელების ქვეშ“; „ჩოჩარა“; „ელ სიდი“; „ბოკაჩო-70“; „ივდითი“; „არაბესკა“; „გუშინ, დღეს, ხვალ“; „ქორწინება იტალიურად“ და სხვ.



*** 1942 წლის 14 სექტემბერს თბილისში დაიბადა პიანისტი და პედაგოგი, სსრკ-ისა და საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ელისო ვირსალაძე.**

*** 1888 წლის 19 სექტემბერს ბელგიის კურორტ სპაში გაიმართა სილამაზის პირველი კონკურსი.**

„სილამაზის დედოფლის“ ტიტულის მაძიებელთა კონკურსის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობდა 21 ქალი, რომლებიც ჟიურიმ ფოტოების მიხედვით შეარჩია. გამარჯვება მოიპოვა 18 წლის გვადელუპელმა გოგონამ ბერტა სუკარემ, რომელსაც ჯილდოდ 5 ათასი ფრანკი გადაეცა.

პირველი მსოფლიო კონკურსები კი 1951 წელს ლონდონში გაიმართა. აქ გვირგვინი დაადგეს „მის სამყაროსა“ და „მის მსოფლიოს“. მას შემდეგ სილამაზის კონკურსები მსოფლიოში მასობრივად იმართება.





*** 1675 წლის 15 სექტემბერს დაიბადა ქართლის გამგებელი 1703-1714 წლებში, ქართლის მეფე 1716-1724 წლებში, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი და მეცნიერი ვახტანგ VI (ბაგრატიონი).**

ვახტანგ VI სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ I კათოლიკოსთან ერთად ახალი ქართული ლიტერატურის სულისჩამდგმელად ითვლება. მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი ქართული სტამბისა და რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, დაარსება.

ვახტანგ VI შექმნა „დასტურლამალი“ — სახელმწიფოს ძირითადი კანონის, კონსტიტუციის, იურიდიული ძეგლი, რომელიც აწესრიგებდა ქვეყნის მართვა-გამგეობის, სამეფო კარის ეტიკეტისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა პრაქტიკულ მხარეებს.

1909 წელს ვახტანგ XI თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით, ვლახეთში (რუმინეთი) მოღვაწე ანთიმოზ ივერიელის დახმარებით დაარსდა პირველი ქართული სტამბა. სწორედ ამ სტამბაში დაიბეჭდა 1709 წელს „სახარება“, „დავითიანი“ და „სამოციქულო“; ხოლო 1712 წელს, ვახტანგ VI რედაქციითა და კომენტარებით, პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

ვახტანგ VI თარგმნა დიდაქტიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშები: „ქილილა და დამანა“; „სიბრძნე მგალობელი“ და სხვ.

გატაცებული იყო ასტროლოგიითა და ასტრონომიით, მათემატიკით, გეოგრაფიით, ქიმიითა და მედიცინით. სპარსულიდან თარგმნა „ზიჯის“, ანუ „ვარსკვლავთა კატალოგი“; შეადგინა ქიმიის სახელმძღვანელო, შინაარსობრივად გამართა, შენიშვნები დაურთო და ყოველდღიურ გამოსაყენებელ სამედიცინო წიგნად აქცია „კარაბადინი“.

1724 წელს საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო იძულებული შეიქნა, რუსეთში გამგზავრებულიყო, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

ვახტანგ VI გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს ასტრახანში.



*** 110 წლის წინათ, 1906 წლის 17 სექტემბერს, ბათუმში დაიბადა გამოჩენილი მსახიობი, სსრკ-ის სახალხო არტისტი, ქართული თეატრისა და კინოს სამსახიობო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი სესილია თაყაიშვილი.**

მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „კოლმეურნის ქორწინება“ (გვირისტინე); „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (ოლღა); „ჭირვეულის მორჯულება“ (კატარინა); „მარიამ სტიუარტი“ (ელისაბედ დედოფალი) და სხვ.

კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მანანა („ჭირვეული მეზობლები“); ვასასი („ჩვენი ეზო“); ელპიტე („საბუდარელი ჭაბუკი“); ოლღა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); ბორდოხანი („დიდოსტატის მარჯვენა“); მარადია („ნატვრის ხე“); ასინეთა („დათა თუთაშხია“); ნუცა („თოჯინები იცინიან“); ბუღალტერი („ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“) და სხვ.

გარდაიცვალა 1984 წლის 21 მაისს.



*** 1916 წლის 15 სექტემბერს კაცობრიობის ისტორიაში პირველად ბრძოლის ველზე გამოიყენეს საბრძოლო მანქანა — ტანკი.**

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ინგლისისა და საფრანგეთის შეტევისას გერმანელთა პოზიციებზე მდინარე სომასთან ახლოს, სოფელ ფლერთან (საფრანგეთი) ბრიტანელებმა გამოიყენეს კონსტრუქტორ უილიამ ტრიტონის მიერ შექმნილი ტანკი „მარკ I“ (49 ერთეული). ტანკი, რომლის ჯავშნის სისქე 10 მმ იყო, 30 ტონას იწონიდა და საათში 6 კმ სიჩქარით გადაადგილდებოდა.

მდინარე სომასთან გამართულ ბრძოლაში ტანკების გამოყენების შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ამ საბრძოლო მანქანას დიდი მომავალი ჰქონდა.

*** 1613 წლის 15 სექტემბერს პარიზში დაიბადა ფრანსუა VI დე ლაროშფუკო — ჰერცოგი ლაროშფუკო, ფრანგი მწერალი, ფილოსოფიურ-მორალისტური თხზულებების ავტორი.** მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „მაქსიმები“, აფორიზმების კრებული, რომელიც ცხოვრების ფილოსოფიურ კოდექსს წარმოადგენს, აგრეთვე, „მემუარები“, რომლის ეპიზოდებიც ალექსანდრე დიუმამ თავის „სამ მუშკეტერსა“ და „20 წლის შემდეგ“-ში გამოიყენა.



გარდაიცვალა 1680 წლის 17 მარტს.

**16 სექტემბერს მთვარის ნახევრადჩრდილოვანი დაბნელება და სავსემთვარეობაა. შესაძლოა, თავი წამოყოს წარსულში შექმნილმა პრობლემებმა და მათი მოგვარება აუცილებელი იქნება. სასიკეთო პერიოდია კუროსა და ლომის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**14 - 20 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

კარგი პერიოდია მოლაპარაკებების გასამართავად და ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

მოგეცემათ პროფესიულ საქმიანობაში წარმატების მიღწევის შანსი.

თავი აარიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას — შესაძლოა, ვალებში ჩაეფლოთ.

ნუ შეეცდებით საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან დაპირისპირებას. თქვენი საქციელი ან ნათქვამი სიტყვები უსამართლო იქნება და მათ ძალიან გაანაწყენებს.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. მიდით სპეციალისტთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

ნებისმიერ წამოწყებას ისე დაასრულებთ, როგორც დაგეგმილი გქონდათ. თქვენი შრომისმოყვარეობა შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობას და არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ.

შესაძლოა, დახმარების თხოვნით მოგმართოს ადამიანმა, რომელიც არ გესიმპათიურებათ, მაგრამ თავს ძალა დაატანეთ და უარს ნუ ეტყვით, რადგან მისი დახმარება ახლო მომავალში დაგჭირდებათ.

მარტოხელა კუროები არჩევანის წინაშე დადგებიან — მათთან ურთიერთობის გაღრმავებას რამდენიმე თაყვანისმცემელი მოისურვებს.

შესაძლოა, შეგექმნათ სისხლის მიმოქცევის სისტემის პრობლემა, ამიტომ გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 16 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 სექტემბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

თუ გულმოდგინედ იმუშავებთ და ყველა დავალებას პირნათლად შეასრულებთ, წარმატებას მიაღწევთ კარიერაში.

ახლა არ არის სასიკეთო პერიოდი ფინანსური საკითხების გადასაწყვეტად. ნუ ისესხებთ და ნუ გაასესხებთ ფულს.

დაქორწინებულმა ტყუპებმა თავი უნდა აარიდონ აგრესიულ გამონათქვამებს და გაითვალისწინონ მეუღლის მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მწვავე კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებენ.

რომანტიკული თავგადასავლის მაძიებელი მარტოხელა ტყუპები კი შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, თუმცა კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით — შეასრულებთ სავარჯიშოებს ან სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით.

**დადებითი დღე: 16 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

მოგიწევთ იმ საქმეების შეჩერება, რომელთა შესრულებაც ამ დღეებში გქონდათ დაგეგმილი. გააანალიზეთ წარსულში დაშვებული შეცდომები და დასახეთ სამომავლო გეგმები. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

ამ პერიოდში გაუმართლებთ შეყვარებულ კირჩხიბებს, ოღონდ არ უნდა დაიმორცხვონ მათთვის სათაყვანებელი ადამიანის წინაშე და გულწრფელად დაელაპარაკონ თავიანთ გრძნობებზე.

ყურადღება მიაქციეთ ძვალ-სახსართა სისტემას, განსაკუთრებით, მუხლებს. დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 17 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

სასიკეთო პერიოდია პროფესიულ სფეროში წინსვლისთვის. თქვენს მონდომებასა და მუხლჩაუხრელ შრომას ხელმძღვანელობა დააფასებს და არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

დაქორწინებული ლომების ურთიერთობა ოჯახის წევრებთან ჰარმონიულად წარიმართება — ახლობელი ადამიანებისგან დიდ სითბოსა და მზრუნველობას იგრძნობთ.

მარტოხელა ლომები კი უნდა დაფიქრდნენ იმ ადამიანთან ურთიერთობის გაგრძელებაზე, რომელმაც ცოტა ხნის წინათ თავისი გრძნობა გაუმხილა.

დიდია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 18 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 სექტემბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

ამ პერიოდში სასურველი არ არის ახალი საქმეების დაწყება, თუმცა მოლაპარაკებების გასამართავად და ახალი კონტრაქტების გასაფორმებლად სასიკეთო პერიოდია. ხელმძღვანელი ქალწულები უნდა შეეცადონ შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას კოლექტივში, რადგან თანამშრომლისგან წამოსული ახალი იდეები პროდუქტიული იქნება.

დაქორწინებული ქალწულების ურთიერთობა მეუღლესთან ჰარმონიულად წარიმართება. მარტოხელები კი იმ ადამიანის ყურადღებას მიიპყრობენ, რომლის მიმართაც კარგა ხნის წინათ გაუჩნდათ სიმპათია.

მეტი იმოძრავეთ, დაიტვირთეთ ფიზიკურად ან დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 18 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 სექტემბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

ნებისმიერი თანამშრომლობა, ნებისმიერი დიალოგი წარმატებით დასრულდება. ბევრი საქმე გამოგიჩნდებათ და მათ უმრავლესობას ისე დაასრულებთ, როგორც დაგეგმილი გქონდათ, მაგრამ ამისათვის ბევრი დროისა და ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში შეიძლება წარმოიქმნას უთანხმოება და ამის მიზეზი თქვენი წინდაუხედავი საქციელი იქნება. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ საყვარელი ადამიანი ნაკლებ ყურადღებას გითმობთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 16 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 სექტემბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

შეიძლება თვითონვე შეიქმნათ პრობლემები, რომლებსაც შემდეგ მამაცურად დაძლევთ. ამის გამო საყვედურს მიიღებთ გარშემო მყოფებისგან. სამსახურში თავი აარიდეთ კონფლიქტში ჩართვას და კოლეგებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობები შეინარჩუნეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის ინტერესებსაც გაითვალისწინებთ და ამა თუ იმ საკითხზე წარმოქმნილ უთანხმოებას კომპრომისის გზით გადაწყვეტთ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს.

დიდია საკვების მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

უარი თქვით ალკოჰოლზე და დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 18 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

აქტიურობის პერიოდია. სამსახურში შეძლებთ ყველა დავალების პირნათლად შესრულებას, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც დადებითად აისახება და კარიერაში წინსვლასაც შეუწყობს ხელს.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ. მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

მარტოხელა მშვილდოსნები გაცნობის პირველივე წუთებიდან შეძლებენ საწინააღმდეგო სქესის იმ წარმომადგენლის გულის დაპყრობას, რომლის მიმართ თვითონაც გაუჩნდათ სიმპათია.

გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას. დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 20 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

რთული პერიოდია. სამსახურში გამოგიჩნდებათ ბევრი საქმე, რომელთა შესრულებაც ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ.

რთული გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილი ადამიანებისგან მიიღეთ. ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

თუ გაქვთ შესაძლებლობა, მეუღლესან ერთად გაემგზავრეთ დასასვენებლად, ხოლო, თუ მარტოხელა ხართ, შესაძლოა, სწორედ მოგზაურობისას გაიცნოთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელსაც თქვენს ბედს დაუკავშირებთ.

დიდია ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 სექტემბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

ეს პერიოდი სხვადასხვა მოვლენებით იქნება დატვირთული. დასახული მიზნების მისაღწევად ბევრი ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ, მაგრამ შედეგით კმაყოფილი დარჩებით. თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობას.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

დაქორწინებულ მერწყულებს შეიძლება პრობლემები შეექმნათ მეუღლესთან ურთიერთობაში. გაუთავებელი პრეტენზიები და საყვედურები ურთიერთობას ჩიხში შეიყვანს. ამას კი მხოლოდ დიპლომატიური ხერხებით აიცილებთ თავიდან.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 16 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 სექტემბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, თქვენი ძალისხმევა შესაძლოა ფუჭი აღმოჩნდეს. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ახალი წყაროების მოძებნით შეეცადეთ.

დაქორწინებულ თევზებს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ბევრ დადებით ემოციას მოუტანს. მარტოხელა თევზებს კი, შესაძლოა, თავი შეახსენოს ადამიანმა, რომლის მიმართაც ადრე გულგრილი არ ყოფილან.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ. თევზები, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა გაესინჯონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 20 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# დაგიხოციათ ერთმანეთი!



**გაზეთი „ინდეპენდეტი“ იტყობინება, რომ, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დიდი ბრიტანეთი იარაღით მოვაჭრე დიდ სახელმწიფოთა შორის მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს.**

გაყიდული სამხედრო ტექნიკის დიდი ნაწილი,— წერს გაზეთი, სისხლისმღვრელი ომების გაჩაღებაში არის ჩართული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. 2010 წლიდან დაწყებული დიდმა ბრიტანეთმა იარაღი მიჰყიდა 39 ქვეყანას იმ 51 ქვეყნიდან, რომლებიც „არათავისუფალ ქვეყნებად“ არის მიჩნეული ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ მოხსენების საფუძველზე, ასევე, 22 ქვეყანას იმ 30 ქვეყნების სიიდან, რომლებშიც, ბრიტანეთის მთავრობის აზრით, ირღვევა ადამიანის უფლებები.

ბრიტანული იარაღის ორი მესამედი მიჰყიდეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომელთა არასტაბილურობა ბრიტანეთისთვის ტერორისტული თავდასხმების რისკსა ზრდის.

ამასთანავე, **სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ გაერთიანებულმა სამეფომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ყიდდა უფრო მეტი იარაღს, ვიდრე რუსეთი, ჩინეთი ან საფრანგეთი. იარაღის უფრო დიდი ექსპორტიორი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებია.**

მინისტრები, რომლებმაც უნდა დაამტკიცონ ყველა საექსპორტო ლიცენზია, ირწმუნებიან, რომ არსებული სისტემა არის მტკიცე და უცვლელი, და რომ მათ გაითხოვეს რუსეთსა და უკრაინაში თავდაცვითი იარაღის ექსპორტირების ადრე გაცემული ნებართვა.

მაგრამ მთავრობამ უყურადღებოდ დატოვა უფლებადამცველი ორგანიზაციების მოწოდებები, რომ შეეწყვიტა იარაღის მიყიდვა რეპრესიული რეჟიმებისათვის საუდის არაბეთის ჩათვლით. მინისტრთა კაბინეტი ჯიუტად იმეორებს, რომ საუდის არაბეთში სამხედრო დანაშაულების ჩადენის ვერავითარ დამამტკიცებელ ფაქტს ვერ ხედავს.

არადა, საუდელთა კოალიცია ბომბავს საავადმყოფოებს, რომლებიც ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ დახმარებით მუშაობენ, აგრეთვე, სკოლებსა და ქორწილებს. იბომბება კვების მრეწველობის ობიექტები მაშინ, როცა, მაგალითად, იემენი საკვების სერიოზულ უკმარისობას განიცდის. უფლებადამცველი ორგანიზაციები ირწმუნებიან, რომ გააჩნიათ სამოქალაქო ობიექტების წინასწარგანზრახვით დაბომბვის უტყუარი მტკიცებულებანი.

დადგინდა, რომ 2010 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში გაიცა ლიცენზია 10 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ღირებულების იარაღის მიყიდვის შესახებ იმ „არათავსიუფალი“ რეჟიმებისთვის, როგორებსაც „ფრიდომ ჰაუსის“ შეხედულებით მიეკუთვნება **ჩინეთი, ომანი, თურქმენეთი და გაერთიანებული არაბული საამიროები.**

ამას გარდა, 7,9 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ღირებულების იარაღი დიდმა ბრიტანეთმა მიჰყიდა ქვეყნებს, რომლებიც შეტანილია „ყველაზე უფრო რთული სიტუაციის მქონე“ სახელმწიფოების სიაში, სადაც დაფიქსირებულია „ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე მეტი შემთხვევა“. ამ სიას საგარეო საქმეთა სამინისტრო ადგენს.

სიაში ჩართულია **საუდის არაბეთი**, რომელსაც მიჰყიდეს ბომბები, რაკეტები და ავიაგამანადგურებლები, **ისრაელი**, რომელმაც მიიღო უპილოტო თვითმფრინავები და ზუსტი დამიზნების აპარატურა, ასევე, **ბაჰრეინი**, რომელსაც მიაწოდეს ტყვიამფრქვევები. **თურქმენეთმა** იყიდა ზარბაზნები და საბრძოლო მასალა.

„ეს თავზარდამცემი ციფრები ადასტურებს ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ფარისევლურ ხასიათს“, — აღნიშნავს ორგანიზაცია „იარაღით ვაჭრობის წინააღმდეგ კამპანიის“ წევრი **ენდრიუ სმიტი** „ინდეპენდენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

**მოკლედ: დიდი ბრიტანეთი მოგყიდით იარაღს და თქვენ — დაგიხოციათ ერთმანეთი!**



# მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რეპტილიები გლობალურ დათბობას ემსხვერპლებიან

**ბიოლოგ მაიკლ სირსის ხელმძღვანელობით ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურდა წინა გამოკვლევების შედეგად მიღებული დასკვნები.**

2010 წელს სანტა-კრუზის უნივერსიტეტის მეცნიერებმა იწინასწარმეტყველეს, რომ 2080 წლისთვის დედამიწაზე განადგურდება ხვლიკების 40 პროცენტი.



სირსის გუნდმა შექმნა კომპიუტერული მოდელი, რათა შეემოწმებინა აღნიშნული პროგნოზის სისწორე. მეცნიერებმა გააანალიზეს თანამედროვე რეპტილიების თავისებურებანი და დაასკვნეს, რომ კოლეგები მართალნი იყვნენ. როგორც ჩანს, პირველი სწორედ ხვლიკები ემსხვერპლებიან გლობალურ დათბობას. დადგინდა, რომ ისინი თავიანთი სხეულის ტემპერატურას ჩრდილში უკეთ აკონტროლებენ. დათბობის პირობებში კი ამისთვის გაცილებით მეტი დროისა და ენერგიის დახარჯვა მოუწევთ, რაც საბოლოოდ მათ განადგურებას გამოიწვევს.




# შურისძიებამ დააბრმავა

**ყოფილი ბოიფრენდის მიმართ შურისძიებამ ახალგაზრდა ქალი ისე დააბრმავა, რომ დაწვა მანქანა, რომელიც... მის ყოფილს არ ეკუთვნოდა.**

ეს მოხდა აშშ-ის ქალაქ კლირუოტერში. ეს შემთხვევა გადაიღო ვიდეოკამერამ და გავრცელდა ადგილობრივი პოლიციის დეპარტამენტის „ფეისბუქის“ გვერდის მეშვეობით. ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, როგორ აჩაღებს ცეცხლს კარმენ შამბლი ავტომანქანა „ჰონდას“ საბარგულში.

შეეშალა და სხვისი მანქანა დაწვა. მას, ცხრამეტი წლის გოგოს, ბრალი ედება სხვისი ქონების განადგურებაში.

# «ნიუ იორკ თაიმსი»: ობამას წარუმატებელი ვიზიტი აზიაში



**„ნიუ იორკ თაიმსის“ აზრით, ცუდ დაგეგმვასა და ელემენტარულ უილბლობას შეუძლია გადახაზოს აშშ-ის პრეზიდენტის წარმატებები საზღვარგარეთ.**

საქმე ის არის, რომ მის ვიზიტებს საზღვარგარეთის ქვეყნებში ყოველთვის ემთხვევა ტერორისტული აქტები და პოლიციური დახვრეტები. ამას მისტერ პრეზიდენტი, ალბათ, შეჩვეულიც კი არის, მაგრამ ის, რაც აზიაში მისი ბოლო ვიზიტისას მოხდა, შეიძლება შეფასდეს, როგორც უპატივცემულობის გამოვლენა.

ეს ვიზიტი საგულდაგულოდ იყო დაგეგმილი, რათა საქვეყნოდ წარმოეჩინა, რომ ჩინეთთან ყალიბდება სანიმუშო პარტნიორობა და, ამასთანავე, წარმატებით ვითარდება ამერიკელების თანამშრომლობა ამ ქვეყნის მეზობელ სახელმწიფოებთან.

მაგრამ ოთხი ქაოსური დღის განმავლობაში პრეზიდენტს დაეკარგა მთავარი ორიენტირი. ჩინეთში დახვედრის ცერემონია აირ-დაირია და პრეზიდენტს თვითმფრინავთან არც ტრაპი მიაწოდეს და არც წითელი ხალიჩა დაუფინეს. ამან ისეთი რეაქცია გამოიწვია, რომ თითქმის გადაფარა გლობალური დათბობის პრობლემა. შემდეგ ფილიპინების ახალარჩეული პრეზიდენტის უზრდელურმა გამოხდომამ აშშ-ის პრეზიდენტი აიძულა, უარი ეთქვა მასთან დაგეგმილ შეხვედრაზე.

მომდევნო დღეს თეთრი სახლი შეეცადა, შეერბილებინა ფილიპინების პრეზიდენტ **როდრიგო დუტერტესა** და ობამას შეხვედრის ჩაშლის უარყოფითი ეფექტი, მაგრამ ფაქტს ვერ გაექცა.

„ნიუ იორკ თაიმსის“ აზრით, ობამას ეს უკანასკნელი ვიზიტი აზიაში შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების აცილების კუთხით, მაგრამ უხერხულობებმა, რომლებიც ამ მოგზაურობას სდევდა, შეიძლება გადახაზოს ეს წარმატება.




## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894